

სწავლისა და სწავლების სტრატეგიების  
გამოყენება სპეციალური  
საგანმანათლებლო საჭიროების მქონე  
მოსწავლეებთან

## გზამკვლევი განკუთვნილია პედაგოგებისა და ინკლუზიური განათლების სფეროს სპეციალისტებისთვის.

გზამკვლევზე მუშაობდა:

შორენა ტყემელაშვილი - ფსიქოლოგი, მულტიდისციპლინური გუნდის წევრი.

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში. 2021 წელი.

## წინასიტყვაობა

ბავშვები და მოზარდები დროის დიდ ნაწილს სკოლის გარემოში და საკლასო ოთახებში ატარებენ. განვითარების ამ უმნიშველოვანეს პერიოდში მათ უწევთ თავიანთ ოჯახის წევრებთან, მასწავლებლებთან, სპეციალისტებსა და თანატოლებთან თითქმის ყოველდღიური ინტერაქცია ისევე როგორც, მრავალფეროვან და განსხვავებულ სასწავლო რესურსებთან და სწავლების სტრატეგიებთან თუ მეთოდებთან შეხება. ეფექტური სასწავლო გარემოსა და გამოცდილებების უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესია ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო, საგანმანათლებლო და მასტიმულირებელი სივრცის შექმნა. აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ ყველა მოსწავლეს ეძლევა სწავლის ის პირობები და შესაძლებლობები, რა მოლოდინებიც გვაქვს მათ მიმართ. ამ პროცესში კი აუცილებელია, უმჯობესდებოდეს მათი ცხოვრების დონე და დამოუკიდებლობის ხარისხი. ჰქონდეთ უნარ-ჩვევების განვითარებისა და სწავლის შესაძლებლობა, რათა თავი იგრძნონ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილად და სრულყოფილ წევრებად.

აღნიშნულ გზაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მასწავლებლებსა და მშობლებს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებსაც. მათი განათლებისა და განვითარების პროცესის გაძლიერებას, მასწავლებლების მიერ გამოყენებული ეფექტური, მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი, მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული სტრატეგიები და სწავლა-სწავლების მეთოდები, აისახება მოსწავლის წარმატებულ ფუნქციონირებაზე სხვადასხვა კონტექსტში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლისა თუ განვითარების სირთულეების მიზეზს, შესაძლებელია, მრავალი ფაქტორი წარმოადგენდეს: სენსორული, ფიზიკური, ინტელექტუალური, კოგნიტური, სოციალური თუ ემოციური. ჩვენი გზამკვლევის ფოკუსს სწორედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები წარმოადგენენ, თუმცა მასში აღწერილი კონცეფციები, მიდგომები და სწავლა-სწავლების უმეტესი სტრატეგიები უნივერსალურად გამოყენებადია ზოგადად მოსწავლეებთან მიმართებაში.

# სარჩევი

შესავალი, ზოგადი მიმოხილვა.....	4
სწავლა-სწავლების სტრატეგიების შერჩევა .....	7
სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელებისას. სასწავლო პროცესის ადაპტაცია. ....	11
სწავლისა და სწავლების ზოგადი კონცეფციები და სტრატეგიები .....	18
<i>სწავლების უნივერსალური დიზაინი</i> .....	19
<i>სწავლა-სწავლების დიფერენციალური მიდგომა/ინსტრუქციები</i> .....	21
სწავლა-სწავლების კონკრეტული სტრატეგიები .....	31
<i>მულტიმოდალური სწავლება</i> .....	36
<i>სწავლა კეთებით</i> .....	38
<i>მოდელირება</i> .....	40
<i>სკაფოლდინგი</i> .....	42
<i>უკუკავშირი</i> .....	48
<i>კოოპერატიული (cooperative) ჯგუფის სტრატეგია</i> .....	50
<i>მიმანიშნებლები (Prompts)</i> .....	53
<i>შენარჩუნება და გენერალიზება</i> .....	57
<i>გრაფიკული სისტემები (Graphic Organizers)</i> .....	59
<i>საკლასო გარემოს ორგანიზება</i> .....	63
<i>ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია</i> .....	70
სწავლა-სწავლების სტრატეგიები კონკრეტული სირთულეების მქონე მოსწავლეებთან.....	75
<i>ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების სტრატეგიები</i> .....	75
<i>სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების სტრატეგიები</i> .....	78
<i>ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების სტრატეგიები</i> .....	86
<i>სოციალურ-ემოციურ სფეროსთან დაკავშირებული სირთულეებისას სწავლა-სწავლების სტრატეგიები</i> .....	92
მშობლებთან და/ან კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა.....	98
გამოყენებული ლიტერატურა: .....	103

## შესავალი, ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე სამყაროში არნახული ტემპით მიმდინარე განვითარებამ და პროგრესმა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულება მოიცვა. ტექნოლოგიურმა, მეცნიერულმა, სოციალურმა თუ კულტურულმა წინსვლებმა და მნიშვნელოვანმა პრაქტიკულმა გამოცდილებებმა მომსწრენი გაგვხადა უამრავი ნიშანდობლივი ცვლილებისა და სიახლისა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის განათლების სისტემაში. თანამედროვე განათლების სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება და აღმოჩენაა ტრადიციული, მასწავლებელზე ცენტრირებული მიდგომების ჩანაცვლება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებით. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას, მათ ინდივიდუალურ სწავლის სტილსა და შესაძლებლობებს, რომლითაც ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის ღიაობასა და ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას სახელმწიფო უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების განმავლობაში (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ბევრი მოსწავლე გარკვეული გამოწვევების წინაშე დგება. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ფიზიკური, ინტელექტუალური განვითარების, სენსორული, მეტყველების, ქცევითი, ემოციური თუ სხვა მდგომარეობებით. საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება როგორც პრიორიტეტი სახელმწიფოს მხრიდან აღიარებულ იქნა XXI საუკუნის დასაწყისში, რასაც მოჰყვა განათლების სისტემური რეფორმა, ინკლუზიური სწავლების დანერგვა. თანასწორობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი თანამედროვე განათლების სისტემის უმთავრესი პრიორიტეტია, რომლის უზრუნველყოფა სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შეუძლებელია განათლების სპეციალური სერვისის მიწოდების გარეშე. ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვისა თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ.

*„ინკლუზიური განათლება - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით“ (საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“)*

დღეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა ინდივიდს აქვს უფლება თანატოლების მსგავსად მიიღოს განათლება, ჩართული იყოს რეგულარულ საგანმანათლებლო პროცესში, იგრძნოს თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად და ამასთანავე, გაიუმჯობესოს ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ინკლუზიური განათლების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების გამომუშავება-განვითარებაში, რათა შეძლონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა სხვებზე დამოკიდებულების გარეშე. ხშირ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ინდივიდებს სჭირდებათ დამატებით მხარდაჭერა იმ უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესში, რომელშიც საჭიროა სოციუმში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის. ამ უნარებს შესაძლებელია წარმოადგენდეს - თვითმოვლა, გადაადგილება, პროდუქტების შექმნა, ყოველდღიური საქმიანობები, ფუნქციური, აკადემიური უნარები (კითხვა, წერა, მათემატიკური უნარები). აღნიშნული უნარების დაუფლება შესაძლებელია რელევანტური შინაარსისა და მიზნების მქონე პროგრამების შედგენითა და შეთავაზებით. ამასთანავე, სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ის მიწოდებულ იქნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. მართებული და ეფექტური სტრატეგიებისა და მეთოდების შერჩევას, პირველ რიგში, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სწორად განისაზღვროს მოსწავლის განვითარების აქტუალური და უახლოესი ზონა, თუ რა უნარების განვითარებაზე ვართ ორიენტირებულები, მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები და მახასიათებლები, საგანმანათლებლო საჭიროებები, პრიორიტეტები, სასწავლო გარემო და მასალების ხელმისაწვდომობა. გამოყენებულ სტრატეგიებს შორის შესაძლებელია იყოს ფიზიკური მხარდაჭერა, ვერბალური მიმანიშნებლები, მოდელირება, კეთებით სწავლება, სკაფოლდინგი, მულტისენსორული სწავლება და სხვა.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ინდივიდების მხოლოდ ერთ სივრცეში მოთავსებას იმის იმედად, რომ ისინი აუცილებლად მიიღებენ ცოდნას. სხვადასხვა საჭიროებისა და სირთულეების მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ სპეციფიკური ინსტრუქცია, რათა შეძლონ შესაბამისი უნარების დაუფლება. თანატოლებთან ფიზიკური სიახლოვე თავისთავად ვერ უზრუნველყოფს სოციალური ინტერაქციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით თუ არ იქნება შემუშავებული სწორედ ამ უნარების განვითარებაზე ორიენტირებული გარკვეული მიზნები და სტრატეგიები. ასევე, ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ ზოგადი განათლების ფარგლებში შეთავაზებული აკადემიური უნარების დაუფლებას მიზნებისა და მასალების ადაპტირებისა და კონკრეტული უნარების გამომუშავებისა და სწავლების გარეშე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მძიმე და მრავლობითი დარღვევების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია გარკვეული უნარების დაუფლება სისტემატიზირებული სტრატეგიებისა და ინსტრუქციების გამოყენებით, რომლებიც


შესაბამისობაშია კონკრეტულ მიზანთან, მოსწავლის სწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და თავისებურებებთან.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისა და შეფასების მრავალწლიანი მსოფლიო გამოცდილების გაზიარება და ქცევაზე დაკვირვების შედეგად, რელევანტური, სწორი, ეფექტური და მტკიცებულებაზე დაფუძნებული სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენება -დანერგვა.

აუცილებელია, გვახსოვდეს, სწავლა არის დინამიკური პროცესი, რომელშიც მოსწავლეები აქტიურ როლს თამაშობენ გარემოსთან და ირგვლივ მყოფ ადამიანებთან მუდმივი ინტერაქციით. სწავლა-სწავლებისას არამარტო მათი შეხედულებები, იდეები ან უნარ-ჩვევები იცვლება, არამედ ის გარემო, რომელშიც ეს პროცესი მიმდინარეობს. შესაბამისად, სწავლა არ არის უბრალოდ ცოდნის ან უნარის დაუფლება, არამედ, ის წარმოადგენს დაკვირვებასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით შეხედულებებისა და დამოკიდებულებების აქტიურ კონსტრუირებასა და ტრანსფორმაციას.

# სწავლა-სწავლების სტრატეგიების შერჩევა

ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფა, რელევანტური სტრატეგიებისა და მიდგომების შერჩევა რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რომლის დროსაც მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი (იხილეთ ცხრილი) :



**პირველი, საწყისი ეტაპი** მოიცავს ინკლუზიური განათლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა, რომლებიც ვერ პასუხობენ სწავლისა და განვითარების ფორმალურ თუ არაფორმალურ მოლოდინებსა და მოთხოვნებს. სპეციალური განათლების განვითარების ევროპული სააგენტოს მიხედვით:

*“შეფასება გულისხმობს მოსწავლის განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებასა და მისი მიღწევისა და განვითარების დონის შესახებ მოპოვებული მონაცემების საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა მიმართულებით ეფექტურ გამოყენებას (აკადემიური, ქცევითი და ემოციური)”;*

შეფასება გულისხმობს მოსწავლის შესაძლებლობების, საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, განვითარების აქტუალური დონის დადგენასა და უახლოესი ზონის განსაზღვრას. იგი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც მოიცავს მოსწავლეზე დაკვირვებას, მონაცემების შეგროვებას,

სწორ ინტერპრეტაციასა და მიღებული შედეგების ეფექტურ გამოყენებას მოსწავლეზე მორგებული და მისი შესაძლებლობების შესაბამისი მიზნების განსაზღვრისთვის, რათა მისი განვითარების პოტენციური ზონა<sup>1</sup> გავხადოთ აქტუალურ დონედ<sup>2</sup>. განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში სწავლებისთვის აუცილებელია, განისაზღვროს თუ განვითარებისა და შესაძლებლობების რა დონეზე იმყოფებიან მოსწავლეები: რისი შესრულება შეუძლიათ დამოუკიდებლად და რისი გაკეთება სხვების დახმარებით. მოსწავლეები ნაკლებად

<sup>1</sup> განვითარების უახლოესი (პოტენციური) ზონა - გულისხმობს გარკვეულ უნარებთან დაკავშირებულ იმ ამოცანათა და მოქმედებათა ზედა ზღვარს, რომლის შესრულება ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად, თუმცა ასრულებს სხვისი (უფრო კომპეტენტური ადამიანის) დახმარებით.

<sup>2</sup> განვითარების აქტუალური (არსებული) დონე - გულისხმობს იმ უნარ-ჩვევებსა და ფსიქიკურ ფუნქციებს, რომლებიც ბავშვს განვითარებული და ჩამოყალიბებული აქვს და მას სხვების (უფროსის) დახმარების გარეშე შეუძლია აღნიშნულ უნარებთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოქმედებათა მრავალფეროვნების შესრულება.



სწავლობენ ისეთი აქტივობების შესრულებისას, რომელთაც დამოუკიდებლად ართმევენ თავს. მათი განვითარებისა და სწავლის თვალსაზრისით პროგრესი მიიღწევა მაშინ, როდესაც ცდილობენ შედარებით რთული და გამომწვევი დავალებების შესრულებას სხვების დახმარებით ანუ ეჭიდებიან ისეთ ამოცანებს, რომლებიც განვითარების უახლოესი (პოტენციური) ზონის ფარგლებში ჯდება. შესაბამისად, სწავლის ეფექტურობას განსაზღვრავს ის, როდესაც მოსწავლეს უწევს გარკვეული სირთულეების გადალახვა (სხვების დახმარებით) და არა იოლი მიღწევები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მსგავსი დავალებები იყოს შერჩეული განვითარების უახლოესი ზონიდან, რომელიც განსაზღვრავს კოგნიტური განვითარების ზედა ზღვარს - რისი შესწავლა შეუძლია მოსწავლეს მისი განვითარებისა და შესაძლებლობების ამ კონკრეტულ ეტაპზე. ასევე, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს მსგავსი მასტიმულირებელი აქტივობებისა და დავალებების მიწოდების სიხშირე, რათა უარყოფითი გავლენა არ მოვახდინოთ მათ ემოციურ მდგომარეობასა და თვითეფექტურობის განცდაზე.

შეფასება ხდება როგორც ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, ასევე საგნის მასწავლებლების მიერ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით. საგანმანათლებლო კონტექსტში ნებისმიერი სახის შეფასება წარმოადგენს მიზნების სწორად განსაზღვრის საფუძველს, რომელთა მიღწევაც შესაძლებელი ხდება სწავლა-სწავლების სწორი და შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და პროცესში რელევანტური გადაწყვეტილებების მიღებით კონკრეტულ მიზნებთან მიმართებით.

მოსწავლის შეფასებისა და მიზნების განსაზღვრის შემდგომ გადავდივართ **მეორე ეტაპზე**, რომელიც გულისხმობს მიზნების მიღწევისთვის საჭირო კონკრეტული სტრატეგიების და მიდგომების შერჩევას. არსებობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული უამრავი სტრატეგია, რომელთაც შემდგომში ჩვენც აუცილებლად განვიხილავთ. საწყის ეტაპზე, შეფასებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, რომ ეფექტურად მივიჩნიოთ და შევარჩიოთ რამდენიმე სტრატეგია.

**მესამე ეტაპზე** ჩვენ მიერ შერჩეული სტრატეგიები და მიდგომები უნდა განვიხილოთ დეტალურად მოსწავლის ინტერესებისა და მოტივაციური ფაქტორების ჭრილში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეფასების პროცესი ფოკუსირებულია იმ უნარებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაზე, რომელთაც მოსწავლე ფლობს ან სჭირდება და ამასთანავე აქვს რესურსი, რომ განივითაროს, რათა მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს. მიმდინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები არამარტო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ სწავლის პროცესში, არამედ, გავლენას ახდენენ მოსწავლის დამოკიდებულებებზე, მცდელობებსა და მოტივაციურ ფაქტორებზე ცოდნის დაუფლებისკენ მიმავალ გზაზე. უმეტესწილად, მოსწავლეებს აქვთ იმის უნარ-ჩვევები, რომ გამოხატონ ან მიგვანიშნონ რისი გაკეთება მოსწონთ და როგორ. მნიშვნელოვანია, შეგვეძლოს ამის შემჩნევა და იდენტიფიცირება. ჩვენ უნდა ვიყოთ მხარდამჭერები და ხელშემწყობები. გაუფწიოთ ასისტირება თვითგამორკვევისა და თვითგამოხატვის პროცესში, რათა შეძლონ საკუთარი პრიორიტეტების ჩვენამდე მოტანა. მაგალითად, თუ მოსწავლეს არ შეუძლია საკუთარი სურვილების ვერბალურად გამოხატვა, მნიშვნელოვანია შევთავაზოთ

არჩევანის გაკეთებისთვის ალტერნატიული ვარიანტები, წერილობით, მარტივი შეკითხვების დასმით ან ნახატების/საგნების საშუალებით.

მნიშვნელოვანია, ვიყოთ პიროვნებაზე ორიენტირებულები, ხელი შევუწყოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას, გავითვალსწინოთ მათი ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დავფიქრდეთ, რამდენად უწყობს ჩვენ მიერ შერჩეული სტრატეგიები ხელს, მოსწავლის სოციალური, აკადემიური თუ ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების გამოყენება-განვითარებას, რაც საბოლოოდ გავლენას იქონიებს უმთავრეს მიზანზე - დამოუკიდებლობის ხარისხზე, კეთილდღეობასა და პროდუქტულობაზე. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თუ რამდენად კომფორტული და მასტიმულირებელია ჩვენ მიერ შერჩეული სწავლა-სწავლების სტრატეგიები მოსწავლისთვის, გათვალისწინებულია განვითარების აქტუალური დონე და მიმართულია უახლოეს ზონაზე.

**მეოთხე ეტაპი,** გულისხმობს მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს თავად არ აქვს იმის უნარი, რომ განსაზღვროს საკუთარი საჭიროებები და გამოხატოს სურვილები. ასეთ დროს პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და ოჯახის წევრების მიერ. შესაძლებელია, შერჩეული სტრატეგიები პრიორიტეტულად და რელევანტურად მიაჩნდეს მასწავლებელსა და სპეციალისტს, თუმცა მშობელი განსხვავებულად ფიქრობდეს. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ შერჩეული სტრატეგიები და მიდგომები მათთან ერთად. დავფიქრდეთ, რამდენად თანხვედრაშია და გათვალისწინებულია მათი სურვილები, პრეფერენციები, კულტურული თავისებურებები თუ შეხედულებები, მოსწავლის საჭიროებები და საუკეთესო ინტერესები. ინფორმაციის გაცვლა და განხილვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

**მეხუთე ეტაპი** მოიცავს მასწავლებლის/სპეციალისტის თავისებურებების გათვალისწინებას. მასწავლებლები და სპეციალისტები წარმოდგენენ იმ უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენებას, რათა უზრუნველყონ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი და მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათ რეფლექსირება მოახდინონ საკუთარ შეხედულებებზე, რწმენებზე, თავდაჯერებულობაზე, წარსულ გამოცდილებებსა და შესაძლებლობებზე.

აუცილებელია, დავსვათ შეკითხვები თუ რამდენად კომფორტულია ჩვენთვის შერჩეული სტრატეგიების გამოყენება, არის თუ არა შესაბამისობაში ჩვენს შესაძლებლობებთან და უნარ-ჩვევებთან, რა პიროვნულმა ფაქტორებმა შეიძლება ხელი შეგვიშალოს განხორციელების პროცესში, რამდენად თავდაჯერებულად ვგრძნობთ თავს კონკრეტული მიდგომების გამოყენებისას და ა.შ.

შემდეგ, **მეექვსე ეტაპზე** უნდა დავფიქრდეთ, რამდენად იძლევა საგანმანათლებლო კონტექსტი, დაწესებულებაში თუ კლასში არსებული გარემო ფაქტორები, სკოლის მასალების გამოყენების ან ახალი მასალების შექმნისა და მოძიების შესაძლებლობა, საჭირო დამატებითი რესურსების ხელმისაწვდომობა ჩვენ მიერ შერჩეული სტრატეგიების განხორციელების საშუალებას. მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გამოვრიცხოთ ხელისშემშლელი ფაქტორები.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შერჩეული სტრატეგიები წარმატებით გაივლის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ეტაპებს, მაშინ გადავდივართ უმთავრეს, მათი გამოყენებისა და დანერგვის, **მეშვიდე ეტაპზე**, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ვუბრუნდებით მეორე სტადიას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ჩვენ მიერ შერჩეულმა სტრატეგიამ ვერ იმუშაოს კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებაში ან დროთა განმავლობაში დაკარგოს ეფექტურობა. ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, კიდევ ერთხელ მიუთითებს თითოეული შემთხვევის უნიკალურობაზე, პროცესის დინამიკურობასა და სტრატეგიების სწორად შერჩევის მნიშვნელობაზე. მსგავსი სიტუაციები პროცესის თანმხლები ნაწილია, თუმცა, ასეთ დროს, აუცილებელია, დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობას დიდწილად უზრუნველყოფს დინამიკაზე დაკვირვება და მონიტორინგი.

## სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა- განხორციელებისას. სასწავლო პროცესის ადაპტაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ერთი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი შესაძლებლობებით, საჭიროებებით, უნარ-ჩვევებით, სწავლის სტილით, ტემპითა და სხვა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები დიდი გამოწვევების წინაშე დგებიან და მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიზნების დაძლევის პროცესში. შესაბამისად, დგება გარკვეული ცვლილებების შეტანის, ადაპტაციისა და მოსწავლეზე მორგებული სტრატეგიების გამოყენების საჭიროება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის პირი, რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ასრულებს შესაბამისი კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დეფინიციაშია აღნიშნული, მათი უმეტესობა საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლებას. ისე არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი გეგმა, რომელიც სასწავლო გეგმის ნაწილია. ისე არის პროცესის ამსახველი მოქნილი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აუცილებლად ცვალებადია წლიდან წლამდე, ხოლო მოსწავლის საჭიროების შემთხვევაში, წლის განმავლობაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტით განსაზღვრული მიზნები და მისაღწევი შედეგები თანაბრად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ყველა მოსწავლისთვის, ხშირად ის საჭიროებს მოსწავლის შესაძლებლობების მიხედვით ცვლილებების შეტანასა და ადაპტაციას, სწავლა-სწავლების პროცესის სპეციფიკურად და განსხვავებულად წარმართვას.

ისე-ში მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ, მისი შეფასების შედეგები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა გათვალისწინებითა და რომლებზე დაყრდნობითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და მიზნის მიღწევის გზები და სტრატეგიები. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა საშუალებას:

- შეფასების შედეგები ფუნქციურად იქნას გამოყენებული მისი სწავლა-სწავლების პროცესის მხარდასაჭერად.
- ისე-ს შეხვედრები ზრდის სხვადასხვა მოსწავლესთან მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტებისა და მშობლის თანამონაწილობისა და კოლაბორაციის ხარისხს. იძლევა სწავლის მიმდინარეობისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე მოსწავლის შესახებ ინფორმაციის პერიოდულად გაცვლის შესაძლებლობასა და დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას.

- განსაზღვრავს მოსწავლესთან სამუშაო მიზნების პრიორიტეტებსა და რელევანტურ მოლოდინებს მის მიმართ.
- ასახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ მიმდინარე ინფორმაციას და იძლევა ცვლილებების შეტანის, რედაქტირებისა და ახალი მიზნების დასახვის შესაძლებლობას.
- ზრდის მშობლის თანამონაწილეობასა და განცდას, რომ მისი შვილი ჩართულია მასზე ორიენტირებულ სასკოლო გარემოსა და სწავლების პროცესში.
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დასახული სპეციფიკური, რეალისტური და მიღწევადი მიზნები ზრდის მოსწავლის სწავლის მოტივაციას.

SMART მიზნები
სპეციფიკური ( <b>Specific</b> ) - მიზნები უნდა იყოს ძალიან სპეციფიკური იმ აკადემიური თუ სოციალურ/ქცევითი მოლოდინების შესახებ, რომლებიც მოსწავლის მიმართ გვაქვს.
გაზომვადი ( <b>Measurable</b> ) - მიზნები უნდა იყოს ისეთი სახით ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იყოს მათი გაზომვა.
მიღწევადი ( <b>Achievable</b> ) - მიზნები უნდა ასახავდეს მაღალ მოლოდინებს მოსწავლის მიმართ, თუმცა ის აუცილებლად უნდა იყოს ზომიერი და კეთილგონივრული, რომელთა დაუფლებასაც მოსწავლე აუცილებლად შეძლებს.
რელევანტური ( <b>Relevant</b> ) - დასახული მიზნები უნდა იყოს მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების რელევანტური და უნდა ითვალისწინებდეს ზოგადსაგანმანათლებლო კონტექსტსა და სამომავლო მიზნებს.
დროში შემოსაზღვრული ( <b>Time limited</b> ) - განსაზღვრული უნდა იყოს შედეგის მიღწევისთვის საჭირო დროის მონაკვეთი.

როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გულისხმობს SMART მიზნების დასახვასა და ამ მიზნების მიღწევისთვის სწავლა-სწავლების შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას, სასწავლო გარემოსა და კურიკულუმის ადაპტაციას (იხ. ზემოთ მოცემული ცხრილი). ადაპტაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლის ეფექტური სწავლის პროცესის უზრუნველყოფა და ჩართულობის ხარისხის მაქსიმალურად გაზრდა სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს საკლასო აქტივობები თუ საშინაო დავალებების მომზადება და სხვა. გამოყოფენ ადაპტაციის სამ კატეგორიას:

- **დავალებების/აქტივობების დიზაინი** - ხელმისაწვდომი რესურსები, სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობა, ტექნოლოგიების ინტეგრაცია და სხვა.
- **ინსტრუქცია და კურიკულუმი** - სწავლების პროცესის გათვალისწინება, მკაფიო და მარტივი ენის გამოყენება, დავალებების ან აქტივობების საფეხურებად დაყოფა, ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვნება, გამოხატვის მრავლობითი საშუალებების გამოყენება და სხვა.

- ქვევითი თვალსაზრისით მხარდაჭერა - ქვევით გამოხატვის ალტერნატიული გზების სწავლება, თანმიმდევრული მიდგომების გამოყენება, სტრუქტურის შეთავაზება, პროაქტიულობა და ა.შ..

ადაპტაციების გამოყენება უზრუნველყოფს დიფერენცირებული ინსტრუქციებით სწავლებას, რაც თითოეული მოსწავლისთვის ზრდის ეფექტური სწავლა-სწავლების შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ თუ რა სახის ადაპტაციების განხორციელებაა საჭირო, დამოკიდებულია საგნის/გაკვეთილის სპეციფიკასა და მოსწავლის შესაძლებლობებზე. როდესაც არ არის თანხვედრა შესაძლებლობებსა და გაკვეთილის მოთხოვნებს შორის, ადაპტირება არის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება აღნიშნული განსვლის მინიმუმადე დაყვანისთვის. მაგალითად, თუ გაკვეთილის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს წაკითხული ისტორიის მოკლე შინაარსის წერილობით გადმოცემა, ხოლო მოსწავლეს აქვს კითხვის სირთულებები და უჭირს ასოებისა და სიტყვების სწრაფად ჩაწერა, ვდგებით ზემოხსენებული გარემოების წინაშე, როდესაც მოსწავლის შესაძლებლობებსა და დავალების მოთხოვნებს შორის არის დიდი განსვლა. დავალების ინსტრუქციის ცვლილება და მოსწავლის უნარების შესაბამისად ადაპტაცია არის ის, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს ჩაერთოს საერთო საგაკვეთილო პროცესში საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში. ძირითადი აზრის ერთ წინადადებად ჩაწერა და დამატებით დროის მიცემა შეიძლება წარმოადგენდეს ადაპტაციის ერთ ვარიანტს. მეორე ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ პარტნიორთან ერთად ძირითადი აზრის რამდენიმე წინადადებად ჩაწერა. ასეთ შემთხვევაში, კითხვის სირთულებების მქონე მოსწავლე სრულად ჩართული იქნება ისტორიის მთავარი იდეის შექმნა/ფორმულირებაში, ხოლო მის პარტნიორს კი შეეძლება ჩაწერა.

გამოიყოფა ადაპტაციის ორი ტიპი: აკომოდაცია და მოდიფიკაცია. თუმცა სანამ კონკრეტულად მათ დეფინიციაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ის კომპონენტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ადაპტაცია. ესენია: მოცულობა, დრო, სირთულის ხარისხი, მხარდაჭერის დონე, ინფორმაციის მიწოდების ფორმა, შესრულის/გამოხატვის ფორმა, თანამონაწილეობა/ჩართულობა და ალტერნატიული მიზნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი):

ადაპტაციის კომპონენტები:	
* ● მოცულობა	მასალის ან აქტივობების რაოდენობრივი შემცირება. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგანში შესასწავლი ტერმინების რაოდენობრივი შემცირება, სასწავლო ტექსტის შემოკლება და ა.შ.
* დრო	კონკრეტული დავალების თუ აქტივობისთვის განსაზღვრული დროის გაზრდა, მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.



* ● სირთულე/შინაარსი	გადასაჭრელი პრობლემის, საკითხის შინაარსობრივი ცვლილება, უნარის შესაბამისად გამარტივება, დავალებისადმი მოსწავლის მიდგომის წესების მოდიფიცირება.
* მხარდაჭერის დონე	პირადი ასისტირება, ინსტრუქციის ინდივიდუალურად მიწოდება, შესრულების პროცესში ფიზიკური ან ვერბალური მხარდაჭერა.
* ინფორმაციის მიწოდების ფორმა	ინსტრუქციის ან მასალის მიწოდების ფორმის ცვლილება. მაგალითად, თვალსაჩინო ბარათებისა და სურათების გამოყენება, ტექსტის შრიფტის შეცვლა ან გაზრდა, „კეთებითი“ აქტივობის შეთავაზება, თანატოლებთან ერთად ჯგუფში განაწილება, გაკვეთილის დაწყებამდე საკითხის შესახებ მცირე ინფორმაციის მიწოდება შემზადების მიზნით და ა.შ.
* შესრულების, გამოხატვისა და ცოდნის დემონსტრირების ფორმა	მოსწავლის მიერ კონკრეტული უნარის, შესრულებული დავალებისა თუ ინფორმაციის გადმოცემის/გამოხატვის ფორმის ცვლილება მისი შესაძლებლობების შესაბამისად. მაგალითად, კითხვებზე პასუხის წერილობით გაცემის ნაცვლად ვერბალურად მისი გამოკითხვა, ცოდნის პრაქტიკული აქტივობით დემონსტრირება, რესურსებით/მასალებით კონკრეტული პროდუქტის შექმნა და ა.შ.
* თანამონაწილეობა და ჩართულობა	გარემო პირობების, კონტექსტისა და სიტუაციის იმ სახით ორგანიზება, რომ მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული. მაგალითად, გეოგრაფიის გაკვეთილზე გლობუსის ხელში დაჭერა მაშინ, როდესაც თანაკლასელი მასწავლებლის მიერ დასახელებულ კონკრეტულ ქვეყნებს, ობიექტებს მიუთითებს ან სპორტის გაკვეთილზე თავის გუნდს მიუძღვებოდეს წინ და ა.შ.
● ალტერნატიული მიზნები	იმავე რესურსების გამოყენება, თუმცა მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ცვლილება. მაგალითად, ფერების მიხედვით რუქაზე კონტინენტების იდენტიფიცირება და დასახელება, მაშინ როდესაც სხვა მოსწავლეები პოულობენ და ასახელებენ ქვეყნებსა და მათ დედაქალაქებს.

დავუბრუნდეთ ადაპტაციის ტიპებს - აკომოდაციასა და მოდიფიკაციას. **აკომოდაციის** შემთხვევაში ხდება იმის ცვლილება თუ *რეგულ*სწავლობს მოსწავლე კონკრეტულ მასალას ან ახორციელებს კონკრეტულ აქტივობას და შემდგომში მის დემონსტრირებას. ცხრილში სიმბოლო „\*“ (ფიფქით) მონიშნულია ადაპტაციის ის კომპონენტები, რომელთაგან ერთის ან რამდენიმეს ცვლილება ხდება აკომოდაციის შემთხვევაში. მთავარი კონცეფცია მდგომარეობს შემდეგში: საბოლოოდ შეძლებს თუ არა მოსწავლე კლასისთვის საერთო მასალის შესაბამისად ათვისებას, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში მიწოდებულია თანაკლასელებისგან განსხვავებული ფორმით, დამატებითი მხარდაჭერით და ცოდნის დემონსტრირების ალტერნატიული


ფორმების გამოყენების შესაძლებლობით. აკომოდაციის შემთხვევაში არ მცირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ სწავლის მოთხოვნები, თუმცა იცვლება მასზე ხელმისაწვდომობა.

მაგალითი: მოსწავლე წერს ტექსტს იმავე მასალიდან, რაც მის თანაკლასელებს აქვთ, მაგრამ კალმისა და ფურცლის ნაცვლად, იყენებს აიპადს ან კომპიუტერს.

თუ აკომოდაცია არ არის საკმარისი, მაშინ საჭირო ხდება **მოდифიკაცია**, რომელიც გულისხმობს რას სწავლობს მოსწავლე ან რისი მოლოდინი გვაქვს რომ ისწავლის. ცხრილში სიმბოლო „●“ (შავი წერტილი) მონიშნულია ადაპტაციის ის კომპონენტები, დამატებით რომელთა ცვლილებაც ხდება მოდიფიკაციის შემთხვევაში.

მაგალითი: მოსწავლე წერს მცირე ტექსტს მასალიდან, რომელიც განსხვავებულია მათი თანატოლების ტექსტისგან და შერჩეულია მისი შესაძლებლობების შესაბამისად.

აკომოდაციებისა და მოდიფიკაციების უკეთ გაგების მიზნით, გთავაზობთ ქვემოთ მოცემულ გამოსახულებას, რომელშიც მოცემულია კონტინუუმი - მცირე ცვლილებებიდან უფრო რთულ და კომპლექსური ცვლილების საჭიროებებამდე, ადაპტაციის კომპონენტების მიხედვით. კონტინუუმის ბოლოში მივდივართ ალტერნატიული სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობამდე. ალტერნატიული სასწავლო გეგმის შედგენა ხდება მძიმე და მრავლობითი გონებრივი დარღვევის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში.






## ადაპტაციის ტიპები

აკომოდაცია	მოდიფიკაცია
<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის სტანდარტები და მოლოდინები არ იცვლება. მოსწავლის მიმართ არის მოლოდინი, რომ მიიღებს იმავე შედეგს, რასაც მისი თანაკლასელები.</li> <li>• მოსწავლე ასრულებს კლასის მსგავს დავალებას, თუმცა, შესაძლებელია, შეიცვალოს მისი მხარდაჭერის, ინფორმაციის მიღებისა და შემდგომში გამოხატვა/დემონსტრირების დრო და ფორმა.</li> <li>• შეფასება არ იცვლება.</li> </ul> <p><i>მაგალითები ზოგადი აკომოდაციებისა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გაზრდილი შრიფტი</li> <li>○ დამატებითი დრო დავალების შესრულებისთვის</li> <li>○ კონკრეტული მაგალითების მიწოდება</li> <li>○ ადაპტირებული საწერი საშუალებები</li> <li>○ აუდიალური ინფორმაციის ვიზუალური მასალით შევსება</li> <li>○ სივრცე მოძრაობა/შესვენებისთვის</li> <li>○ დამატებითი ვიზუალური და ვერბალური მასალები</li> <li>○ ტექსტში მონიშვნების გაკეთება</li> <li>○ კომპიუტერისა და კალკულატორის გამოყენება</li> <li>○ აუდიოწიგნები</li> <li>○ მოსმენილი ინფორმაციის/ინსტრუქციის მოსწავლის მიერ გამეორება</li> <li>○ გრაფიკებისა და ცხრილების გამოყენება</li> <li>○ დისტრაქტორების შემცირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის სტანდარტები და მოლოდინები მოსწავლის მიმართ განსხვავებულია და მორგებულია მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.</li> <li>• მოსწავლე ასრულებს კლასისგან განსხვავებულ დავალებას და იცვლება მისი სირთულე, შინაარსი, შესრულების ფორმა და/ან სხვა.</li> <li>• შეფასება დამოკიდებულია მიზნებზე.</li> </ul> <p><i>მაგალითები ზოგადი მოდიფიკაციებისა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ შესასწავლი საკითხის მიხედვით ალტერნატიული წიგნებისა და მასალის გამოყენება</li> <li>○ კითხვითი აქტივობის ნაცვლად ფილმისა და ვიდეოს გამოყენება</li> <li>○ წერილობითი დავალებების ნაცვლად მარტივი პროექტების მომზადება</li> <li>○ კითხვების მარტივი სიტყვებითა და მოკლე წინადადებებით ფორმულირება</li> <li>○ დავალებებისა და ტესტების მოდიფიცირება</li> <li>○ დროის მოდიფიცირება</li> <li>○ შეფასება მიზნების მიხედვით</li> </ul> <p><i>ქცევითი მოდიფიკაციის მაგალითები:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დავალებებს შორის შესვენება</li> <li>○ მყისიერი უკუკავშირი</li> <li>○ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში გეგმის არსებობა</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ რუტინისა და სტრუქტურის შეთავაზება</li> <li>○ ვიზუალური ყოველდღიური განრიგი</li> <li>○ მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან</li> <li>○ მყისიერი უკუკავშირი</li> </ul> <p><i>აკომოდაციის მაგალითები გამოკითხვისას და შეფასებისას:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ხშირი შესვენებები</li> <li>○ დამატებითი დრო ან დროის ლიმიტის მოხსნა</li> <li>○ ვერბალურად გამოკითხვა</li> <li>○ კითხვები ალტერნატიული პასუხებით, „სწორია/არასწორია“ ტიპის კითხვები</li> <li>○ მოკლე პასუხების მიღება</li> <li>○ ინსტრუქციის ვერბალურად მიწოდება</li> <li>○ მიმართულების მიცემა ტესტირებამდე</li> <li>○ შეკითხვების მოკლედ ფორმულირება</li> <li>○ ჰაილაიტების გაკეთება მიმართულების მიცემის მიზნით</li> <li>○ და სხვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ პოზიტიური წახალისების გამოყენება</li> <li>○ თანატოლების მიერ მოსწავლის მხარდაჭერის რესურსის გამოყენება</li> <li>○ სასურველი ქცევის მოდელირება</li> <li>○ მშობლების ინფორმირება საშინაო დავალებებთან დაკავშირებით</li> <li>○ საკლასო სივრცეში ქცევის წესების/შეთანხმებების შედგენა (თვალსაჩინო ბარათების გამოყენება)</li> <li>○ დინამიკის მონიტორინგი და პროგრესის ჩანიშვნა</li> <li>○ და სხვა.</li> </ul>
--	--

## სწავლისა და სწავლების ზოგადი კონცეფციები და სტრატეგიები

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ინკლუზიური განათლებისა და გარემოს უზრუნველყოფის მიზნითა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის აკადემიური, სოციალური, კოგნიტური თუ ფუნქციური უნარ-ჩვევების წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია, გამოყენებულ და დანერგილ იქნას ისეთი მიდგომები და სტრატეგიები, რომელთა ეფექტურობაც დადასტურებული/ალიარებულია კვლევებისა და საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით. ეფექტური, მტკიცებულებაზე დაფუძნებული კონკრეტული სტრატეგიების განხილვისას, სანამ უშუალოდ მათ იმპლემენტაციასა და გამოყენებაზე გადავალთ, აუცილებელია, გავითვალისწინოთ ზოგადსაგანმანათლებლო გარემო, კულტურული კონტექსტი და სკოლის ყოველდღიური რეალობა. სტრატეგიები უნდა იყოს რელევანტური კულტურული თავისებურებების თვალსაზრისით, უნდა შეესაბამებოდეს როგორც მასწავლებლებისა და სპეციალისტების ცოდნას, უნარ-ჩვევებს, შესაძლებლობებსა და გამოცდილებებს, ასევე, თავად მოსწავლის, მშობლების, ოჯახისა და საზოგადოების ღირებულებებსა და ინტერესებს (Cook and Cook 2011; Habib et al. 2013).



უცნობი ავტორის ამ ილუსტრაციას ხშირად თან ახლავს, ასევე, სხვა უცნობი ავტორის ციტატა: „ყველა ადამიანი გენიოსია. მაგრამ თუ ჩვენ თევზს შევაფასებთ და განვიხილავთ მისი ხეზე აძრომის უნარის მიხედვით, ის ყოველთვის იცხოვრებს იმ რწმენით, რომ უუნაროა“ (“Everybody is a genius. But if you judge a fish by its ability to climb a tree, it will live its whole life believing that it is stupid”). ეს ილუსტრაცია და ციტატა, მართალია იუმორით, თუმცა ნათლად გვაჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია შეფასებისა თუ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის

ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინება, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და პირობების უზრუნველყოფა, მოსწავლეზე მორგებული სპეციფიკური მიდგომებისა და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება, რათა მას ჰქონდეს საკუთარი თავის რეალიზების, გამოვლენისა და განვითარების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია მოსწავლემ იგრძნოს, რომ გარემო არის პოზიტიური, პროგნოზირებადი და უსაფრთხო, სადაც აქცენტი კეთდება არა მის სუსტ, არამედ ძლიერ მხარეებზე. ხედავენ მის შესაძლებლობებს, რესურსს და სწორედ მასზე მორგებული და მასტიმულირებელი საგანმანათლებლო პროცესის შეთავაზებით, ეძლევა საკუთარი თავის გამოვლენის, განვითარების, პოზიტიური და წარმატებული გამოცდილების მიღების საშუალება, რაც გავლენას ახდენს მისი თვითფექტურობის განცდასა და მოტივაციაზე.

ჩვენ მიერ ქვემოთ განხილული სტრატეგიები წარმატებით იქნა გამოყენებული და დანერგული არაერთ კულტურულად და საგანმანათლებლო თვალსაზრისით განსხვავებულ გარემოში, შესაბამისად მიიჩნევა, რომ აკმაყოფილებენ Cook and Cook-ის მიერ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### *სწავლების უნივერსალური დიზაინი*

სწავლების უნივერსალური დიზაინი გულისხმობს ისეთი გაკვეთილების, მასალებისა და რესურსების შექმნა/მომზადებასა და საგანმანათლებლო გარემოს იმ სახით ორგანიზებას, რომ ითვალისწინებდეს ყველა მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, განსხვავებულ სწავლის სტილს. უნივერსალური დიზაინის პრინციპი ხელმძღვანელობს იმ მიდგომებისა და სტრატეგიების განვითარება/დანერგვით, რომელთა გამოყენება სარგებლის მომტანია ყველა მოსწავლისთვის. თითქმის შეუძლებელია ერთი კონკრეტული მიდგომა მისი პირდაპირი და ხისტი გამოყენებით მორგებული იყოს ყველა მოსწავლეზე. სწავლის უნივერსალური დიზაინი აღიარებს მრავალფეროვანი გზების გამოყენების საჭიროებას, რომელთა საშუალებით მოსწავლეებს ეძლევათ სწავლის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, სხვადასხვა ფაქტორისა და კომპონენტების შესაბამისი აკომოდაციებითა და მხარდამჭერი, გამომწვევი და მასტიმულირებელი გარემო-პირობების შექმნით.

სწავლების უნივერსალური დიზაინის კონცეფცია მომდინარეობს არქიტექტურის სფეროდან და პირველად ის ინგლისელმა არქიტექტორმა (რონალდ მეისი) გამოიყენა ყველასთვის ხელმისაწვდომი შენობის სტრუქტურის აღსაწერად. შემდგომში უნივერსალური დიზაინი ჩამოყალიბდა როგორც მიმდინარეობა, რომლის მიზანი ისეთი ადგილების, კონსტრუქციებისა და საგნების შექმნაა, რომელიც ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის და ამავედროულად სასარგებლოა სხვებისთვისაც. მაგალითად,

პანდუსები და ავტომატური კარები უნივერსალური დიზაინის ის თვალსაჩინო მაგალითებია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება.

მაგალითისთვის განვიხილოთ ავტომატური კარის საკითხი: ის შექმნილია ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ ფიზიკური შეზღუდვა, სირთულეები მოტორიკისა და მობილობის თვალსაზრისით. ჩვენ შესაძლებელია არ გვექონდეს მსგავსი კარის არსებობის საჭიროება, თუმცა ის ჩვენც გვიქმნის კომფორტსა და გვადლევედს გარკვეულ სარგებელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელები დაკავებული გვაქვს ჩანთებით, პროდუქტებით სავსე პარკებით ან ძალიან დამლელი სამუშაო დღის ბოლოა. მსგავსი პრინციპი მოქმედებს სასწავლო გარემოშიც. სწავლების უნივერსალური დიზაინის მიხედვით ორგანიზებული სასწავლო პროცესი და სივრცე სარგებლის მომტანია, როგორც გარკვეული სირთულეებისა და საჭიროებების მქონე, ასევე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისთვისაც.

პროცესის დაგეგმვისას სწავლების უნივერსალური დიზაინი ხელმძღვანელობს შვიდი ფუნდამენტური კრიტერიუმით:

- **სამართლიანობა** - ხელმისაწვდომობა და თანაბარი პირობები ყველა მოსწავლისთვის.
- **სიმარტივე** - გასაგები და მარტივად გამოსაყენებელი მიუხედავად უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დონისა.
- **მოქნილობა** - შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მიერ.
- **საკმარისი/შესაბამისი ზომა და სივრცე** - გამოყენება არ არის დამოკიდებული ზომასა და მობილობაზე.
- **შეცდომებისადმი ტოლერანტობა** - მყისიერი უკუკავშირი შეცდომების გამოსწორების მიზნით.
- **მინიმალური ფიზიკური ძალისხმევა** - კომფორტულად გამოსაყენებელი, რომელიც მოითხოვს მინიმალურ ძალისხმევას.
- **მკაფიო და გასაგები კომუნიკაცია** - მიწოდებული ინფორმაცია მარტივად აღქმადია და გასაგებია ყველასთვის.

სწავლების უნივერსალური დიზაინი დაფუძნებულია სამ ძირითად პრინციპზე, რომლებიც ეხება სამ მნიშვნელოვან კომპონენტს - ინფორმაციის მიწოდება, გამოხატვა და ჩართულობა:

1. **სწავლების მრავალფეროვანი და მოქნილი საშუალებების გამოყენება** - სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი გზების, საშუალებებისა და რესურსების შეთავაზება ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის დაუფლების პროცესში.
2. **შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სხვადასხვა გზით გამოხატვა** - მიღებული ცოდნის დემონსტრირების ალტერნატიული გზების შეთავაზება.
3. **მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება** - ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და მამოტივირებელი ფაქტორები.



სწავლების უნივერსალური დიზაინის დანერგვა შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და საკლასო ოთახებში მოსწავლეების შეფასების, სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და სწავლა-სწავლების სტრატეგიების თვალსაზრისით, შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით (Burgstaber, 2012):

- ✓ *საკლასო კლიმატი* - უნდა ასახავდეს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ღირებულებებს საკლასო ოთახებში.
- ✓ *ურთიერთობა/ინტერაქცია* - ეფექტური ურთიერთობისა და კომუნიკაციის წარმოება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.
- ✓ *ფიზიკური გარემო* - ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა სივრცის, რესურსებისა და სხვადასხვა აღჭურვილობის კუთხით.
- ✓ *მიწოდების მეთოდები* - ინსტრუქციები უნდა იყოს გასაგები ყველა მოსწავლისთვის.
- ✓ *ინფორმაციული ტექნოლოგიები* - სასწავლო მასალები და სხვა საინფორმაციო რესურსები უნდა იყოს მასტიმულირებელი, მოქნილი და ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის.
- ✓ *უკუკავშირი* - მოსწავლეები უნდა იღებდნენ კონკრეტულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს.
- ✓ *შეფასება* - მოსწავლეების დინამიკისა და პროგრესის ხშირი შეფასება და მიღებული შედეგების გათვალისწინება/გამოყენება სწავლა-სწავლების სტრატეგიების გამოყენების პროცესში.
- ✓ *აკომოდაცია* - დავალებების შექმნისას გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები.

სწავლების უნივერსალური დიზაინი არის ის სტრატეგია, რომლის იმპლემენტაციაც სარგებლისა და წარმატების მომტანია ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის: გაკვეთილები და რესურსები შექმნილი და ორგანიზებულია ისე, რომ ითვალისწინებს და ერგება ნებისმიერი სწავლის სტილის მქონე მოსწავლეს. გაკვეთილის ორგანიზებისას მუდმივად ხდება იმაზე დაფიქრება, როგორ არის შესაძლებელი პროცესის იმ სახით განვითარება/წარმართვა, რომ მორგებული იყოს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეებზე, უქმნის თუ არა მათ თანაბარ პირობებსა და ხელმისაწვდომობას.

### *სწავლა-სწავლების დიფერენციალური მიდგომა/ინსტრუქციები*

ერთი ასაკის მოსწავლეებს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ, თუმცა, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც სწავლის უნარ-ჩვევების მიხედვით, ასევე სხვა ფაქტორებისა თუ მახასიათებლების თვალსაზრისით.

აღნიშნული განსხვავებები უფრო თვალსაჩინო ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში. ის, რაც გვერთიანებს, ყველას გვხვდის ადამიანებად, ხოლო ის, რაც განგვასხვავებს, გვხვდის ინდივიდებად. სწავლა-სწავლების დიფერენციალური მიდგომის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა საერთო მახასიათებლებს, რაც შემდგომ გათვალისწინებულია პროცესში, თუმცა სწავლა-სწავლების უმთავრეს ელემენტს მოსწავლეთა განსხვავებების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინება წარმოადგენს.

დიფერენცირებული მიდგომა/ინსტრუქციები გულისხმობს საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესის იმ სახით ორგანიზებას, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ინფორმაციის მიღების, ცნებების და იდეების დაუფლებისა და შესწავლილის გამოხატვის თვალსაზრისით მრავალფეროვანი საშუალებებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა გზებს შინაარსისა და იდეების გაგების, გადამუშავების, გააზრების და შესაბამისი პროდუქტის შექმნის პროცესში, რათა ყველას ჰქონდეს სწავლის მიღების შესაძლებლობა მათი ინდივიდუალური საჭიროებების, უნარ-ჩვევებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებით. ყველა მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავიანთი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით, ხოლო სწავლების პროცესის ორგანიზებისას ხდება ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება და მოსწავლეებზე მორგება. დიფერენცირებული სწავლებისას ის მეთოდები და სტრატეგიები, რასაც მასწავლებელი მიმართავს ინდივიდუალიზირებულია და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, მათი უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ერთმანეთის საშუალებით სწავლასა და თვითსწავლას.

ხშირ შემთხვევაში, გაკვეთილებზე სწავლა-სწავლებისადმი მიდგომა, შეთავაზებული დავალებები და აქტივობები, ინსტრუქციის მიცემის თავისებურებები, უფრო საერთოა მთელი კლასისთვის, ვიდრე დიფერენცირებული და მორგებული ყველა მოსწავლის თავისებურებაზე. მაგალითისთვის განვიხილოთ პირველ კლასში მოსწავლეებისთვის მიცემული დავალება, რომ დახატონ მოსმენილი ტექსტის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. შესაძლებელია, მოსწავლეებმა დახატონ მოთხრობის სხვადასხვა ასპექტები და ელემენტები, თუმცა მათთვის საერთოა შინაარსი და მისი შესრულებისა და გააზრების აქტივობა, საბოლოო პროდუქტი. მსგავსი ტიპის გაკვეთილები ყველასთვის ადვილად წარმოსადგენი, ნაცნობი და ტიპურია, თუმცა მნიშვნელოვნად მოკლებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების მიდგომებს. მაშინ, როდესაც წლების მანძილზე მოსწავლეებს ვთავაზობდით ასეთ ტიპურ გაკვეთილს, ბუნებრივია, ცოტა რთული წარმოსადგენია როგორი შეიძლება იყოს დიფერენცირებული კლასი და გაკვეთილი. იმისათვის, რომ გავიაზროთ, როგორ არის შესაძლებელი ტრადიციული სწავლა-სწავლების სტილიდან დიფერენცირებულ მიდგომაზე გადასვლა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, კარგად გავიგოთ, რა არის და რას გულისხმობს სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ინსტრუქციები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ბევრი მასწავლებელი ამჩნევს რა მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებსა და საჭიროებებს, უშუალოდ პროცესში ჩართვამდე, ხშირად ეკითხება საკუთარ თავს - „როგორ შევძლო დროის, რესურსებისა და საკუთარი შესაძლებლობების ისე გადანაწილება, რომ ვიყო ეფექტური და შევძლო საკუთარი მოსწავლეების უნარ-ჩვევებისა და პოტენციალის მაქსიმიზირება, გამოვლენა და რეალიზება“. შესაბამისად, ბევრი მასწავლებელი პროცესში ისე იყენებს დიფერენცირებულ მიდგომას, რომ არც იცის მისი სახელი ან იყენებდა მანამდე, სანამ სახელი დაერქმეოდა და კონკრეტულ მიდგომად ჩამოყალიბდებოდა. ასეთი მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ, გააკეთონ მაქსიმალური იმისთვის, რომ მოსწავლეები, მიუხედავად განსხვავებული შესაძლებლობებისა, ყოველდღიურად უზრუნველყოფილნი იყვნენ ზრდა-განვითარებისთვის შესაბამისი გარემო პირობებით.

### **დიფერენცირებული მიდგომის მახასიათებლები**

დიფერენცირებული მიდგომის შემთხვევაში, მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესს იწყებენ მოსწავლის ცოდნისა და განვითარების მიმდინარე ეტაპიდან. მათთვის ამოსავალ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავიანთი სწავლის სტილითა და პოტენციალით. შესაბამისად, აცნობიერებენ იმის აუცილებლობას, რომ მასწავლებლები მუდმივად მომზადებული უნდა იყვნენ იმისთვის, რომ მოსწავლეებს ინსტრუქციები და დავალებები შესთავაზონ იმ სახითა და ფორმით, რომ უზრუნველყონ მათი ჩართულობა და გაითვალისწინონ ინფორმაციის ეფექტურად გადამუშავების საუკეთესო მოდალობები, მოსწავლეთა ინტერესები მრავალფეროვანი და სხვადასხვა სირთულის დავალებების მიწოდებით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლე სწავლის პროცესში „ეჯიბრება“ საკუთარ თავს, რადგან სწორედ საკუთარ თავთან და წარსულ, პერსონალურ გამოცდილებებთან შედარება წარმოადგენს ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს.

მასწავლებელი ცდილობს, სპეციფიკური გზებისა და სტრატეგიების გამოყენებით უზრუნველყოს მოსწავლის სიღრმისეული და სწრაფი სწავლა-სწავლების პროცესი და ამასთანავე გაითვალისწინოს, რომ თითოეული მათგანის განვითარების „რუკა“ არის უნიკალური. მას უნდა ჰქონდეს მაღალი, თუმცა რეალისტური მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ და მუდმივად რწმუნდებოდეს იმაში, რომ ნებისმიერი მოსწავლე სწავლობს და მუშაობს მოსალოდნელზე მეტს, აღწევს მეტს, ვიდრე მიჩნეულია, რომ შეუძლია. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება დარწმუნდნენ, რომ შრომის შედეგად წარმატება მიიღწევა.

დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებელი დროში მოქმედებს, სთავაზობს მოსწავლეებს მრავალფეროვან სტრატეგიებს და ცდილობს, გახდეს სწავლა-სწავლების პროცესში მათი პარტნიორი, რათა დარწმუნდეს, რომ სასწავლო გარემო და ის, რაც ისწავლა მოსწავლემ, მორგებულია მასზე და არა პირიქით ანუ ეცადოს გარემო მოარგოს მოსწავლეს. შესაძლებელია ითქვას, რომ მასწავლებლები ერთგვარად ხდებიან თავიანთი მოსწავლეების მოსწავლეები.



ასევე, დიაგნოსტიკოსები, რომლებიც არჩევენ საუკეთესო სტრატეგიებს მათთვის და აქტორები, რომლებიც ქმნიან მათ საჭიროებაზე მორგებულ რესურსებს.

დიფერენცირებული საკლასო გარემოს შესაქმნელად არ არსებობს უნივერსალური ფორმულა, მაგრამ არსებობს პრინციპები, რომელთაც მივყავართ დიფერენცირებული საკლასო გარემოს შექმნამდე:

- **მასწავლებელი ფოკუსირებულია ძირითად და არსებით საკითხებზე** - არავის ძალუძს კონკრეტული მასალიდან ყველაფრის შესწავლა. ჩვენი ტვინი ისეა მოწყობილი, რომ, მიუხედავად მაღალი შესაძლებლობებისა, კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მეტი ინფორმაცია გვავიწყდება, ვიდრე ვიმახსოვრებთ. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იმ ძირითადი ასპექტების არტიკულირება მოახდინოს, რომლებიც აუცილებელია, გაიგოს, შეისწავლოს და დაიმახსოვროს მოსწავლემ. დავალებების შექმნა და ინსტრუქციების აგება უნდა ხდებოდეს ძირითადი კონცეფციების, პრინციპებისა და უნარების დაუფლების მიმართულებით თითოეული საგნის ფარგლებში. ნათელი, ზუსტი და მკაფიო დავალებები ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებისა და შინაარსისას და დანიშნულების გაცნობიერების ალბათობას.
- **მასწავლებელი აღიარებს მოსწავლეთა განსხვავებულობას** - ადრეული ასაკიდან ბავშვები ხვდებიან, რომ ზოგს ბურთით თამაში გამოსდის კარგად, ზოგს სასაცილო ისტორიების მოყოლა, ზოგს ციფრებით მანიპულირება ან ადამიანებისთვის ბედნიერიების მინიჭება. ისინი იმასაც კარგად ხვდებიან, რომ ზოგიერთ ჩვენგანს აქვს კითხვის, გადაადგილების თუ სხვა სირთულეები. ბავშვებს ადრეული ასაკიდან აქვთ იმის ტენდენცია, სამყარო მიიღონ ისეთად, სადაც გარკვეული თვალსაზრისით ყველანი განვსხვავდებით ერთმანეთისგან. ისინი არ იბრძვიან ერთგვაროვნებისთვის, არამედ, ეძებენ გამარჯვებისა და აღიარების იმ განცდას, რომელიც მიიღწევა მაშინ, როდესაც გრძნობენ სხვების მხრიდან პატივისცემას, მხარდაჭერას, მზრუნველობას ან სთავაზობენ (აწვდიან) ისეთი გამოწვევების შესრულებას, რომელთაც ეგონათ რომ ვერასდროს გაუმკლავდებოდნენ.  
მასწავლებელი აცნობიერებს, რომ ყველა მოსწავლეს აერთიანებს ზრუნვის, უსაფრთხოების, მიკუთვნებულობის, მიღწევის, წარმატებულობის განცდის ბაზისური საჭიროება, რასაც მუდმივად ეძიებენ. სწორედ განსხვავებულობის გათვალისწინებითაა შესაძლებელი ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჩვენი გამოცდილებები, კულტურა, სქესი, გენეტიკა თუ ნევროლოგიური თავისებურებები გავლენას ახდენს იმაზე, რას და როგორ ვსწავლობთ. დიფერენცირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებელი უპირობოდ იღებს მოსწავლეებს ისეთებად, როგორებიც არიან და ელის მათგან, რომ გახდნენ ისეთები, როგორებიც შეუძლიათ რომ იყვნენ.
- **მოსწავლის შეფასება და სწავლა-სწავლების პროცესი განუყოფელია** - სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს განსაზღვრავს მოსწავლის მიმდინარე მდგომარეობა და შესაძლებლობები, რომლის დადგენაც ხდება მისი შეფასების შედეგად. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის შემოქმედებით და სწავლის პროცესს. მიღებული ინფორმაციის შედეგად კი განსაზღვრავს, რა ცოდნას ფლობს ის, როგორ შეიმეცნებს და არის თუ არა კონკრეტული აქტივობა ეფექტური მასთან მიმართებით. მოსწავლის შეფასების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სწავლების

პროცესის უკეთ უზრუნველყოფის გზით მათი დახმარება და არა მათი შეცდომებისა და წარუმატებლობის ასახვა/დოკუმენტირება.

- **მასწავლებელი მოდიფიკაცია-ადაპტაციას ახდენს შინაარსის, პროცესისა და პროდუქტის (შედეგის) მიხედვით** - შეფასების შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შინაარსის, პროცესისა და პროდუქტის მოდიფიკაცია/ადაპტაცია.

**შინაარსი** - იგულისხმება ის, რაც მოსწავლემ უნდა ისწავლოს, ასევე, ის რესურსები და მექანიზმები რისი საშუალებითაც მიიღწევა ცოდნის, იდეების, ცნებების დაუფლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების პროცესი.

**პროცესი** - ის აქტივობები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეების უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ანუ იგულისხმება ის თუ როგორ და რა გზით ხდება მოსწავლის მიერ ცოდნისა და შინაარსის დაუფლება.

**პროდუქტი (შედეგი)** - გამოხატვის ის საშუალებები და ხერხები, რომლითაც მოსწავლე ახდენს მიღებული ცოდნის დემონსტრირებას.

მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მზაობის, ინტერესებისა და სწავლის პროფილის მიხედვით.

**მზაობა** არის მოსწავლის საწყისი წერტილი კონკრეტული ცოდნისა თუ უნარის არსებობასთან მიმართებით. მოსწავლეს, რომელსაც ნაკლებად აქვს განვითარებული მზაობა შესაძლებელია დასჭირდეს:

- ვინმე, ვინც დაეხმარება მას სირთულეების იდენტიფიცირება/გადალახვაში, რათა შეძლოს წინსვლა.
- უფრო მეტი პირდაპირი ინსტრუქციის მიღებისა და პრაქტიკის შესაძლებლობა.
- აქტივობები/მასალები, რომლებიც უფრო სტრუქტურირებული, გასაგები და/ან კონკრეტულია, ნაკლები საფეხურებით და ახლოს დგას მის გამოცდილებასთან.
- უფრო მეტად წინასწარ ორგანიზებული და პროგნოზირებადი სასწავლო პროცესი.

**ინტერესი** - იგულისხმება მოსწავლის სწრაფვა, ცნობისმოყვარეობა ან გატაცება კონკრეტული საკითხით ან უნარით. მაგალითად, მოსწავლეს შესაძლებელია მოსწონდეს რიცხვები და მათემატიკური მანიპულაციების განხორციელება, რადგან უყვარს მაღაზიაში საყიდლებზე წასვლა ან შესაძლებელია აინტერესებდეს ინგლისურის გაკვეთილი, რადგან მისი საყვარელი მულტფილმი არის ინგლისურ ენაზე.

**სწავლის პროფილი** - იგულისხმება თუ როგორ სწავლობს მოსწავლე. მას შეიძლება განაპირობებდეს პრეფერენციები, სქესი, კულტურული თავისებურებები ან სწავლის სტილი. ზოგიერთი მოსწავლე უკეთ სწავლობს მოსმენისას და თანატოლებთან ერთად, ხოლო ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს მარტო სწავლას ან უკეთ აღიქვამს წერილობით ინფორმაციას. ზოგიერთ მოსწავლეს სჭირდება კონკრეტული მასალის დეტალურად და შემადგენელ ასპექტებად დაშლა, რათა აღიქვას მიღებული ინფორმაცია, ხოლო ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს მთლიანობით პრინციპს, რადგან უჭირს კონკრეტული ასპექტების გამთლიანება.

## მასწავლებელს შეუძლია დიფერენცირება მოახდინოს



მასწავლებელმა შესაძლებელია ადაპტირება მოახდინოს ერთი ან რამდენიმე ელემენტის (შინაარსი, პროცესი, პროდუქტი) მოსწავლეების მახასიათებლების გათვალისწინებით (მზაობა, ინტერესი, სწავლის პროფილი). მოდიფიცირება საჭიროა მაშინ, როდესაც (1) იკვეთება მოსწავლისთვის ამის საჭიროება და (2) მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ მოდიფიკაცია ზრდის მოსწავლის მიერ იდეების დაუფლებისა და მნიშვნელოვანი უნარების გამოყენების ალბათობას.

ხანდახან გამოიყოფა მოდიფიცირების მეოთხე ელემენტი - *სასწავლო გარემო* - იგულისხმება ეფექტური სწავლების ოპტიმალური პირობების შექმნის როგორც ფიზიკური (მაგალითად, ავეჯი ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობებისთვის, განათება და ა.შ.) ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორები (მაგალითად, უსაფრთხო და ზედმეტი გამღიზიანებლებისგან თავისუფალი მშვიდი სივრცე).

- *ყველა მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში* - ზოგიერთი მოსწავლე უკეთ შეიმეცნებს, როდესაც კონკრეტული საკითხი კავშირშია მის პრაქტიკულ გამოცდილებასა და ყოველდღიურობასთან, ზოგიერთს კი შეუძლიათ იდეის შესახებ უფრო კონცეპტუალურად მსჯელობა. ზოგიერთ მოსწავლეს მოსწონს სიზუსტე და თავს არიდებს კრეატიულობას. ზოგიერთს უნდა რომ იმდეროს მოსმენილი მოთხრობის შესახებ, ზოგს ცეკვა უნდა, ზოგს კი ავტორისთვის ან პერსონაჟისთვის წერილის მიწერა. ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის მიღწევას სწორედ ინდივიდთა იდენტობისა და პიროვნული მახასიათებლების პატივისცემა და გათვალისწინება განაპირობებს. მასწავლებლის მხრიდან მნიშვნელოვანია:

- თითოეული მოსწავლის მზაობის დონის პატივისცემა.
- მოლოდინი იმისა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს განვითარება-ზრდის რესურსი და მათი მხარდაჭერა ამ პროცესში.
- მოსწავლეებისთვის ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შეთავაზება, სადაც შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელთა სირთულის ხარისხი იზრდება მიღებული ცოდნის შესაბამისად.
- ისეთი საკითხების, მასალებისა და რესურსების მომზადება, რომლებიც თანაბრად საინტერესო, საჭირო, მასტიმულირებელი და მიმზიდველია.


თითოეულ მოსწავლეს უნდა მიეწოდოს აქტივობა, რომელიც მისთვის საინტერესოა და ითხოვს მის აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლის მიზანია, რომ მოსწავლე მუდმივად იყოს მისი უნარების შესაბამისი გამოწვევის წინაშე და მიწოდებული რესურსების, ინფორმაციისა თუ პრინციპების გამოყენებით წარმატებით შეძლოს ახალი ინფორმაციის გაგება-გამოყენება, ხოლო ამის შემდგომ კი გადაინაცვლოს სწავლების შემდგომ ეტაპზე. დიფერენცირებული სწავლების მიდგომა არ გულისხმობს იმას, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეწოდებოდეს განსხვავებული თემა ან საკითხი. მისი მთავარი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ საერთო მიზნის მიღწევის პროცესში კონკრეტული თემა იძლეოდეს მოქნილობას მისი კომპლექსურობის, გამოყენებული სტრატეგიების და რესურსების ცვლილების თვალსაზრისით კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით.

- **მოსწავლეებისა და მასწავლებლის თანამშრომლობითობა სწავლა-სწავლების პროცესში** - მასწავლებლები არიან სწავლის პროცესის მთავარი „არქიტექტორები“, ხოლო მოსწავლეები ასისტირებას უწევენ დიზაინის და შენების პროცესში. მასწავლებლის მთავარი საქმიანობაა იმის ცოდნა თუ რა უწყობს ხელს ეფექტური სწავლის პროცესს და მიზნების შესაბამისი მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მიდგომების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს კლასის ფუნქციონირების შეუფერხებელ დინამიკას და დროის გონივრულად გამოყენებას. დიფერენცირებული სწავლების მიდგომის ფარგლებში მასწავლებელი ირგებს ფასილიტატორის, დამგეგმავის, დამხმარეს როლს გაკვეთილის მიმდინარეობისას, ხოლო მოსწავლეები არიან ამ პროცესის წარმატების მნიშვნელოვანი, გადაწყვეტი და აქტიური თანამონაწილეები და პარტნიორები. მასწავლებელი, სწავლების დროს, მუდმივად რთავს მათ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ, გადაწყვეტილებისა თუ არჩევანის გამკეთებელ და თვითრეგულირებად პიროვნებებად ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს ყოველთვის შეუძლიათ მოახდინონ მასწავლებლის ინფორმირება საკითხისა თუ მასალის სირთულის/სიძარტივის თვალსაზრისით, როდის არის სწავლის პროცესი მათთვის საინტერესო, როდის სჭირდებათ დახმარება და როდის არიან მზად მართო მუშაობისთვის. დიფერენცირებული საკლასო გარემო არის მოსწავლეზე ორიენტირებული სივრცე. ისინი არიან პროცესის აქტიური წარმმართველები და მონაწილეები, ხოლო მასწავლებელი კოორდინირებას ახდენს დროის, სივრცის, მასალებისა და აქტივობების ორგანიზებით. მასწავლებლის ეფექტურობა იზრდება მაშინ, როდესაც მოსწავლეები ივითარებენ ერთმანეთისა და საკუთარი თავის დახმარების უნარ-ჩვევებს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მიზნების მიღწევის გზაზე.

სწავლის პროცესში მოსწავლეების ჯგუფურად და შეთანხმებულად მუშაობა ხელს უწყობს ჰქონდეთ წვდომა მრავალფეროვან და ფართო სწავლების შესაძლებლობებთან. ეფექტურად დაგეგმილი ჯგუფური აქტივობები იძლევა მთლიანი კლასის, მცირე ჯგუფის თუ ინდივიდუალურ დონეზე მოსწავლეთა კვლევა-ძიების, ახალი აღმოჩენების გაკეთებისა და თვითგანვითარების შესაძლებლობას.

- **მასწავლებელი ახალანსებს ჯგუფისა და ინდივიდუალურ ნორმებს** - მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს როგორც ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური ნორმები. კონკრეტული მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობის შემთხვევაში, მასწავლებელს აქვს ორი მიზანი: პირველი - იზრუნოს მოსწავლის უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით განვითარება-გაუმჯობესებაზე მისი შესაძლებლობების ფარგლებში (ყველა ადამიანი სწავლობს საკუთარი კომპეტენციებისა და პოტენციალის გათვალისწინებით). მეორე - დარწმუნდეს, რომ მოსწავლე და მშობლები ინფორმირებული არიან მისი ინდივიდუალური მიზნების შესახებ.
- **საკლასო გარემო არის მოქნილი** - მასწავლებელი და მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების, სწავლების სტილის, ჯგუფური მუშაობების, შეფასების სისტემებისა და საკლასო სივრცის სხვა მახასიათებლების შეცვლა, ადაპტირება და მორგება მოსწავლისა ინდივიდუალურ თუ კლასის საერთო საჭიროებების შესაბამისად;

**რატომ დიფერენცირებული მიდგომა?**



ტრადიციული ტიპის სასწავლო გარემოში მასწავლებელი განიხილება როგორც „ექსპერტი“, რომელიც ირგებს წამყვანის როლს და გადასცემს ცოდნას პასიურად მომლოდინე მოსწავლეებს. მოსწავლეებს ეძლევათ საერთო დავალებები მიუხედავად მათი სწავლის განსხვავებული სტილისა თუ პოტენციალისა. შესაბამისად, გარკვეულწილად უგულვებელყოფილია მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები.

სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მოდელი არის ალტერნატიული მიდგომა, რომლის დროსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარი ფოკუსი მასწავლებლიდან გადადის მოსწავლეზე, რომელიც თავად ხდება ცოდნის მიღების პროცესის წარმმართველი და აქტიური მონაწილე. სასწავლო გარემო და შეთავაზებული აქტივობები თუ დავალებები ორგანიზებულია ისე, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები, რელევანტურია მათი მიმდინარე უნარ-ჩვევებისა, მიმზიდველი და მასტიმულირებელია მოსწავლეებისთვის. მასწავლებელი ხდება ფასილიტატორი, რომელიც ქმნის გარემო პირობებს, ამზადებს, ბიძგს აძლევს და ეხმარება მოსწავლეს შეაფასოს, მოახდინოს რეფლექსია და განივითაროს ახლის გაგებისა და ცოდნის მიღების უნარ-ჩვევები.

განვიხილოთ ტრადიციული და დიფერენცირებული სასწავლო გარემოს მსგავსება და განსხვავებები:

ტრადიციული	დიფერენცირებული
მოსწავლეთა განსხვავებების შემჩნევა და მათზე რეაგირება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის თვალსაჩინო და პრობლემურია.	მოსწავლეთა განსხვავებულობის გათვალისწინება წარმოადგენს მიდგომის ბაზისურ პრინციპს.
შეფასება ხდება სწავლის პროცესის ბოლოს მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის შედეგის დადგენის მიზნით.	შეფასება არის მუდმივად მიმდინარე პროცესი, რათა მოხდეს გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეზე უფრო მორგებული ცვლილებების შეტანა.
წარმატებულად სწავლის კონკრეტული გაგებისა და დეფინიციის არსებობა.	მოსწავლის წარმატებულობა განიხილება უფრო კომპლექსურად მისი ინდივიდუალური განვითარების, სწავლის დინამიკის გათვალისწინებითა და საწყის მდგომარეობასთან შედარებით.
მოსწავლის ინტერესები ხშირად უგულვებელყოფილია.	მოსწავლეებს მუდმივად ეძლევათ მათი ინტერესების შესაბამისი სწავლის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.
სწავლის პროფილების შედარებით ცოტა ვარიანტებია გათვალისწინებული.	გათვალისწინებულია და შეთავაზებულია სწავლის მრავალი პროფილი.
დომინირებს მთლიანი კლასისადმი მიცემული ინსტრუქციების რაოდენობა.	გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუქციები.
ინსტრუქციისა და დავალების სპეციფიკა დამოკიდებულია წინასწარ განსაზღვრულ ტექსტებსა და კურიკულუმზე.	მოსწავლის ინტერესები, მზაობა და სწავლის პროფილი განსაზღვრავს დავალებებისა და ინსტრუქციების თავისებურებებს.
სთავაზობს ერთი სახის ტესტირებას.	მოსწავლეს ეძლევა მრავალფეროვანი ტესტირების შესაძლებლობა.



<p>დროში ხშირად არ არის მოქნილი.</p>	<p>დროში არის მოქნილი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე.</p>
<p>იდებობისა და მოვლენების ერთეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.</p>	<p>იდებობისა და მოვლენების ინტერპრეტაციისას მრავალფეროვანი შეხედულებებისა და პერსპექტივების გენერირება ხდება.</p>
<p>მოსწავლის ქცევაზე მითითება და მისი წარმართვა ხდება მასწავლებლის მიერ.</p>	<p>მასწავლებელი ფასილიტაციას უკეთებს მოსწავლეებს და ხელს უწყობს მათ გამოიმუშავონ თვითსწავლების უნარები.</p>
<p>პრობლემების გადაჭრა ხდება მასწავლებლის მიერ.</p>	<p>მოსწავლეები ეხმარებიან სხვებს და მასწავლებელს პრობლემის გადაჭრის პროცესში.</p>
<p>მიზნების ფორმირება ხდება მასწავლებლის მიერ მთლიან კლასთან მიმართებით.</p>	<p>მოსწავლეები თანამშრომლობენ მასწავლებელთან კლასისათვის საერთო და ინდივიდუალური მიზნების ფორმირების პროცესში.</p>
<p>გამოიყენება შეფასების ერთი ფორმა.</p>	<p>გამოიყენება მოსწავლეების შეფასების მრავალფეროვანი ფორმები.</p>

## სწავლა-სწავლების კონკრეტული სტრატეგიები

მშობლებთან ერთად, განათლების სფეროს წარმომადგენლები (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები თუ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები) დგანან იმ უმნიშვნელოვანესი საქმის სათავეში, რომელიც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების წარმატებული და ხარისხიანი ცხოვრებისა და განათლების უზრუნველყოფას. ამისთვის, აუცილებელია, რომ სწავლა-სწავლებისა და მათთან მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნას ეფექტური და მტკიცებულზე დაფუძნებული სტრატეგიები ანუ ისეთი სპეციფიკური სწავლების მეთოდები, რომელთაც გააჩნიათ მტკიცე თეორიული საფუძველი და რომელთა ეფექტურობაც დადასტურებულია სანდო კვლევების შედეგად. ჩვენი მიზანია, გაგაცნოთ მსგავსი სტრატეგიები და ამ გზით გავზარდოთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტურობა, რათა უკეთ დაეხმაროთ მათ გახდნენ წარმატებული მოსწავლეები. თქვენ მიერ სწავლების პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია რამდენიმე ინდიკატორზე:

- რამდენად ღირებულსა და ხარისხიანს ხდით ცოდნის, ინფორმაციის, ცნებების დაუფლებისა და უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავების პროცესს.
- რამდენად ცდილობთ გაზარდოთ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი, რათა, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა მომავალში.
- რამდენად ქმნით ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს უყალიბდება კეთილდღეობისა და თვითეფექტურობის განცდა.

ბრიტანეთში ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით უმკლავდებიან გამოწვევებს, ფლობენ შემდეგ უნარებს:

- ეფექტური ორგანიზაციული უნარები: მასწავლებლებს აქვთ წინასწარ ჩამოყალიბებული ხედვა გაკვეთილის მიმდინარეობის შესახებ და ყოველთვის რწმუნდებიან იმაში, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით ეს. ისინი ორგანიზებას უკეთებენ საკუთარ რესურსებს და ამყარებენ მკაფიო, წინასწარგანსაზღვრულ და მშვიდ საკლასო რუტინას.
- პოზიტიური საკლასო კლიმატი: მასწავლებლებს აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება თავიანთი მოსწავლეების მიმართ და ქმნიან ჯანსაღ და ბედნიერ საკლასო სივრცეს, სადაც წამყვანია ორმხრივი პატივისცემის ღირებულება და წარმატების მიღწევისადმი დადებითი მოლოდინების მუდმივი არსებობა.
- სწავლების პერსონიფიცირება: მასწავლებლები არიან მგრძნობიარენი მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების მიმართ, რომელთა დაკმაყოფილებასა და უზრუნველყოფას ცდილობენ მრავალფეროვანი და მათზე მორგებული რესურსების შეთავაზებით.
- სწავლა-სწავლების დიალოგური მეთოდი: პროცესი მოსწავლეებს შორის არის ურთიერთთანამშრომლობითი და შეთანხმებული, რომლის დროსაც იღებენ შესაბამის უკუკავშირს ერთმანეთისგან და მასწავლებლისგან.

შესაძლებელია მასწავლებელი იყენებდეს ცალკეულ სტრატეგიას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი ახდენენ რამდენიმე მეთოდის ინტეგრაციას და კომბინირებულად ხდება მათი



გამოყენება. აღნიშნული სტრატეგიები შესაძლებელია მიემართებოდეს კოგნიტურ, ქცევით, სოციალურ-ემოციურ სფეროს და/ან სასწავლო კონტექსტსა და გარემოს.


იმისათვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი იყოს უფრო ეფექტური, სტრატეგიებისა და მეთოდების შერჩევას აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსწავლის სწავლის სტილი.

### რა იგულისხმება სწავლის სტილში?

„სწავლის სტილი“ ბევრისთვის ალბათ ნაცნობი ტერმინია. ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია ერთმანეთისგან. შესაბამისად, განსხვავებულია, მათ მიერ ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების გზები რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე. სწავლის სტილი არის პიროვნების მახასიათებელი და ინფორმაციის გაგების, დაუფლების, გადამუშავების, შენახვისა და აღდგენის უპირატესი გზა, რომელიც უადვილებს მას ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესს. ბევრისთვის მისაღებია ნებისმიერი გზით მიწოდებული მასალა, თუმცა მიიჩნევა, რომ რომელიმე მათგანს მაინც ვანიჭებთ უპირატესობას.

ყველა ინდივიდს აქვს უნიკალური ბიოლოგიური და განვითარების თვალსაზრისით, სპეციფიკური მახასიათებლები, რაც განაპირობებს მათ მიერ სწავლისა და ახალი ცოდნის მიღების უნარს. ცნობილმა ამერიკელმა განვითარების ფსიქოლოგმა ჰოვარდ გარდნერმა მე-20 საუკუნის ოთხმოციან წლებში შეიმუშავა „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია“, რომლის მიხედვით არსებობს 8 ერთმანეთისგან განსხვავებული ინტელექტის ტიპი და მათი შესაბამისი სწავლისა და ინფორმაციის გადამუშავების სტილი. ესენია: ლინგვისტურ-ენობრივი, ლოგიკურ-მათემატიკური, სივრცითი, მუსიკალური, ფიზიკურ-კინესთეტიკური, ნატურალისტური, ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტი (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდს იმისთვის, რომ მოსწავლეები დავაინტერესოთ. ზოგჯერ ჩვენ მიერ შერჩეული გზები წარმატებულად მუშაობს და მიზანს ვაღწევთ, თუმცა ხანდახან გართულებულია მათი კონკრეტულ აქტივობაში ჩართვა. ჩვენ შეიძლება ვცადოთ მრავალი მეთოდი და სტრატეგია, თუმცა ის არ აღმოჩნდეს ეფექტური კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან არ იყოს შესაბამისობაში ინდივიდის სწავლის სტილთან. მოსწავლისთვის პრიორიტეტული სწავლის სტილის იდენტიფიცირება და შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების მასზე მორგება არის ეფექტური პროცესის მიღწევის წინაპირობა.

სწავლის სტილის კლასიფიცირების არაერთი მოდელი არსებობს, თუმცა მათ შორის ყველაზე გავრცელებულია **VAK** (*Visual, Auditory, Kinaesthetic*) მოდელი, რომელიც სწავლის სამი ძირითადი სტილისა და მეთოდის მიხედვით ახდენს კატეგორიზებას: ვიზუალური (მხედველობითი), აუდიალური (სმენითი) და კინესთეტიკური (სხეულებრივი). განვიხილოთ თითოეული მათგანი:



სწავლის სტილი	მახასიათებლები	მეთოდები
<p><b>აუდიალური (მუსიკალური)</b> - სწავლის სტილის მქონე მოსწავლეები უკეთ აღიქვამენ, როდესაც ისინი ისმენენ ინფორმაციას ანუ მასალა მიწოდებულია მეტყველების ან აუდიო საშუალებების გამოყენებით. ისინი უპირატესობას ანიჭებენ სხვის მიერ წაკითხულის მოსმენას, ვიდრე იმას, რომ თავად წაიკითხონ. მუსიკისა და რიტმული მელოდიების გამოყენება დიდ როლს თამაშობს ეფექტური სწავლების პროცესში.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკეთ იმახსოვრებენ მოსმენილს</li> <li>• დამახსოვრების საუკეთესო მეთოდია ხმამაღლა თქმა და გამეორება</li> <li>• ურჩევნიათ გაუგებარ მასალაზე ხმამაღლა მსჯელობა</li> <li>• კარგად იმახსოვრებენ ვერბალურ ინსტრუქციებს</li> <li>• გართულებულია დიდი ხნის მანძილზე სიჩუმეში ყოფნა</li> <li>• ყურადღება ადვილად გადართვადია ძლიერი ხმაურის ან სიჩუმის დროს</li> <li>• მოსწონთ ჯგუფური დისკუსიები</li> <li>• ინტერესს გამოხატავენ სიტყვიერად, ვერბალურად</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსმენა</li> <li>• საუბარი</li> <li>• დისკუსიები</li> <li>• ვერბალური გამეორებები</li> <li>• ხმის ჩაწერა</li> <li>• მუსიკა</li> <li>• აუდიო ჩანაწერები და სხვა.</li> </ul>
<p><b>ვიზუალური (სივრცითი)</b> - აღნიშნული სწავლის სტილი მოსწავლეებში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ისინი უკეთ აღიქვამენ და ითვისებენ ინფორმაციასა და მასალას, როდესაც ხდება მათი ვიზუალური საშუალებებით დემონსტრირება - ილუსტრაციები, სურათები, ბარათები, რუკები, ცხრილები და ა.შ. მათ შეიძლება არ გაუჭირდეთ იმის გახსენება თუ კონკრეტული წინადადება ფურცლის ზედა მარცხენა თუ მარჯვენა ნაწილში ეწერა. ასევე, შეიძლება კარგად დაიმახსოვრონ კონკრეტული კადრები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ურჩევნიათ, როდესაც სიტყვები და შინაარსი მოცემულია წერილობითი ფორმით</li> <li>• როდესაც რაიმეს სიტყვიერად აღწერენ, რეკომენდებულია უკეთ აღქმისთვის თან ახლდეს სურათი ან რაიმე სახის თვალსაჩინოება</li> <li>• ურჩევნიათ წერილობითი ინსტრუქციები ვერბალურად მიცემულ ინსტრუქციებს</li> <li>• მუდმივად აკვირდებიან საკლასო ოთახში არსებულ გარემოს და ნივთებს</li> <li>• უკეთესად იგებენ დიაგრამების, ცხრილებისა და რუკების გამოყენებით</li> <li>• ტექსტის წაკითხვისას ურჩევნიათ მნიშვნელოვანი ეპიზოდების მარკერით მონიშვნა და ხაზგასმა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სურათები</li> <li>• დიაგრამები</li> <li>• ცხრილები</li> <li>• გრაფიკები</li> <li>• რუკები</li> <li>• ილუსტრაციები</li> <li>• ბარათები და სხვა.</li> </ul>

<p>ფილმის თუ მულტფილმის ყურებისას, თუმცა არ ახსოვდეთ პარალელურად მოსმენილი სიტყვები. სივრცითი უნარები და ორიენტაცია მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენს და დიდ როლს თამაშობს ეფექტური სწავლების პროცესში.</p>		
<p><b>კინესთეტიკური (სხეულებრივი)</b> - სწავლის სტილის მქონე მოსწავლეები უკეთ შეიმეცნებენ ინფორმაციის ტაქტილური (შეხებით) რეპრეზენტაციების საშუალებით, სხეულის მოძრაობითა და ობიექტების მანიპულაციით. ტაქტილური გულისხმობს შეხებას, ხოლო კინესთეტიკური მოძრაობას, ორი მოდალობა, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ სტილის მქონე მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანია, რომ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები. „კეთებით სწავლება“ მათთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. ექსპერიმენტირება და საგნების ნაწილებად დაშლა, მათი შემეცნებითი პროცესის თანმდევი ნაწილია.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკეთესად ამახსოვრდებათ ის, რაც კარგად გამოსდით კეთების პროცესში</li> <li>• უკეთესად იმახსოვრებენ მაშინ, როდესაც ფიზიკურად არიან ჩართული პროცესში</li> <li>• მოსწონთ რაღაცის კეთება, შეკეთება და შექმნა</li> <li>• ინტერესსა და ენთუზიაზმს გამოხატავენ ფიზიკური აქტიურობით</li> <li>• უჭირთ ერთ ადგილას დიდი ხნის მანძილზე გაჩერება</li> <li>• მოსმენისას სჭირდებათ, რომ პარალელურად შეეხონ რაიმე საგანს</li> <li>• უკეთესად სწავლობენ და კონცენტრირებულნი არიან როდესაც აქტიურად არიან ჩართულები პროცესში და არ მოითხოვენ მათგან მშვიდად ჯდომას, რადგან ასეთ დროს არ უჩნდებათ ადგომისა და მოძრაობის მოთხოვნილება და სურვილი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოძრაობები</li> <li>• ტაქტილური რეპრეზენტაციები</li> <li>• ხელშესახები და მასალები და რესურსები</li> <li>• კეთებით სწავლა</li> <li>• გამოცდილება, ექსპერიმენტირება, პრაქტიკა და სხვა</li> </ul>

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს თუ რომელი სწავლის სტილი არის კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში კომფორტული, რათა შეძლოს სტრატეგიების მორგება

სწავლა-სწავლების უფრო ეფექტური პროცესის უზრუნველსაყოფად. ასევე, შესაძლებელია, რომ მოსწავლე იყენებდეს რამდენიმე სწავლის სტილს (მულტიმოდალური). ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია იმის იდენტიფიცირება თუ რომელია დომინანტი, რათა სტრატეგიების შერჩევისას უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს მასზე. ყოველივე ამის მიზანს წარმოადგენს მოსწავლის განვითარებისა და პოტენციალის მაქსიმიზირება და მისთვის კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა.

### მულტიმოდალური სწავლება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლეები ცოდნის მიღებისა და ათვისების თავისებურებებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგიერთი უკეთ სწავლობს, როდესაც ისმენს. ზოგიერთს კი სწავლის პროცესს ვიზუალურად მიწოდებული მასალა უადვილებს. მულტიმოდალური (მულტისენსორული) სწავლა-სწავლების მეთოდი არის სტრატეგია, რომლის დროსაც პროცესში ჩართულია შეგრძნების ორი ან ორზე მეტი მოდალობა, რაც იძლევა სხვადასხვა ან ყველა მგრძნობელობის არხის გააქტიურების შესაძლებლობას: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება-მოძრაობა. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს რომელიმე მოდალობა სუსტად აქვს განვითარებული, მულტისენსორული სტრატეგიების გამოყენებისას, მის კომპენსირებას ახდენს უფრო ძლიერი მოდალობა.



აღნიშნული სტრატეგიის უკან დგას ნეირომეცნიერება და იმის გაგება თუ როგორ მუშაობს ჩვენი ტვინი უკეთ. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით (Whole brain Learning Theory) ტვინის ყველა ფუნქცია ერთმანეთთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. მის ზრდა-განვითარებასა და კავშირების დამყარება-გადლიერებას ხელს უწყობს მულტისენსორული გარემო და სხვადასხვა შეგრძნების გზით მისი სტიმულირება. ინფორმაციის უკეთ აღქმა-გაგება და იმის დამახსოვრება თუ როგორ შეიძლება შესრულდეს კონკრეტული აქტივობა ეფექტურად, ხდება მაშინ, როდესაც ჩართულია მრავალი შეგრძნება. საკლასო სივრცეში სწავლების პროცესში ყველაზე ხშირად მოსწავლეთა ჩართვა ხდება

სმენითი ან/და ვიზუალური მოდალობების საშუალებით, თუმცა მულტისენსორული მეთოდის გამოყენებისას, შესაძლებელია კინესთეტიკური, შეხების, ყნოსვისა და გემოსთან დაკავშირებული შეგრძნებების გამოყენებაც. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ დროს ჩართულია/გააქტიურებულია ტვინის მრავალი არე, ხდება უფრო მეტი კოგნიტური და



ასოციაციური კავშირების დამყარება შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის უკეთ აღქმაში, გაგებასა და დამახსოვრებაში. ამასთანავე, იდეებისა და ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება სწავლის პროცესს უფრო აქტიურს და საინტერესოს ხდის, რაც, შესაბამისად, ზრდის მოსწავლის ჩარულობის ხარისხსა და მოტივაციას.

მაგალითისთვის, თუ სასწავლო თემას წარმოადგენს ხილი (ვაშლი), მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ვიზუალურად ნახონ, დაყნოსონ, შეეხოთ და გასინჯონ ვაშლი ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ მოისმინონ თუ როგორ აღწერს და საუბრობს მასწავლებელი ვაშლზე. ასევე, შესაძლებელია, გაჭრან შუაზე, ნახონ შიგთავსი და გადათვალონ თესლები. ეს არის მულტისენსორული სწავლების მარტივი მაგალითი, რომლის დროსაც ინფორმაციის გადაცემისა და მიღების პროცესში ჩართულია მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოსა და შეხების შეგრძნებები იძლევა ცოდნის მრავალი და მათთვის კომფორტული გზით გამოვლენის შესაძლებლობას.

აღნიშნული სტრატეგია, ასევე, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენ მიერ განხილულ ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორიასთან“. მულტისენსორული გაკვეთილები არის ძალიან ეფექტური, რადგან გამიზნულია სწავლის ნებისმიერი სტილის მქონე მოსწავლეზე. გათვალისწინებულია, რომ მოსწავლეები სწავლობენ განსხვავებული გზებით. ერთი აქტივობით სტიმულირდება და აქტიურდება მგრძნობელობის ყველა არხი. მიუხედავად იმისა თუ სწავლის რომელი სტილი წარმოადგენს მოსწავლის ძლიერ მხარეს (სმენითი, ვიზუალური, კინესთეტიკური), ის მოიცავს და ერგება ყველა მოსწავლეს. შესაბამისად, ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ანუ სწავლის პროცესი არის აქტიური, ხოლო მრავალფეროვანი გზით მიწოდებული ინფორმაცია იძლევა პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობის შესაძლებლობას, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის.

განვიხილოთ კითხვის სწავლების რამდენიმე მაგალითი, რომლის დროსაც გამოყენებულია მულტისენსორული სწავლების ელემენტები:

- ფონოლოგიური ანალიზისა და სინთეზის სწავლებისას, სიტყვების აგების სავარჯიშოს დროს გამოიყენეთ მაგნიტური ასოები პროცესში ტაქტილური მოდალობის ჩართვის მიზნით. ასევე, სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ფერადი მარკერით გააფერადონ თქვენ მიერ დასახელებული ასოები დამატებითი ვიზუალური საყრდენისთვის და კინესთეტიკური გამოცდილებისთვის. მაგალითად,  
ასო „ლ“ სიტყვაში ყ ვ ა ვ ი **ლ** ი  
ასო „ქ“ სიტყვაში ქ ა ლ ა ქ ი
- სიტყვების ან წინადადებების ჩაწერისას, სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ შესაბამისი ჩანახატები და ილუსტრაციები.
- სთხოვეთ მოსწავლეებს დაასახელონ თქვენ მიერ მითითებული ასოები, რათა გაამყაროთ კავშირი ბგერასა და შესაბამის ასოებს ანუ გრაფიკულ გამოსახულებებს შორის.
- კლასისთვის წიგნის წაკითხვისას, გააკეთეთ აუდიო ჩანაწერი, უყურეთ ტექსტთან დაკავშირებულ ვიდეოს ან გამოიყენეთ ფოტოები თვალსაჩინოებისთვის.

## სწავლა კეთებით

„სწავლა კეთებით“ წარმოადგენს სწავლა-სწავლების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიას, რომლის დროსაც მოსწავლის მიერ ცოდნის მიღება ხდება პროცესში მისი უშუალო ჩართულობით, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებითა და აქტიური თანამონაწილეობით. ნაცვლად იმისა, რომ ის იყოს პასიური მსმენელი მიწოდებული ინფორმაციისა, მოსწავლე აქტიურად არის ჩართული პროცესში პრობლემის გადაჭრისა და ახლის შექმნის გზით. კეთებით სწავლების მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უკეთ შევიმეცნებთ და უფრო მეტს ვსწავლობთ კეთებით, გამოცდილებითა და პრაქტიკული აქტივობებით.

„სწავლა კეთებით“ - აღნიშნული მიდგომა ეკუთვნის მე-20 საუკუნეში მოღვაწე ამერიკელ ფილოსოფოსს ჯონ დიუის, რომელიც ხაზს უსვამდა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის უშუალო ჩართულობის მნიშვნელობას. ის უპირისპირდებოდა ტრადიციულ მიდგომას, რომლის მიხედვით მოსწავლე შეიმეცნებს ლექციური მეთოდებითა და ფაქტების მექანიკური დამახსოვრების გზით. დიუი ამტკიცებდა, რომ სწავლა ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე სრულად ჩართულია სასწავლო პროცესში და თვლიდა, რომ ამის მიღწევის საუკეთესო გზა არის პრაქტიკული კურიკულუმის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა მოსწავლეთა ყოველდღიურ საქმიანობებთან და გამოცდილებებთან. მართალია, მისი შეხედულებები თითქმის საუკუნის წინანდელია, თუმცა ის დღემდე რელევანტური და აქტუალურია საგანმანათლებლო სფეროებში. მის ეფექტურობასა და მნიშვნელობას არაერთი თანამედროვე კვლევა ადასტურებს.

კეთებით სწავლის მაგალითს წარმოადგენს საათის მოდელის შექმნის მიზნით მყარი ფურცლისგან დიდი წრისა და ისრების გამოჭრა, წრეზე ისრების ჭიკარტებით დამაგრება ანუ მოსწავლეები ჯერ თავად ქმნიან ციფერბლატს, ამაგრებენ ისრებს, აწერენ რიცხვებს და ნელ-ნელა გადადიან საათის ცნობის სწავლაზე. ან მოსწავლეებმა ხურდის სწორად განსაზღვრის მიზნით, შესაძლებელია დაიწყონ ფულის გადათვლა და ნელ-ნელა გადავიდნენ მიმატება-გამოკლების შესწავლაზე. მიღებული პრაქტიკა ხელოვნების გამოყენება სწავლის პროცესის ფასილიტირების მიზნით. მაგალითად, ვულკანის მაკეტის შექმნა, ძმრისა და სოდის გამოყენებით მისი ამოფრქვევის პროცესზე დაკვირვება და შესწავლა.

მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როდესაც შესასწავლ თემას თუ ცნებას უკავშირებენ საკუთარ გამოცდილებას, პიროვნულად მნიშვნელოვანია მათთვის და უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა. შესწავლა ხდება მაშინ, როდესაც ტვინი ჩართულია კავშირების დამყარებით და ნაცნობი ნიმუშების, კანონზომიერებების შექმნით. კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენებისას პროცესში ხდება ნებისმიერი სწავლის სტილის მქონე მოსწავლის ჩართვა, განსაკუთრებით კინესთეტიკური სტილისა.

აღნიშნული მეთოდით სწავლებისას იცვლება მასწავლებლის როლი, რომელიც აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი, არამედ ის ირგებს ფასილიტატორის როლს და ხდება ცოდნის თანააღმომჩენი. მოსწავლეთა შეფასების პროცესი კი ხდება უფრო მრავალფეროვანი, რადგან მათ უწევთ მიღებული ცოდნის ჩვენება და დემონსტრირება.

როდესაც მოსწავლეები სწავლობენ ამ გზით, ისინი გამოიმუშავებენ ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა და შემოქმედებითობა. კეთებით სწავლისას ისინი უფრო მოტივირებულები არიან, გამოიკვლიონ

და გააკეთონ ახალი აღმოჩენები, რაც დადებითად აისახება სწავლისადმი მათ დამოკიდებულებაზე.

იმისათვის, რომ კეთებით სწავლის სტრატეგია იყოს ეფექტური, საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია გარკვეული საფუძვლის ჩაყრა და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება. ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, „სწავლა კეთებით“ მუშაობს იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მისი გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესისას სწორ და შესაბამის დროს. რა იგულისხმება ამაში? პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ სწავლა არის დინამიკური პროცესი და თუ აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება ხდება საწყის ან ძალიან ადრეულ ეტაპზე, შესაძლებელია მოსწავლეები გადაიტვირთონ და ვერ გაუმკლავდნენ გამოწვევას. ამიტომ კეთებით სწავლების გამოყენებამდე აუცილებელია მოსწავლეთათვის წინასწარ გარკვეული ინფორმაციის მიწოდება, მასალის შინაარსთან, თემატიკასთან და სპეციფიკასთან გაცნობა. გამომდინარე იქიდან, რომ „სწავლა კეთებით“ მოითხოვს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას და ამავდროულად, ხდება ცოდნის გარკვეულწილად დამოუკიდებლად კონსტრუირება, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ შესასწავლი მასალის მცირე ნაწილებად, ეტაპებად დაყოფა მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად.

კეთებით სწავლების უპირატესობები:

- **სწავლის პროცესი ხდება უფრო საინტერესო და სახალისო** - მოსწავლეები უფრო სწრაფად და უკეთ სწავლობენ მაშინ, როდესაც იღებენ სიამოვნებას. მაგალითად, ასოების ცნობისა და წერის სწავლების ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით (კალამი და ფურცელი), კეთებით სწავლებისას შესაძლებელია შევთავაზოთ ქვიშაში ასოების გამოსახვა, ქაფით წერა ან პლასტილინებისგან ასოების გამოძერწვა. ასოების ცნობის მსგავსი მეთოდებით სწავლება არამარტო სასიამოვნო, მარტივი და სახალისო პროცესია მოსწავლეებისთვის, არამედ ისინი ასეთ დროს უკეთ იმახსოვრებენ გამოსახულებებს.
- **ხდება მიღებული ცოდნის ყოველდღიურ აქტივობებთან დაკავშირება და გამოყენება, სწავლის მოტივაციის ზრდა** - კარგად სტრუქტურირებული „კეთებით სწავლის“ პრაქტიკული აქტივობები, რომლის განხორციელებაც ხდება უსაფრთხო გარემოში მასწავლებლის ფასილიტაციით, ეხმარება მოსწავლეს საკლასო სივრცეში მიღებული წარმატებული გამოცდილება დააკავშიროს მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. პროცესში ხდება უფრო თავდაჯერებული და უჩნდება რეალურ ცხოვრებაში მისი გამოყენების მოტივაცია. ყოველივე ეს ზრდის ახალი ცოდნის მიღების სურვილს.
- **ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების სტიმულირებას** - კეთებით სწავლის პროცესში, კონკრეტული აქტივობის შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთონ შემდგომ, რომ მიიღონ სასურველი შედეგი. ეს ხელს უწყობს დაგეგმვის, წინასწარ განსაზღვრის, პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკულად მსჯელობის უნარების განვითარებას.
- **ხელს უწყობს თანამშრომლობითობის, კომუნიკაციური და ენობრივი უნარების განვითარებას** - კეთებით სწავლის აქტივობებში ხშირად რამდენიმე მოსწავლეა ჩართული. მათ, სასურველი შედეგის მიღების მიზნით, უწევთ შეთანხმებულად გარკვეული მოქმედებების დაგეგმვა და შესრულება.
- **ხდება ტვინის რამდენიმე არის სტიმულირება** - კეთებით სწავლების აქტივობები ხშირად მულტისენსორულია, ჩართულია მგრძნობელობის მრავალი არხი და



შესაბამისად, ხდება ტვინის რამდენიმე არის სტიმულირება, რაც სწავლის პროცესს ხდის უფრო ეფექტურს.

- **ხელს უწყობს კრეატიულობის განვითარებას** - მოსწავლეებს ხშირად უწევთ რაღაცის აგება, კონსტრუირება და ამ პროცესში აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მოიფიქრონ და დაამატონ რაიმე ახალი, შეიტანონ ცვლილებები, მოარგონ თავიანთ ინტერესთა სფეროს. ყოველივე ეს ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
- **ხელს უწყობს ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას** - კეთებით სწავლის აქტივობების დროს მოსწავლეებს ხშირად უწევთ მაკრატლის, წებოს, ფლომასტერების და სხვადასხვა წვრილი საგნის გამოყენება. შესაბამისად, დაჭრის, ჩაწებების, ჩასმის, გაფერადების, დამაგრებისა (და სხვა) აქტივობების შესრულება აძლიერებს მათი ხელების კუნთებს, უმჯობესდება მოქნილობა და ამავდროულად ეუფლებიან ისეთ ფუნქციურ უნარებს, რომელთა გამოყენებაც მთელი ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ ყოველდღიური აქტივობების განხორციელებისას.

## მოდელირება

მოდელირება არის ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგია. იგი წარმოადგენს სწავლა-სწავლების ბუნებრივ პროცესს, რომლის გამოცდილებაც თითქმის ყველას გვაქვს. მაგალითად, როდესაც ბავშვობაში ვსწავლობდით თასმის შეკვრას ან დანით ვაშლის უსაფრთხოდ დაჭრას.

ქცევათა უმრავლესობის დასწავლა ხდება დაკვირვების შედეგად მოდელირების საშუალებით: სხვებზე დაკვირვებით გვიყალიბდება წარმოდგენა თუ როგორ ხდება კონკრეტული ქმედების განხორციელება. აღნიშნული კოდირებული ინფორმაცია სამომავლოდ იმავე ქმედების განხორციელების პროცესში, ასრულებს ერთგვარი სახელმძღვანელოს ფუნქციას.

მოდელირებისას მოსწავლეს ვთავაზობთ შედეგის წარმატებულად მიღწევის მაგალითს და ამ გზით თვალსაჩინოსა და გასაგებს ვხდით იმ პროცესს, რომლის საშუალებითაც მივდივართ აღნიშნულ მიზნამდე. ეფექტური მოდელირება გვეხმარება:

- წინ წამოვწიოთ შესასწავლი საგნისა თუ მასალის მნიშვნელობა.
- შევამციროთ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების სიხშირე.
- წარმატებული მაგალითებითა და დეტალური ნიმუშებით გავლენა მოვახდინოთ მოსწავლის თავდაჯერებულობაზე.

საიდან იციან მოსწავლეებმა თუ რას მოელიან მათგან? ექსპლიციტური მოდელირებით, მასწავლებელი თვალსაჩინოდ აწვდის მოსწავლეს კონკრეტული უნარისა თუ სტრატეგიის განხორციელების ნათელ და მკაფიო მაგალითს. დემონსტრირების საშუალებით პროცესი ხდება სტრუქტურირებული და წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მოსწავლეებისთვის, რადგან მისი გამოყენებით ხდება:

- კონკრეტული უნარისა თუ სტრატეგიის აღწერა.
- სტრატეგიის მახასიათებლებისა ან სპეციფიკური უნარის გამოყენების ეტაპების მკაფიო აღწერა.

- კონკრეტული უნარისა თუ მასალის დაშლა მცირე შესასწავლ ნაწილებად.
- მრავალფეროვანი ტექნიკების გამოყენებით პროცესის დემონსტრირება.
- მოსწავლეების სწავლის პროცესში ჩართვა საკუთარი ენთუზიაზმის, თავდაჯერებულობის ჩვენებით, კარგი შეკითხვების დასმითა და იმის შემოწმებით თუ რამდენად გასაგები იყო მათთვის.

მასწავლებელი კონცეფციას აღწერს მკაფიოდ „ხმამაღალი ფიქრის“ გზით. მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიალური, ტაქტილური და/ან კინესთეტიკური ტექნიკების გამოყენებით იგი პროცესის დემონსტრირებას ახდენს. მაგალითებისა და ნიმუშების საშუალებით მოსწავლეს აჩვენებს თუ რა მოლოდინები აქვს მის მიმართ და გარკვეული პერიოდულობით ჩერდება კითხვების დასმისთვის ან იმაში დასარწმუნებლად თუ რამდენად გაიგო მოსწავლემ. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს მოსწავლე-მასწავლებელს შორის ეფექტური ინტერაქციის ჩამოყალიბებას.

გარკვეული თვალსაზრისით, მოდელირება არის უნივერსალური ტექნიკა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ყველა ასაკის, შესაძლებლობისა თუ საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ნებისმიერი საგნის ფარგლებში. იმისათვის, რომ მოდელირება იყოს წარმატებული, მნიშვნელოვანია მისი წინასწარ დეტალურად დაგეგმვა. გასათვალისწინებელია შემდეგი საფეხურები:

1. დარწმუნდით, რომ მოსწავლე ფლობს კონკრეტული დავალების განხორციელებისთვის საჭირო და შესაბამის ბაზისურ უნარებსა და წინაპირობებს. გაითვალისწინეთ მისი წარსული გამოცდილებები.
2. დაყავით უნარი მცირე და დაუფლებად სეგმენტებად.
3. გამოიყენეთ ვიზუალური, აუდიალური, ტაქტილური და კინესთეტიკური საშუალებები კონკრეტული კონცეფციისა თუ უნარის მნიშვნელოვანი ნაწილების ილუსტრირებისთვის.
4. გაახმოვანეთ და „იფიქრეთ ხმამაღლა“ თითოეული საფეხურის დემონსტრირებისას.
5. აქცენტი გააკეთეთ და დაამყარეთ მნიშვნელოვანი კავშირები თითოეულ ეტაპს შორის.
6. პროცესშივე პერიოდულად გადაამოწმეთ, რამდენად გასაგებია მოსწავლისთვის, გააკეთეთ ხელახალი მოდელირება, თუ ფიქრობთ, რომ მისთვის კონკრეტული ეტაპი იყო ბუნდოვანი.
7. მუდმივად აკონტროლეთ დრო, რათა მოსწავლეებისთვის პროცესი არ გახდეს მოსაწყენი და იყვნენ მუდმივად კონცენტრირებულნი.
8. გააკეთეთ მოდელირება იმდენჯერ, რამდენჯერაც ჩათვლით საჭიროდ და სანამ არ დარწმუნდებით, რომ მოსწავლე მზადაა დამოუკიდებლად მისი შესრულებისთვის.
9. მუდმივად მიეცით მოსწავლეებს იმის შესაძლებლობა, რომ დაზუსტების მიზნით დასვან შეკითხვები.

როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კომპლექსური დავალებები დაყოს მცირე კომპონენტებად და გაითვალისწინოს მოსწავლის წარსული გამოცდილებები. ვიზუალურ მოდელირებას (მოსწავლე აკვირდება თითოეულ საფეხურს) თან ახლავს აუდიალური კომპონენტი (მოსწავლე ისმენს), რადგან მასწავლებელი ამავედროულად მეტყველების საშუალებით აღწერს იმას, რასაც მოსწავლე ხედავს. შესაძლებელია,

მასწავლებელი იყოს მოსწავლესთან ფიზიკურად ახლოს და გამოიყენოს კინესთეტიკურ/ტაქტილურ მოდალობაც. იგი სვამს შეკითხვებს, რომლის საშუალებითაც აქცენტს აკეთებს და ხაზს უსვამს პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს და ამავდროულად რწმუნდება თუ რამდენად გასაგებია მოსწავლეთათვის.

მოდელირებისას ხშირად გამოიყენება „ხმამალა ფიქრის“ ტექნიკა, რომლის დროსაც მასწავლებელი აღწერს საკუთარ ქმედებებსა და იმ კოგნიტურ პროცესებს, რომელთაც იყენებს მოდელირების თითოეულ საფეხურზე. ამ გზით ის საკუთარი ფიქრის, მოქმედებათა დაგეგმვის პროცესს ხდის თვალსაჩინოსა და „ხილვადს“ მოსწავლეთათვის. შეკითხვების დასმა და იდეების გაზიარება „ხმამალა ფიქრის“ ერთ-ერთი ნაწილია. აღნიშნული ტექნიკა არის მოდელირების სტრატეგიის ეფექტური კომპონენტი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა „დაინახონ“ თუ რა ხდება მასწავლებლის გონებაში ახალი უნარის სწავლისას ან ახალი კონცეფციის შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებისას.

მოდელირების შემდგომ მოსწავლეები მასწავლებლის მხარდაჭერით თავად იწყებენ ეტაპების მიხედვით იმ მოქმედებათა პრაქტიკაში განხორციელებას, რომელთაც მანამდე ყურადღებით აკვირდებოდნენ და ისმენდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ეტაპზე შესაძლებელია მოსწავლეები თავად ახდენდნენ თანაკლასელებისთვის მოდელირებას. საბოლოო მიზანს წარმოადგენს, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეძლოს კონკრეტული დავალების შესრულება.

კონკრეტული კონცეფციისა თუ უნარის მოდელირებისთვის განსაზღვრული დრო დამოკიდებულია თავად დავალების სპეციფიკასა და მოსწავლის შესაძლებლობებზე. ხანდახან მას სჭირდება რამდენიმე წუთი, ხოლო კომპლექსური უნარების სწავლების შემთხვევაში - მეტი დრო. მნიშვნელოვანია, მასწავლებელს წინასწარ ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, ზუსტად რისი სწავლება აქვს განსაზღვრული მოსწავლისთვის მოდელირების საშუალებით, რათა მოსწავლეების მიმართ იყოს ზუსტი მოლოდინები და მოთხოვნები. მოდელირების სტრატეგიის გამოყენებამდე სასურველი შედეგის დაზუსტება და განსაზღვრა, პროცესს ხდის უფრო კონსტრუქციულსა და მოქნილს.

ბოლოს, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მოდელირება არ არის მარტივი პროცესი, რომლის დროსაც მასწავლებელი აკეთებს და მოსწავლე უყურებს. არამედ ამ დროს ის ცდილობს მოსწავლე აქტიურად ჩართოს ფიქრისა და განხორციელების დინამიკაში. მოდელირება წარმატებულია მაშინ, როდესაც შეინიშნება პროგრესი ანუ ნელ-ნელა მცირდება მასწავლებლის როლი და იზრდება მოსწავლის წილი.

## სკაფოლდინგი

„სკაფოლდინგი“ წარმოადგენს სწავლების სტრატეგიას და გულისხმობს მასწავლების მიერ გაწეულ დახმარებას, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, შესაბამისი ცოდნის ათვისებითა და უნარ-ჩვევების გამომუშავებით წარმატებით გაუმკლავდეს დასახულ ამოცანებს. ამავდროულად, ნელ-ნელა მიაღწიოს დამოუკიდებლობის იმ ხარისხს, რომლის

დროსაც მსგავსი დავალებების შესრულებისას აღარ დასჭირდება სხვისი მხარდაჭერა. მასწავლებელი ამ პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის არსებულ ცოდნასა და მის გამოცდილებას.

ტერმინი „სკაფოლდინგი“ არის ერთგვარი მეტაფორა, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხარაჩოს დადგმას“. ხარაჩო არის მშენებლებისთვის დასაყრდენი მოწყობილობა, რომელსაც ისინი იყენებენ შენობის გამყარებამდე. მისი დახმარებით (მასზე დადგომით) ცდილობენ წარმატებით შეასრულონ შენობის გასტაბილურებისთვის საჭირო სამუშაოები. ნაგებობის გამყარების შემდგომ, ხარაჩო კარგავს მის დანიშნულებას,



იგი აღარ არის საჭირო და შესაბამისად, ხდება მისი ეტაპობრივად მოხსნა. სკაფოლდინგისას „ხარაჩოს“ როლს ასრულებს მასწავლებელი (ან სხვა კომპეტენტური ადამიანი) და მის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერა. მოსწავლე არის აქტიური შემსწავლელი. ამ პროცესში მასწავლებელი მას სთავაზობს იმ ხარისხისა და დონის დროებით მხარდაჭერას, რაც მოსწავლეს იმ კონკრეტული ცოდნისა და უნარების დაუფლებაში ეხმარება, რასაც ის ვერ შეძლებდა სხვისი დახმარების გარეშე. როდესაც უკვე აღარ არის ამის საჭიროება, მასწავლებელი თანდათანობით წყვეტს აღნიშნული სტრატეგიების გამოყენებას, ხოლო მოსწავლე ხდება უფრო დამოუკიდებელი და იღებს მეტ პასუხისმგებლობას სწავლის პროცესზე.

„სკაფოლდინგის“ მეთოდი სათავეს იღებს ლევ ვიგოტსკის სოციო-კულტურული თეორიიდან და მის მიერ შექმნილი განვითარების აქტუალური დონისა და უახლოესი ზონის კონცეფციებიდან. სოციო-კულტურული თეორიის მიხედვით, სოციალური ინტერაქცია თამაშობს ფუნდამენტურ როლს კოგნიციის განვითარების თვალსაზრისით. ვიგოტსკი აღნიშნავდა, რომ ადამიანი ვერ შეიმეცნებს იზოლაციაში. სწავლისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური ინტერაქციები და ამასთანავე, მნიშვნელობის მქონე კონტექსტები. მისი თეორიის მიხედვით, სწავლა ხდება სოციალურ-კულტურული გამოცდილებებითა და მათში თანამონაწილეობით. ინდივიდის ურთიერთობა უფრო მცოდნე, მრავალფეროვანი უნარების მქონე ადამიანებთან და გარემოსთან უდიდეს გავლენას ახდენს მისი ფიქრის, აზროვნებისა და სიტუაციის ინტერპრეტირების გზების ჩამოყალიბებაზე. ბავშვის მიერ გარკვეული ცნებებისა და კონცეფციების დაუფლება და ინტერნალიზაცია დაფუძნებულია მის მიერ სოციალურ გარემოში მიმდინარე აქტივობის/პროცესის ინტერპრეტაციაზე. უფრო კომპეტენტურ ადამიანებთან (მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და სხვა) ურთიერთობა და კომუნიკაცია ეხმარება მას შეხედულებების კონსტრუირებასა და კონცეფციების გაგებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარების უახლოესი ზონა წარმოადგენს მანძილს მოსწავლის მიმდინარე შესაძლებლობასა (აქტუალური დონე) და იმ პოტენციურ უნარებს შორის, რომლის მიღწევაც მას შეუძლია კომპეტენტური და რელევანტური მხარდაჭერის პირობებში. სკაფოლდინგის გამოყენებისას მოსწავლე იღებს ინდივიდუალურ მხარდაჭერას, რომელიც დამოკიდებულია მისი განვითარების უახლოეს ზონაზე.

თუ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები სცდება მის მიმდინარე ცოდნას (განვითარების აქტუალურ დონეს) ანუ მათი შესრულება არ შეუძლია დამოუკიდებლად,

განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეს დახმარებას აწვდის უფრო გამოცდილი ადამიანი. მიწოდებული მხარდაჭერა ანუ „ხარაჩო“ ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას, რათა მოსწავლემ შეძლოს საჭირო უნარების გამომუშავება, უკვე არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენება და მიღებული ინფორმაციის ინტერნალიზაცია (გაშინაგნება). საბოლოოდ, სხვისი მხარდაჭერის საშუალებით მიზნისა და განვითარების უახლოეს ზონამდე მიღწევა.

ვიგოტსკი სკაფოლდინგს განმარტავდა, როგორც „მასწავლებლებისა და სხვა კომპეტენტური ადამიანების როლს მოსწავლის განვითარების მხარდაჭერისას შესაბამისი სტრატეგიების შეთავაზებით, რათა მან შეძლოს შემდეგ დონეზე გადასვლა“. სკაფოლდინგის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დროებითობა. მოსწავლის შესაძლებლობების ზრდასთან ერთად პროპორციულად მცირდება სკაფოლდინგის გამოყენება. მაშინ, როდესაც მოსწავლეს გამომუშავებული აქვს შესაბამისი უნარები და ცოდნა, გაზრდილია მისი კომპეტენციები და უკვე დამოუკიდებლად შეუძლია დავალების შესრულება, „დამხმარე“ საერთოდ წყვეტს მხარდაჭერას. შესაბამისად, სკაფოლდინგის გამოყენებისას მასწავლებლის საბოლოო მიზანია, მოსწავლე გახდეს დამოუკიდებელი და ფლობდეს თვითრეგულაციისთვისა და პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

არ არსებობს სკაფოლდინგის გამოყენების რაიმე კონკრეტული წესები. ეს დამოკიდებულია თავად აქტივობაზე, მოსწავლის საჭიროებებსა და მის შესაძლებლობებზე. მასწავლებელმა, საერთო და პირადი გამოცდილებისა და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა შეაფასოს და განსაზღვროს, რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს ის. ბევრი მასწავლებლის სწავლების პროცესის ბუნებრივი ნაწილია სკაფოლდინგის მეთოდის გამოყენება. თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია მოსწავლემ გაიგოს აქტივობის მიზანი და დაიმახსოვროს მისი შესრულებისთვის საჭირო ყველა საფეხური, მაგრამ ის მაინც არ იყოს მზად დამოუკიდებლად შესრულებისთვის.

ასევე, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ

- სკაფოლდინგი არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება ახალი უნარების დაუფლებისთვის.
- სკაფოლდინგის მეთოდი წარმატებით გამოიყენება ნებისმიერი მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში.
- სკაფოლდინგის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი საგნის ფარგლებში.

შესაძლებელია სკაფოლდინგის მრავალი გზით გამოყენება, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია ორი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტი:

მოდელირება: სწავლის პროცესისას, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ დავალების თითოეულ ეტაპზე შესასრულებელ აქტივობებზე დაკვირვების შესაძლებლობა, რომელთა დემონსტრირებასაც მასწავლებელი ახდენს იმდენჯერ, რამდენჯერაც მოითხოვს სიტუაცია. მსგავსი მოდელირება და გამეორება მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ უკეთ გაიგონ თუ რა და როგორ განახორციელონ დავალების თითოეულ ეტაპზე და რატომ არის ცალკეული საფეხურები მნიშვნელოვანი.

პრაქტიკა: მოსწავლეებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ იმუშაონ შეთანხმებულად და მასწავლებელთან თანამშრომლობით გაივარჯიშონ შესაბამისი უნარები.



ქვემოთ მოყვანილია მაგალითი და შედარებულია ორი შემთხვევა: პირველი - მშობლის მიერ ველოსიპედის ტარების სწავლება სკაფოლდინგის გამოყენებით, ხოლო მეორე - სკაფოლდინგის გარეშე. აღსანიშნავია, რომ პირველ მაგალითში გამოყენებულია მოდელირებისა და პრაქტიკის ელემენტები.

მაგალითი სკაფოლდინგის გამოყენებით	მაგალითი სკაფოლდინგის გამოყენების გარეშე
<p>„როდესაც მე ვასწავლიდი ჩემს შვილს ველოსიპედის ტარებას, მე დავჯექი მასზე, რათა მეჩვენებინა თუ როგორ უნდა გაეტარებინა. თავდაპირველად დავიწყეთ დამატებითი (სავარჯიშო) ბორბლებით. მას შემდეგ, რაც შევამჩნიე, რომ მზად იყო ტარებისთვის, მოვხსენით ბორბლები. თავდაპირველად, მე ხელი მეკიდა მასზე და მივყვებოდი გვერდით. მხოლოდ ამის შემდეგ მივეცი იმის შესაძლებლობა, რომ გაეტარებინა თავისით“.</p>	<p>როდესაც მე ჩემს შვილს ვასწავლიდი ველოსიპედის ტარებას, მე მას ავუხსენი თუ როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. შემდგომ დავსვი ველოსიპედზე და ვუბიძგე, რომ დაძრულიყო.</p>

რა თქმა უნდა, მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ასევე, განსხვავებულია ინდივიდუალური დავალებებისა და სტრატეგიების სირთულის ხარისხი. აქედან გამომდინარე, ვდგებით სხვადასხვა ტიპისა და დონის სკაფოლდინგის გამოყენების საჭიროების წინაშე. ძირითადად, სკაფოლდინგს გამოყოფენ სამი ასპექტის მიხედვით: შინაარსი, დავალება და მასალა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**შინაარსის მიხედვით** - აღნიშნული ტიპის სკაფოლდინგისას, ახალი უნარის დაუფლების პროცესში, მასწავლებელი არჩევს ისეთ შინაარსს, რომელიც არ არის ძალიან რთული ან ნაცნობია მოსწავლისთვის. ამ გზით იგი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას ფოკუსირდეს ასათვისებელ უნარზე და არ ჩაიკარგოს შინაარსში. აღვწეროთ ამ ტიპის სკაფოლდინგის სამი ტექნიკა:

1. *მოსწავლისთვის ნაცნობი ან ძალიან საინტერესო შინაარსის გამოყენება* - მასწავლებლები ხშირად აღმოაჩენენ, რომ ახალი უნარის ან სტრატეგიის სწავლება გაცილებით მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც შინაარსი ნაცნობი ან საინტერესოა მოსწავლისთვის. ამის შემდგომ ისინი სწავლისადმი უფრო მაღალ მოტივაციას იჩენენ. დროთა განმავლობაში მასწავლებელს უკვე შემოაქვს უფრო ნაკლებად ნაცნობი შინაარსი, რომლის შესწავლაც მოსწავლეთათვის ბევრად უფრო მარტივია უკვე დაუფლებული უნარებისა და ცოდნის გამოყენებით.



2. *მოსწავლისთვის მარტივი შინაარსის შეთავაზება* - მასწავლებელი ახალი უნარის ან ცოდნის სწავლებისას მოსწავლეს სთავაზობს მარტივ შინაარს, რომლის დროსაც მოსწავლეს უმარტივდება სწავლის პროცესი, რადგან კონცენტრირებულია ახალი უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების დაუფლებაზე და არა რთულ შინაარსზე. მაგალითისთვის, თუ მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეს გააცნოს კითხვის დაუფლების კონკრეტული სტრატეგია, ის გამოიყენებს მოსწავლის კითხვის მიმდინარე უნარიდან გამომდინარე ერთი არ ორი კლასით დაბალი დონიდან ტექსტს. ეს მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას, რომ მთელი ენერგია და რესურსი ჩადოს კითხვის დაუფლების კონკრეტული სტრატეგიის დაუფლებაში. მას შემდეგ, რაც ის თავდაჯერებულად დაიწყებს შესწავლილი სტრატეგიის გამოყენებას, მასწავლებელი ნელ-ნელა გაზრდის ტექსტის სირთულეს.

3. *მარტივი საფეხურებით დაწყება* - სკაფოლდინგის ერთ-ერთ მარტივ გზას წარმოადგენს მასწავლებლის მიერ უფრო რთული საფეხურების დემონსტრირება და მოდელირება, ხოლო მარტივი ეტაპების განხორციელების შესაძლებლობის მოსწავლისთვის მიცემა. საბოლოოდ, მოსწავლემ საკურ თავზე უნდა აიღოს რთული ნაბიჯების შესრულების პასუხისმელობა. მასწავლებელი აგრძელებს პროცესის მოდელირებას და ეხმარება მოსწავლეს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში.

**დავალების მიხედვით** - ამ ტიპის სკაფოლდინგისას მასწავლებელი იწყებს დავალების ან აქტივობის თითოეული ეტაპის დაკონკრეტებით. იგი ახდებს აღნიშნული საფეხურების მოდელირებას და ამასთანავე, სიტყვიერად აღწერს საკუთარი ფიქრის პროცესს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელი ფიქრობს ხმამაღლა და ახმოვანებს თავის ქმედებებს. მას შემდეგ რაც მოსწავლეებისთვის გასაგებია თითოეული ნაბიჯი, ისინი იწყებენ დამოუკიდებლად მის შესრულებას. მასწავლებელი აკვირდება პროცესს და ერთვება გარკვეული სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები აქტიურად აკვირდებოდნენ მასწავლებლის მიერ მოდელირების პროცესს, მათ შეიძლება მაინც გაუჭირდეთ იმის გაგება თუ როგორ უნდა შეასრულონ დამოუკიდებლად. სწორედ ამ მიზეზით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააგრძელოს სკაფოლდინგის გამოყენება თითოეული ეტაპის ან პროცედურის მოდელირებით მანამ, სანამ მოსწავლეები არ შეძლებენ დამოუკიდებლად მის შესრულებას.

დავალების მიხედვით სკაფოლდინგი არის საკმაროდ მარტივი ტექნიკა: მასწავლებელი მოსწავლეს ნელ-ნელა აძლევს უფრო მეტ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამასთანავე, ანიჭებს უფრო მეტ პასუხისმგებლობას თითოეული საფეხურის შესრულებისას.

**მასალის მიხედვით** - აღნიშნული ტიპის სკაფოლდინგისას მასწავლებელი იყენებს წერილობით ან ვიზუალურ მიმანიშნებლებს. მაგალითად, გრაფიკები, ცხრილები ან თვალსაჩინო ბარათები, რომლებზეც გამოსახულია დავალების შესრულების ვიზუალური მაგალითები ან ეტაპები. სკაფოლდინგის ყველა ტიპის ტექნიკის მსგავსად, დროთა განმავლობაში, მოსწავლის პროგრესთან ერთად ხდება მისი გამოყენების შემცირება/შეწყვეტა.

მაკენზის (McKenzie) მიხედვით, სკაფოლდინგი:

1. იძლევა მკაფიო მიმართულებას და ამცირებს მოსწავლეების დაბნეულობას - მასწავლებლები გარკვევით და ნათლად აწვდიან დავალებებს, რომლებიც მათ უნდა შეასრულონ და ამასთანავე, სთავაზობენ ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს, რომლებიც დეტალურად უხსნიან მოსწავლეს თუ რა უნდა გააკეთონ სასურველი შედეგის მისაღწევად.


2. აზუსტებს მიზანს - სკაფოლდინგი ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ თუ რატომ ასრულებენ კონკრეტულ აქტივობას, რა დანიშნულება აქვს მას და რატომ არის ის მნიშვნელოვანი.
3. მოსწავლეები კონცენტრირებულები არიან დავალებაზე - სტრუქტურის შეთავაზებით ნაჩვენებია კონკრეტული მიმართულებები და გზები, რომელთაც მოსწავლე უნდა მიჰყვეს. მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელი გზა აირჩიოს ან რა მოიმოქმედოს, აღმოაჩინოს და გამოიკვილოს შეთავაზებული ალტერნატივებიდან კონკრეტული მიმართულების არჩევის შემთხვევაში. თუმცა მას არ შეუძლია გადაუხვიოს შეთავაზებულ გზებს, რადგან ისინი მიზანზე ორიენტირებული და წინასწარგანსაზღვრულია.
4. აზუსტებს მოლოდინებს და ასევე, მასში ინტეგრირებულია შეფასებისა და უკუკავშირის კომპონენტები - მოლოდინები არის მკაფიო აქტივობის დასაწყისშივე, რადგან წინასწარ ხდება მათთვის ნიმუშებისა და წარმატების სტანდარტების დემონსტრირება.
5. სთავაზობს რესურსების მრავალფეროვნებას - მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ სთავაზობენ გარკვეულ რესურსებს, რათა დაზოგონ მათი დრო, შეამცირონ დაბნეულობა და ფრუსტრაციის დონე. მოსწავლეები თავად აკეთებენ არჩევანს თუ რა არის მათთვის კომფორტული და რას გამოიყენებენ.
6. ამცირებს გაურკვევლობას, მოულოდნელობებსა და იმედგაცრუებებს - მასწავლებლების მიერ ხდება გაკვეთილებისა და აქტივობების წინასწარ ტესტირება და შესაძლო პრობლემური სფეროების იდენტიფიცირება, რაც იძლევა გარკვეული ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას გართულებების შემცირებისა და სწავლის პროცესის მაქსიმიზირების მიზნით (McKenzie, 1999).

აქტივობების შეთავაზებისას სკაფოლდინგის გამოყენება:

- ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ჩართულობასა და ინტერესს დავალებების მიმართ.
- ამარტივებს აქტივობებს ისე, რომ ხდის მოსწავლისთვის გამკლავებადს და მიღწევადს.
- მოსწავლეს აძლევს მიმართულებას და ეხმარება გახდეს მიზნის მიღწევაზე უფრო ფოკუსირებული და ორიენტირებული.
- ნათლად აჩვენებს განსხვავებას მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოსა და სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის.
- ამცირებს ფრუსტრაციასა და რისკს.
- ახდენს მოდელირებას და მკაფიოდ განსაზღვრავს შესასრულებელი აქტივობის მოლოდინებს (Bransford, Brown, and Cocking, 2000).

## უკუკავშირი

უკუკავშირი წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის წამყვან ელემენტს. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ხშირი, რელევანტური და თანმიმდევრული უკუკავშირი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლისა და მიღწევის ხარისხს. უკუკავშირი მოიცავს ინფორმაციას შემეცნებისა და შესრულების პროცესის ასპექტების შესახებ. მოკლედ რომ ვთქვათ, უკუკავშირის საშუალებით ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ თუ კონკრეტული მიზნის მიღწევის პროცესში რამდენად წარმატებული და რელევანტურია ჩვენი მცდელობები. ეფექტური უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეს რეფლექსირება მოახდინოს საკუთარი სწავლის პროცესსა და მის მიერ გამოყენებულ სტრატეგიებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უკეთესი პროგრესის მიღწევის მიზნით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები. შესაბამისად, უკუკავშირის მიზანს წარმოადგენს მოსწავლის მიერ ინფორმაციის გაგების დონისა და არსებული უნარ-ჩვევების დადგენა იმისათვის, რომ შესაბამისად დაიგეგმოს შემდეგი საფეხურები სასწავლო მიზნების წარმატებულად მიღწევისთვის.



ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორის ჯეიმს ფენებაკერის (James Pennebaker) კვლევის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში უკუკავშირი ცენტრალურ როლს თამაშობს: „როდესაც ადამიანები ცდილობენ დაეუფლონ ახალ უნარს, მათ სჭირდებათ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად სწორი მიმართულებით მიდიან. საკლასო ოთახში სწავლის პროცესი არ არის გამონაკლისი. გარკვეული შინაარსის თუ კონცეფციის დაუფლება და აზროვნების პროცესების გავარჯიშება მოითხოვს ცდისა და შეცდომის მეთოდის გამოყენებას“.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა სახის უკუკავშირი არ არის ეფექტური და უფრო მეტიც, თუ ის მიწოდებულია ნეგატიური ან მაკორექტირებელი ფორმით, მან შეიძლება უკუშედეგიც კი გამოიწვიოს.

სწორედ ამიტომ მივდივართ კითხვასთან: საგანმანათლებლო სივრცეში როგორ უნდა მოხდეს უკუკავშირის ეფექტურად გამოყენება?

ამ კითხვაზე ზუსტი და მარტივი პასუხი არ არსებობს, თუმცა გთავაზობთ კვლევაზე დაფუძნებულ ხუთ რჩევას იმის შესახებ თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ უკუკავშირი ისე, რომ გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია, მეტად ეფექტური გავხადოთ ახალი უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესი და დავეხმაროთ მათ, მოახდინონ მიღებული ცოდნის რეფლექსია.

- **უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, სპეციფიკური, ზუსტი და ფუნქციური** - მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი იყოს კონკრეტული და ზუსტად ასახავდეს იმას თუ რას აკეთებს მოსწავლე სწორად ან არასწორად. მაგალითისთვის, ცალკე უკუკავშირი „ყოჩაღ“ არაფერს ეუბნება მოსწავლეს იმის შესახებ თუ რაში გამოიხატება მისი წარმატებულობა ან რა შეიძლება გააკეთოს უფრო უკეთესი შემდეგისთვის. ამიტომ

აუცილებელია იმის აღნიშვნა თუ კონკრეტულად რა წარმოადგენს მის ძლიერ მხარეს და რა კუთხით საჭიროებს შედარებით გაძლიერებას. ასევე, ეფექტურია იმის აღნიშვნაც თუ რას აკეთებს მოსწავლე წინა მცდელობასთან შედარებით განსხვავებულად და უკეთ.

- **უმჯობესია მიწოდებულ იქნას მყისიერად** - არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ უკუკავშირის მაშინვე მიწოდება უფრო ეფექტურია, ვიდრე რამდენიმე დღის, კვირის ან თვის შემდეგ. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც აკვირდებოდა დაგვიანებულ და მყისიერ უკუკავშირს, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ მონაწილეთა პირველი ჯგუფი, რომელთაც მაშინვე უბრუნებდნენ უკუკავშირს, მნიშვნელოვნად მეტი წარმატებით ასრულებდნენ დავალებებს, ვიდრე მეორე ჯგუფი. რა თქმა უნდა, ყოველთვის არ გვაქვს მყისიერი უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა, თუმცა ეს რაც უფრო მალე ხდება, მით უკეთესია.
- **უკუკავშირი უნდა იყოს მოსწავლის განვითარებასა და მიზნის მიღწევაზე მიმართული** - უკუკავშირის მიცემისას, მოსწავლეებისთვის ნათელი უნდა იყოს როგორ გამოიყენებენ მიღებული ინფორმაცია სამომავლო წინსვლისთვის.
- **უკუკავშირის მიცემისას აუცილებელია სიფრთხილე** - ის თუ რა სახით და როგორ ვაწვდით უკუკავშირს, გავლენას ახდენს მოსწავლის მიერ მის აღქმა-ინტერპრეტაციაზე, ანუ შესაძლებელია, ჩვენი უკუკავშირის მიზანი იყოს პოზიტიური, თუმცა მიწოდებულ იქნას არასწორად და შესაბამისად, გამოიწვიოს მოსწავლის მოტივაციის შემცირება.

გამოყოფენ სამ სიტუაციას, როდესაც შესაძლებელია უკუკავშირის ჰქონდეს უკუშედეგი:

1. *როდესაც მოსწავლეების მიერ უკუკავშირის პროცესი აღიქმება მკაცრ მონიტორინგად:* თუ მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მათ დაჟინებით აკვირდებიან, შესაძლებელია, ამან გამოიწვიოს შფოთვა და დამაბულობა, რაც უარყოფითად აისახება აქტივობაში მათ ჩართულობაზე.
2. *როდესაც მოსწავლის მიერ უკუკავშირის პროცესი აღიქმება კონტროლად:* ხანდახან მოსწავლის მიერ უკუკავშირი შესაძლებელია ინტერპრეტირდეს როგორც მათი კონტროლის მცდელობა. ეს ძირითადად ხდება მაშინ, როდესაც მასწავლებელი პირდაპირ მიუთითებს სწორ გზაზე ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ მხარი დაუჭიროს და გაუძღვეს ამ პროცესში.
3. *როდესაც მოსწავლეებს აქვთ შეჯიბრის არაკომფორტული შეგრძნება:* ჯგუფის პირობებში მიწოდებული უკუკავშირი შესაძლებელია მოსწავლეში იწვევდეს შეგრძნებას, რომ ისინი უნდა ეჯიბრებოდნენ თანაკლასელებს. შედეგად კი დისტანცირდნენ პროცესისგან. სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ აუხსნას მოსწავლეებს, რომ ისინი სწავლის პროცესში ეჯიბრებიან მხოლოდ საკუთარ თავს და არა სხვებს.

- **უკუკავშირის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართვა** - ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის გზით მოსწავლეების სწავლის პროცესში ჩართვა უმნიშვნელოვანესია. Pennebaker-ის მიხედვით - „მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მათი მუშაობის შესახებ ინფორმაციაზე (უკუკავშირის გამოყენებით)... მათ სჭირდებათ იმის ცოდნა, რამდენად სწორად და კარგად ასრულებენ აქტივობას. იმ ინფორმაციის შესახებ უკუკავშირის მიღება თუ როგორ კითხულობენ, სწავლობენ, მოიძიებენ ინფორმაციას ან პასუხობენ შეკითხვებს, მათთვის არის ფასდაუდებელი“.

აღნიშნული ინფორმაცია მათ ეხმარებათ საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერებაში, შეცდომების შემჩნევაში და სამომავლოდ მათთან გამკლავებაში.

## *კოოპერატიული (cooperative) ჯგუფის სტრატეგია*

მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესისას ხშირად იყენებენ აქტივობებს როგორც მთლიანი კლასისთვის, ასევე, მცირე ჯგუფებისა და ინდივიდუალური მუშაობისთვის. კოოპერატიული ანუ ურთიერთთანამშრომლობითი ჯგუფის სტრატეგია (სხვაგვარად უწოდებენ თანამშრომლობით სწავლას) გულისხმობს მოსწავლეების ერთობლივ მუშაობას მცირე სასწავლო ჯგუფებში, რომლის დროსაც ისინი ეხმარებიან ერთმანეთს, როგორც ინდივიდუალურ სამუშაოს, ასევე საერთო დავალების შესრულებაში. აღნიშნული სტრატეგია ძალიან ეფექტურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არის განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისგან შედგენილი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა.

როდესაც მოსწავლეები მუშაობენ უფროსი მუდმივი მითითებებისა და დახმარების გარეშე, მასწავლებელს ეძლევა იმის საშუალება, რომ მეტი დრო გაატაროს მცირე ჯგუფებთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სრული თავისუფლება, გააკეთონ რაც სურთ და ასევე, არც იმ მოლოდინის არსებობაა მართებული, რომ მოსწავლეები შეძლებენ დამოუკიდებლად მუშაობას. ამ პროცესში აუცილებელია მასწავლებლის მიერ პროცესის ფასილიტაცია, ხელმძღვანელობა, მხარდაჭერა და მონიტრონგი როგორც თანამშრომლობენ ერთობლივად. კოოპერატიული სწავლებისას მოსწავლეებმუშაობენ როგორც ერთი **მთლიანი ჯგუფი**.


კოოპერატიული სწავლება განსაკუთრებით ეფექტური სტრატეგიაა მაშინ, როდესაც კლასში ბევრი მოსწავლეა. აღნიშნული სტრატეგია გულისხმობს დიდ კლასში პატარა კლასებისა და ერთის მაგივრად, რამდენიმე მასწავლებლის „შექმნას“. კოოპერატიული სწავლება მოიცავს ოთხ არსებით კომპონენტს:

- *ურთიერთდამოკიდებულება (interdependence)*: ყველა წევრი ცდილობს მიაღწიოს ჯგუფის საერთო მიზანს და ამავდროულად, დახმარება გაუწიონ ერთმანეთს.
- *ინდივიდუალური პასუხისმგებლობა (individual accountability)*: ჯგუფის თითოეული წევრი პასუხისმგებელია თავის წილ საქმიანობაზე, რომელიც საბოლოოდ ემსახურება საერთო ჯგუფურ მიზანს.
- *თანამშრომლობა (cooperation)* - მოსწავლეები განიხილავენ, ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.



- *შეფასება (evaluation)* - ჯგუფის წევრები აფასებენ და რეფლექსიას აკეთებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოსა და პროცესის მიმდინარეობაზე და განიხილავენ მომავლისთვის საჭირო ცვლილებების შეტანას.

კოოპერატიული სწავლება ეფუძნება სწავლის შესახებ ორ მთავარ იდეას. პირველი -



მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმებულად მოქმედება. იგი ზრდის ჯგუფში შეჭიდულობის ხარისხს და აუმჯობესებს ურთიერთობებს ჯგუფის თითოეულ წევრს შორის. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, რომელსაც ეძლევა საერთო მიზნის შესრულებაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა და უზრუნველყოფს კლასთან მიკუთვნებულობის განცდა. კარგად დაგეგმილი მსგავსი ინტერაქციები ხელს უწყობს კომუნიკაციის, ინტერპერსონალური უნარების, აღმასრულებელი ფუნქციების და ენა-მეტყველების სტიმულირება/განვითარებას. ჯგუფში მუშაობით მოსწავლეები ხშირად წარმატებით აღწევენ მიზანს, რაც გავლენას ახდენს თვითეფექტურობის განცდაზე და სწავლის სამომავლო მოტივაციაზე. მეორე - ჩვენი ცოდნის უმეტესი ნაწილი არის სოციალურად კონსტრუირებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ბევრს ვსწავლობთ უახლოესი გარემოდან - ოჯახი, ახლობლები, მეგობრები. შესაბამისად, კოოპერატიული მეთოდი არის სწავლა-სწავლების „ბუნებრივი“ გზა. უფრო მეტიც - ის ავითარებს და ასტიმულირებს ზრუნვისა და დახმარების ღირებულებებს, რაც გავლენას ახდენს კლასისა და სკოლის კლიმატზე. საბოლოოდ, მას დიდი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში ურთიერთშეთანხმებულობისა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებაში.

კოოპერატიულ ჯგუფებზე საუბრისას შესაძლებელია გავავლოთ ანალოგი ასაწყობ ფაზლებთან - თითოეული მონაწილე არის უნიკალური ნაწილი, რომელთა შეერთებითაც ვიღებთ საბოლოო სურათს. მიზნის მისაღწევად თითოეული მონაწილის კონტრიბუცია არის უმნიშვნელოვანესი. პროცესში მოსწავლეები არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი რამდენიმე ასპექტის თვალსაზრისით:

- მიზანი - ჯგუფი ურთიერთდამოკიდებულია ერთმანეთზე ერთი საერთო მიზნის მიღწევისთვის (მაგალითად, ფაზლის დასრულება);



- ჯილდო/წახალისება - მიზნის მიღწევისას წარმატება და აღიარება მთლიან ჯგუფს მიემართება (ეს შეიძლება იყოს შინაგანი, მაგალითად, როდესაც ფაზლი დასრულებულია და/ან გარეგანი, მაგალითად, როდესაც იღებენ პოზიტიურ უკუკავშირს სხვებისგან);
- რესურსები - ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს განსხვავებული რესურსი (ცოდნა თუ მატერიალური), რომელთა კომბინირებითაც მიიღწევა საბოლოო შედეგი (მაგალითად, თითოეული წევრის ფაზლის ნაწილი ერგება სხვა რომელიმე წევრის ნაწილს და საბოლოოდ იქმნება ერთი მთლიანი);
- როლები - ჯგუფის თითოეულ წევრს მინიჭებული აქვს განსხვავებული როლი (მაგალითად, ლიდერი, დროის გამკონტროლებელი და ა.შ.);

რომ შევაჯამოთ, თანამშრომლობითი ჯგუფური სწავლის დროს თითოეული წევრი (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე) ფლობს რაღაც უნიკალურს, რომლის კონტრიბუციასაც ახდენს მუშაობის პროცესში. ჯგუფის ჩადირვა თუ წარმატებით გაცურვა დამოკიდებულია თითოეული წევრის ინდივიდუალურ წვლილზე.

ჩვეულებრივ, ჯგუფები შედგება 6-8 წევრისგან და მოსწავლეების დაჯგუფება შესაძლებელია ორი სახით: თანაბარი ან შერეული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები. წარმატებული კოოპერატიული სწავლებისთვის, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

1. შეუმუშაოს ჯგუფისთვის შესაბამისი დავალებები: კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების შექმნა და შეთავაზება, რომლებიც რელევანტურია ჯგუფის თითოეული წევრისთვის, განსაკუთრებით სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფში მოსწავლეები ურთიერთთანამშრომლობენ და ასისტირებას უწევენ ერთმანეთს, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია მასწავლებელმა აუხსნას დანარჩენ წევრებს თუ როგორ უნდა მოხდეს ეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მიმართებაში.
2. ასწავლოს ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევები: ეს უნარებია - მოსმენა, თვალთვალის კონტაქტის დამყარება, გარკვევით საუბარი, შევითხვების დასმა, ხელმძღვანელობა, გადაწყვეტილებების მიღება, კონფლიქტის მოგვარება, წახალისება, სხვების მიერ შეტანილი წვლილის შემჩნევა, სხვების პერსპექტივის გაგება/გათვალისწინება და ინდივიდუალური განსხვავებების პატივისცემა. ამის გამომუშავებისთვის შესაძლებელია როლური თამაშების შეთავაზება სხვადასხვა სცენარით.
3. წამოჭრილ პრობლემებთან ეფექტურად გამკლავება: ალბათ ყველაზე ხშირი პრობლემა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას ჯგუფში, არის რთული ქცევა: პასიურ და/ან დომინანტ ანუ ზედმეტად აქტიურ მოსწავლეებთან გამკლავება. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, ჯგუფის წევრების სწორად შერჩევა. ის თუ ზოგადად როგორ უმკლავდება მასწავლებელი მსგავს სირთულეებს კლასთან მუშაობისას, აუცილებლად გამოდგება მოდელად ამ შემთხვევაშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როლური თამაშები მსგავსი პრობლემური სცენარებით არის ძალიან ეფექტური. ასევე, შესაძლებელია, ერთად მუშაობის მიზნით, ჯგუფის შიგნით კონკრეტული მოსწავლეების დაწყვილება. აუცილებელია, მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩინდეს ისეთი ჯგუფების მიმართ, სადაც არის დიდი ალბათობა, რომ გამოვლინდეს გარკვეული ქცევითი სირთულეები. ასეთ დროს, აუცილებელია,

კონკრეტული ჯგუფის აქტიური მონიტორინგი, უკუკავშირის მიცემა და შესაბამისი ქცევების პოზიტიური წახალისება.

კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, კოოპერატიული სწავლის სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებას არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, არამედ ყველასთვის.

### *მიმანიშნებლები (Prompts)*

მიმანიშნებლების გამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიასა და ხერხს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება სწავლის პროცესში და ამავდროულად ზრდის შემეცნების ხარისხსა და მათგან სწორი პასუხების მიღების ალბათობას. მიმანიშნებლებში იგულისხმება ჟესტები, სიტყვები, სურათები, მკაფიო ინსტრუქციები. მათი ეფექტური და დროული გამოყენება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ ისე, რომ შეცდომების დაშვება დაყვანილ იქნას მინიმუმამდე. აღნიშნულ სტრატეგიას სწავლა-სწავლების პროცესში თითქმის ყოველდღიურად ბუნებრივად იყენებს ბევრი მასწავლებელი ისე, რომ ამას შესაძლოა, ვერც აცნობიერებდეს. მაგალითისთვის, მოსწავლეებისთვის შეკითხვების დასმა და ამ გზით სწორი პასუხის აღმოჩენაში მათი დახმარება, საკლასო ოთახში განრიგის ჩამოკიდება, ტაშის დაკვრა ყურადღების მიქცევის მიზნით და ა.შ. - მიმანიშნების ფორმებია. თუმცა მიუხედავად პრაქტიკაში მათი აქტიური გამოყენებისა, უფრო მეტი ეფექტურობისთვის აუცილებელია განვმარტოთ და გავაცნობიეროთ მისი მნიშვნელობა და მახასიათებლები.

მოსწავლეების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით, მიმანიშნებლების საჭირო დროს მიზანმიმართული გამოყენება და სიტუაციის შესაბამისად ნელ-ნელა მათი შემცირება, წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის საფუძველია. ხოლო მიმანიშნებლების არამიზანმიმართულმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსწავლეთა მიერ მათზე დამოკიდებულება და შესაბამისად, შეაფერხოს სწავლის პროცესი. სწორედ ამიტომ, მიმანიშნებლების თავისებურებებისა და მათი იერარქიულობის გაგება დაგვეხმარება, თავიდან ავირიდოთ მსგავსი შემთხვევები.

*რატომ უნდა გამოვიყენოთ მიმანიშნებლები?*

როგორც ვიგოტსკიმ თქვა - „რასაც ბავშვი დღეს აკეთებს სხვისი დახმარებით, ხვალ აუცილებლად შეძლებს მის შესრულებას დამოუკიდებლად“.


ვაცნობიერებთ თუ არა ამას, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდმივად ვიყენებთ მიმანიშნებლებს. დიდი ჰიპერმარკეტის რიგების დასაწყისში არსებული წარწერები ან ნიშნები გვეხმარებიან ადვილად მივაგნოთ ჩვენთვის სასურველ პროდუქტებსა თუ ნივთებს. დამატებითი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მივმართოთ მარკეტის პერსონალსაც. თუმცა შემდგომში, იმავე მარკეტში საყიდლებზე წასულს აღნიშნული

მიმანიშნებლების გამოყენება დიდი ალბათობით აღარ დაგვჭირდება. შევალთ პირდაპირ და ვიპოვით დამოუკიდებლად.

მიმანიშნებლის ფუნქცია ახალი უნარის სწავლის პროცესში ანალოგიურია. მოსწავლისთვის მისი მიწოდება ძალიან ეფექტური და სასარგებლოა. თუმცა, ჩვენი მიზანია, რომ მოსწავლე, აღნიშნულ უნარის თვალსაზრისით, ბოლომდე დამოუკიდებელი გახდეს. ამისთვის აუცილებელია ჩვენ მიერ მიწოდებული მიმანიშნებლების ნელ-ნელა ისე შემცირება, რომ საბოლოოდ მოსწავლე აღარ საჭიროებდეს მათ. **მიმანიშნებლების ეტაპობრივი შემცირება, ხოლო საბოლოოდ მისი გამოყენების შეწყვეტა, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავდაპირველად მისი მიწოდება.** ათვისებული უნარ-ჩვევა უნდა გახდეს ფუნქციური, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე უნდა გახდეს დამოუკიდებელი.

*მიმანიშნებელთა ტიპები და მათი იერარქია*

განვიხილოთ რა სახის მიმანიშნებლები არსებობს და როგორ ხდება მათი გამოყენება. მნიშვნელოვანია მათი განხილვისას შევეხოთ მიმანიშნებელთა იერარქიას. ეს მასწავლებლებსა და სპეციალისტებს დაეხმარებათ იმის გაგებასა და სტრუქტურირებაში თუ როგორი



ხარისხისა და სიმძლიერის ჩარევას გულისხმობს თითოეული მათგანი. იერარქიის რაც უფრო ქვედა საფეხურზეა მინიშნება, მით უფრო დიდი ინტენსივობის ჩარევა და მოსწავლის ნაკლები დამოუკიდებლობა იგულისხმება, ხოლო რაც უფრო ზევით ავდივართ, იკლებს მიმანიშნებლის გამოყენებით ჩარევის ხარისხი და იზრდება მოსწავლის დამოუკიდებლობა.

ხშირია დისკუსია იმის შესახებ თუ საიდან უნდა დავიწყოთ: ქვემოდან ზემოთ თუ პირიქით. პირველი ვარიანტი გულისხმობს ყველაზე ინტენსიური მიმანიშნებლების გამოყენებით დაწყებას, ხოლო შემდგომ საფეხურზე გადასვლა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე უკვე სწორად ასრულებს აქტივობას. მეორე ვარიანტის შემთხვევაში ვიწყებთ ნაკლებად ინტენსიური მიმანიშნებლების გამოყენებით და ნელ-ნელა ჩავდივართ ქვემო საფეხურზე მანამ, სანამ არ ვიპოვით იმ დონეს, რომლის დროსაც მოსწავლეს შეუძლია დავალების შესრულება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- **ვიზუალური მიმანიშნებლები** - ვიზუალური მიმანიშნებლები ყოველივე ცხოვრებაში ხშირად გხვდება. კალენდარი და დღის განრიგიც ვიზუალური მიმანიშნებლებია. საკლასო ოთახში მათი გამოყენება შესაძლებელია უამრავი ფორმით. ეს შეიძლება იყოს ფოტოები, პოსტერები, ცხრილები, ვიდეოები, საგნები, ტექსტები და ა.შ. ვიზუალური მიმანიშნებლებიდან მოსწავლეები წარმატებით იყენებენ, მაგალითად, ვიზუალურ განრიგებს.
- **ვერბალური მიმანიშნებლები** - იგულისხმება მეტყველების საშუალებით შეკითხვების დასმა და ინსტრუქციების მიცემა. ის შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. „ამის შემდეგ რას გააკეთებ?“ - მსგავსი შეკითხვები არის არაპირდაპირი ვერბალური მიმანიშნებლები, ხოლო „აიღე სათამაშოები“ - არის პირდაპირი ვერბალური მიმანიშნებელი. არაპირდაპირი ვერბალური მიმანიშნებელი ითვლება უფრო ნაკლებად ინტენსიურ ჩარევად პირდაპირთან შედარებით.
- **ჟესტური მიმანიშნებლები** - იგულისხმება ისეთი ჟესტის ან მოძრაობის გამოყენება, რომელიც მოსწავლეს მიანიშნებს თუ რა უნდა გააკეთოს. ეს შეიძლება იყოს ხელით მითითება, თავის დაქნევა, თვალებით კონტაქტი ან კონკრეტული ნივთისკენ გახედვა. მაგალითად, როდესაც საუბრისას დგება მოსწავლის ჯერი, მასწავლებელმა შესაძლებელია ანიშნოს თვალებით და თავის დაქნევით. ასევე, კლასში ხმაურის გაჩერების მიზნით ხელის აწევა ჟესტური მიმანიშნებელია.
- **მოდელირება** - იგულისხმება, როდესაც აჩვენებ მოსწავლეს თუ რა უნდა გააკეთოს. მაგალითად, თუ ვეუბნებით, რომ შეეხოს ცხვირს, ჩვენც ვეხებით ჩვენს ცხვირს. ან შესაძლებელია ვმუშაობთ ახალ უნარზე სიუჟეტური სურათების მოვლენათა თანმიმდევრობით განლაგებით. ამ შემთხვევაში, თავდაპირველად განვალაგებთ ჩვენ და შემდგომ საშუალებას ვაძლევთ, რომ თავად სცადოს.
- **ნაწილობრივ ფიზიკური მიმანიშნებლები** - იგულისხმება როდესაც ვეხებით მოსწავლეს და ვუწევთ მინიმალურ ფიზიკურ მხარდაჭერას: შესაძლოა შევეხოთ მოსწავლის იდაყვს მოძრაობის დაწყების პროვოცირების მიზნით, თუმცა შემდგომში თავად აგრძელებს მას. მაგალითად, თუ ჩვენ გვსურს, რომ მოსწავლე შეეხოს წითელ ფერს, ჩვენ ვეხებით მის იდაყვს წითელი ბარათის მიმართულებით გაწევის მიზნით.
- **სრული ფიზიკური მიმანიშნებლები** - იგულისხმება მოსწავლის „ხელით ხელზე მოკიდებით“ დახმარება, მაგალითად, ასობის წერისას ან ნებისმიერი სხვა მოქმედების შესრულებისას (ტაშის დაკვრა - ეხებით ხელზე და ეხმარებით ერთმანეთზედარტყმის მოქმედების შესრულებაში). აღნიშნული მიმანიშნებელი არის ყველაზე ინტენსიური დახმარების ფორმა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიზანია მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, მასწავლებლისა თუ სპეციალისტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს, რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას აღნიშნული მიმანიშნებლის გამოყენების საჭიროება. ის ნაკლებად ემსახურება კონკრეტული უნარის დაუფლებას მაშინ, როდესაც ფაქტობრივად სხვა ასრულებს მოსწავლის მაგივრად მოქმედებას.

მიმანიშნებლების ეფექტურობისთვის:

1. *გამოიყენეთ საჭიროების ფარგლებში რაც შეიძლება მცირე რაოდენობის მიმანიშნებელი:* თუ მოსწავლე დავალებას ასრულებს წარმატებით მიმანიშნებლების დახმარების გარეშე, მაშინ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი. ერთ-ერთი რთული საკითხია



იმის ცოდნა და იდენტიფიცირება თუ როდის არ უნდა მივაწოდოთ მოსწავლეს მიმანიშნებლები, რადგან, რეალურად, ჩვენ მათ გაუცნობიერებლად ძალიან ხშირად ვიყენებთ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მიმანიშნებელთა ზედმეტი ან არამიზნობრივი გამოყენება ართულებს მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებლად დაუფლების პროცესს.

2. *მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ როდის უნდა და როდის არ უნდა გამოვიყენოთ ისინი:* არსებობს სიტუაციები, როდესაც არ არის რეკომენდებული მიმანიშნებლების გამოყენება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათმა ზედმეტმა მიწოდებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოსწავლის მათზე დამოკიდებულება და უნებლიეთ ხელი შევუწყოს იმას, რომ მოსწავლემ ვეღარ შეძლოს კონკრეტული დავალების შესრულება მათი გამოყენების გარეშე. მიაწოდეთ მიმანიშნებელი მაშინ, როდესაც:
  - ვხვდებით, რომ მოსწავლე მიდის არასწორი პასუხისკენ.
  - მოსწავლის პასუხი არის მცდარი.
  - მოსწავლე საერთოდ არ გვპასუხობს.
3. *წამახალისებლების გამოყენება:* წამახალისებლების გამოყენება, მაგალითად, დამსახურებული შექება არის ეფექტური გზა სამომავლოდ პოტენციურად სწორი პასუხის მიღებისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი წამახალისებლები უფრო დიდი სიხშირით უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც მოსწავლე მიმანიშნებლების გარეშე გვპასუხობს ან ასრულებს დავალებას სწორად.
4. *მნიშვნელოვანია ნელ-ნელა მათი შემცირება:* მიმანიშნებლები უნდა მივაწოდოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლის სწავლის პროცესი გართულებულია მათი გამოყენების გარეშე. თუ მას უკვე შეუძლიათ დაბალი დონის მიმანიშნებლის დახმარებით გარკვეული აქტივობის შესრულება, ეტაპობრივად გადადით იერარქიულად კიდევ უფრო მაღალი დონის გამოყენებაზე მანამ, სანამ მოსწავლე დამოუკიდებლად შეძლებს დავალების შესრულებას.

საკლასო ოთახში მიმანიშნებლების გამოყენება მნიშვნელოვანი და ეფექტურია, რადგან:

- **ამცირებს შფოთვას** - მიმანიშნებლების გამოყენებისას, მოსწავლეები წარმატებით ასრულებენ დავალებას, რაც აისახება მათ თავდაჯერებულობაზე. წარმატებული გამოცდილებებით ისინი უფრო დარწმუნებულები ხდებიან თავიანთ შესაძლებლობებში, რაც სამომავლოდ ამცირებს არასწორი პასუხის გაცემასთან დაკავშირებულ შფოთვას.
- **ხელს უწყობს სწავლის პროცესს** - როდესაც პროგრესი თვალსაჩინოა, მოსწავლეებისთვის სწავლა ხდება პოზიტიური გამოცდილება, რაც აისახება სამომავლოდ მათ მოტივაციაზე.
- **სწავლა-სწავლების პროცესს ხდის სხვადასხვა სწავლის სტილის მქონე მოსწავლეზე მორგებულს** - გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი სახის მიმანიშნებელი არსებობს, მათი მორგება შესაძლებელია სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეებზე. შესაძლებელია ინდივიდუალურად კონკრეტული მოსწავლისთვის შესაბამისი მიმანიშნებლის გამოყენება.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია მიმანიშნებელი არ იყოს ეფექტური ზოგიერთი მოსწავლისთვის (მაგალითად, ვიზუალური მიმანიშნებელი მაშინ, როდესაც მოსწავლეს აქვს მხედველობასთან დაკავშირებული სირთულეები). ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლებელია არ მოსწონდეს, მაგალითად, ფიზიკური მიმანიშნებელი, რადგან მისთვის უსიამოვნოა სხვის მიერ შეხება.

ზოგიერთი მიმანიშნებელი კი შესაძლოა იყოს იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველი, რომ მოსწავლისთვის იყოს უფრო დამაბნეველი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მათი ისე შერჩევა, რომ შესაბამისობაში იყოს როგორც დავალებასთან, ასევე მოსწავლის შესაძლებლობებთან, ინტერესებთან და საჭიროებებთან.

## *შენარჩუნება და გენერალიზება*

მოსწავლისთვის ახალი უნარის სწავლება არის მასწავლებლებისა და სპეციალისტებისთვის სწავლა-სწავლების პირველი საფეხური. თუმცა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მას შემდეგ რაც იგი აითვისებს კონკრეტულ უნარ-ჩვევას, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმაზე თუ რამდენად ხდება ამ უნარის დროთა განმავლობაში შენარჩუნება და სხვადასხვა ადამიანებთან, საგნებზე თუ კონტექსტებში მისი გენერალიზება და გამოყენება. ჩვენ შეგვიძლია უამრავი მნიშვნელოვანი უნარის სწავლება მოსწავლეებისთვის. მაგრამ თუ ისინი ვერ ახერხებენ დასწავლილის შენარჩუნებას და/ან საჭიროების შემთხვევაში მის გამოყენებას, აღნიშნული უნარების სწავლება, პრაქტიკულობის თვალსაზრისით, დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

### *შენარჩუნება*

მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებლობის შემთხვევაში, არსებობს მისი დავიწყების დიდი ალბათობა. კონკრეტული უნარის სწავლება აზრს კარგავს მაშინ თუ ის დავიწყებას მარტივად მიეცემა და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლე ვერ შეძლებს მის გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა და სპეციალისტებმა ყურადღება გაამახვილონ მოსწავლის მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევის პერიოდულად გამოყენებაზე, რათა, ნაცვლად რაიმე ახლის სწავლისა, საჭირო არ გახდეს მისი ხელმეორედ სწავლება.

ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია შენარჩუნებულია ცოდნა (Miracle, Collins, Schuster, & Grisham-Brown, 2001). ამასთანავე, მიღებული ცოდნის შენარჩუნების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის თუ რამდენად საჭირო და რელევანტურია მიღებული ცოდნა მოსწავლისთვის და არის თუ არა აღნიშნული უნარი დაკავშირებული მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან ანუ უწევს თუ არა მისი გამოყენება სხვადასხვა აქტივობის დროს განსხვავებულ სიტუაციებში. მასწავლებლებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობას წარმოადგენს:

- შემოწმება და იმაში დარწმუნება, რომ მოსწავლის უნარ-ჩვევა შენარჩუნებულია.
- ისეთი გარემო-პირობების შექმნა, რომ მოსწავლეს უხდებოდეს ცოდნის ხშირი გამოყენება.
- უნარ-ჩვევის გაქრობის შემთხვევაში მისი ხელახალი სწავლება.

ეფექტური სწავლა-სწავლების პრაქტიკად მიჩნეულია უკვე მიღებულ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან პერიოდულად დაბრუნება და გადამოწმება თუ რამდენად შენარჩუნებულია ის. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადად ახალი უნარ-ჩვევის სწავლა-სწავლება



აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მათი რევიზია ხშირად პროცესის ბუნებრივი ნაწილია.

### *გენერალიზაცია*

გენერალიზაცია არის უნარი, რომლის არსებობისას მოსწავლეს შეუძლია მიღებული ცოდნის განსხვავებულ გარემოში და კონტექსტებში, განსხვავებული რესურსებითა და განსხვავებულ ადამიანებთან გამოყენება. იგი გულისხმობს დაუფლებული ცოდნის ან უნარ-ჩვევების ისეთ სიტუაციებში დემონსტრირებას, რომლებიც განსხვავდებიან იმ გარემოსგან, სადაც მოხდა მისი ათვისება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გენერალიზაციის უნარის არსებობისას შესაძლებელია ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა კონტექსტებში. როდესაც მოსწავლე კლასში კონკრეტული ცხრილიდან სწავლობს ასოებს, მას შესაძლებელია გაუჭირდეს მიღებული ცოდნის ავტომატურად გადატანა სხვა სასტიმულო მასალაზე განსხვავებულ გარემოში ანუ გაუჭირდეს წიგნში ან ფურცელზე გამოსახული იმავე ასოების ცნობა სახლის პირობებში.

არაერთი კვლევის შედეგად დასტურდება აღნიშნული უნარის საჭიროება და მნიშვნელოვნება. სწავლა-სწავლების პროცესისას აუცილებელია სპეციალისტისა თუ მასწავლებლის მიერ იმის წინასწარ განსაზღვრა, რა სიტუაციებში იქნება საჭირო მოსწავლის მიერ აღნიშნული უნარის გამოყენება და რამდენად შეძლებს მოსწავლე ამ კონტექსტების იდენტიფიცირებას. სწავლების ეფექტურად ორგანიზების საბოლოო მიზანს წარმოადგენს ის, რომ მოსწავლემ შეიმეცნოს სასწავლო გარემოში (კლასში), თუმცა შეეძლოს უნარის დემონსტრირება ბუნებრივ გარემოშიც. მაგალითად, მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლემ შეიძლება სწორად განსაზღვროს რიცხვების რაოდენობა და მეტობა-ნაკლებობა, მაგრამ მან ასევე უნდა შეძლოს ამ უნარის გამოყენება სასაბუღალტრო იმ გადაწყვეტილების მიღებისას, აქვს თუ არა საკმარისი თანხა კონკრეტული საქმიანობისთვის თუ სასმელისთვის. ასევე, ციფრების ცნობის სწავლა არის პრაქტიკული უნარი, მაგრამ მოსწავლემ რიცხვები უნდა იცნოს არამხოლოდ ბარათებზე ან დაფაზე, არამედ ფულის კუპიურებზეც, მენიუშიც, ტელეფონშიც, ტელევიზორის პულტზეც და სხვა.

სასწავლო გარემოდან ბუნებრივ კონტექსტში ცოდნის გენერალიზების უნარი შედარებით რთული საკითხია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მათთვის გართულებულია განსხვავებულ გარემოში იმ სტიმულის იდენტიფიცირება, რომლის შემჩნევამაც უნდა გაააქტიუროს უკვე შესწავლილი უნარის გამოყენება. შესაბამისად, სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს გენერალიზების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია;

- კონკრეტული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დაუფლებისას მისი დაკავშირება მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მისთვის აღნიშნული უნარის ფუნქციური გამოყენების ჩვენება.
- მოსწავლეს მიეცეს მიღებული ცოდნის დემონსტრირების შესაძლებლობა სხვადასხვა კონტექსტში (მეტი ეფექტურობისთვის რეკომენდებულია პროცესში ჩაერთოს მასთან მომუშავე სხვა მასწავლებლები, სპეციალისტები და მშობლები).
- კონკრეტული უნარისა თუ ცნების სწავლებისას მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, მაგალითად, ციფრების სწავლებისას ბარათების, მაგნიტური ციფრების, ხის ფიგურების, ფულის კუპიურების და ა.შ. გამოყენება. ან ყვავილის აგებულების სწავლებისას ქოთნის ყვავილის, სკოლის ეზოში ამოსული ყვავილის, ყვავილის სურათის ან ვიდეოს გამოყენება.

- მოსწავლეზე დაკვირვება ისეთ გარემოში, სადაც შესაძლებელია შესწავლილი უნარის გამოყენება. საწყის ეტაპზე, აუცილებელია, რომ მხარი დავუჭიროთ, გამოვიყენოთ მიმანიშნებლები, მივაწოდოთ უკუკავშირი.

## *გრაფიკული სისტემები (Graphic Organizers)*

რა არის საუკეთესო გზა სხვადასხვა ტიპის ცხოველების კლასიფიცირების? ან როგორ შეიძლება ავუხსნათ მოსწავლეებს ზღაპრის ორ პერსონაჟს შორის კავშირი? უფრო მაღალ კლასებში კი წყლის წრებრუნვა, ვულკანის მოქმედება, მეორე მსოფლიო ომის მიზეზები და ა.შ. ყოველივე ამის ახსნისა და ჩვენების ერთ-ერთი ეფექტური გზა არის გრაფიკული სისტემები.

გრაფიკული სისტემა წარმოადგენს ინფორმაციის ვიზუალურ რეპრეზენტაციას, რაც გვეხმარება კონკრეტულ ცნებასთან თუ კონცეფციასთან დაკავშირებული საკითხების შეგროვებასა და დახარისხებაში. მათი საშუალებით გვეძლევა პატერნების, კანონზომიერებებისა და ინფორმაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების უკეთ შემჩნევისა და „დანახვის“ შესაძლებლობა. ხშირად გრაფიკულ სისტემას უწოდებენ „რუკებს“, რადგან ასრულებს ნავიგატორისა და გზამკვლევის როლს უამრავ ინფორმაციაში, განალაგებს და ახარისხებს რა ჩვენს იდეებსა და ფიქრებს ვიზუალურად. ალბათ ჩვენს ყოველდღიურობაში ყველაზე გავრცელებულ გრაფიკულ სისტემას წარმოადგენს კალენდარი.

ის გვეხმარება ინფორმაციის დახარისხებაში, გაფილტვრაში, დამახსოვრებაში, შენახვასა და გაზიარებაში. გრაფიკულ სისტემებს, ასევე, ხშირად უწოდებენ სემანტიკურ რუკებს, ქსელებს, კონცეპტუალურ რუკებს, სემანტიკურ მათემატიკურ საშუალებებს. გრაფიკული სისტემების საშუალებით ხდება ინფორმაციის იზოლირებული და კონკრეტული ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, განსაკუთრებით კი სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების უმეტესი ნაწილი ვიზუალური სწავლის სტილის მქონეა. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი უკეთ იგებენ და იმახსოვრებენ მაშინ, როდესაც იდეები, სიტყვები, ცნებები თუ კონცეფციები დაკავშირებულია სურათებთან, ცხრილებთან, დიაგრამებთან და რუკებთან ანუ მხედველობით რეპრეზენტაციებთან. შესაბამისად, გრაფიკული სისტემები მათი სწავლა-სწავლებისთვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

### *რატომ უნდა გამოვიყენოთ გრაფიკული სისტემები?*

როგორც აღვნიშნეთ, გრაფიკული სისტემები გვეხმარება იდეების კონსტრუირებასა და ვიზუალიზაციაში, ინფორმაციის ორგანიზებასა და თანმიმდევრობით განლაგებაში, წერის პროცესის დაგეგმვაში, კითხვის უნარის დაუფლების გაუმჯობესებაში, პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების ორგანიზებაში, იდეების შედარებასა და შეპირისპირებაში, მიზეზ-შედეგობრიობის დანახვაში და სხვა. ჩვენი ფიქრებისა და აზრების ვიზუალური საშუალებით გამოსახვა და კოდირება მნიშვნელოვნად გვეხმარება ინფორმაციის გაგებისა და დამახსოვრების პროცესში.


გრაფიკული სისტემების გამოყენება შესაძლებელია ისეთ მარტივ აქტივობაშიც კი, როგორცაა საყიდლების სია ან ისეთ რთულ და კომპლექსურ საკითხის მიზეზ-შედეგობრიობის კონსტრუირებაში, როგორცაა რომელიმე ისტორიული მოვლენა.

### გრაფიკული სისტემების ტიპები

არსებობს უამრავი სახის გრაფიკული სისტემა, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა მიზნით. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

### ვენის დიაგრამა (Venn Diagram)

ვენის დიაგრამა არის ვიზუალური ხერხი, რომელიც გამოიყენება ორი ან რამდენიმე საგნის, მოვლენის, ადამიანის, ცნებისა თუ კონცეფციის განსხვავება-მსგავსებების რეპრეზენტაციისთვის. იგი ამარტივებს მოსწავლეებისთვის იმის გაგებას თუ როგორ შეიძლება საგნები ერთდროულად იყვნენ ერთმანეთისგან გასხვავებულები და თან ჰქონდეთ საერთო მახასიათებლები. ვენის დიაგრამა იძლევა შედარებისა და კონტრასტის დანახვის შესაძლებლობას.





### ცნების რუკა (Concept Map)

ცნების რუკა არის მაორგანიზებელი საშუალება, რომელიც ამარტივებს და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ახალი ცნების შინაარსის და მახასიათებლების გაგებას. მისი გამოყენებით მოსწავლეები უკეთ აღიქვამენ კონკრეტული ცნების ასპექტებს და განიხილავენ მას სხვადასხვა გზით. ცნების რუკები ეხმარება მოსწავლეებს უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: „რა არის ეს? რა არის მისი მახასიათებლები? რა არის მისი მაგალითები?“. აღნიშნული ხერხის საშუალებით მოსწავლეები იღრმავებენ გაგებასა და ცოდნას კონკრეტული ცნების ირგვლივ.

რატომ უნდა გამოვიყენოთ ცნების რუკები?



- ახალი ინფორმაციის ორგანიზებისთვის.
- მთავარ იდეასა და მის მახასიათებლებს შორის მნიშვნელობის მქონე კავშირების დამყარებისთვის.
- ადვილია მისი კონსტრუირება და ერგება ნებისმიერ თემას.

- თვალსაჩინო, სახალისო და მარტივია მოსწავლეებისთვის.




### გონების რუკა (Mind Maps)

გონების რუკები გამოიყენება ისეთი იერარქიული ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენისთვის, რომელსაც გააჩნია ცენტრალური (მთავარი) იდეა და განშტოებების სახით მასთან დაკავშირებული საკითხები. იგი ეხმარება მოსწავლეებს იდეების გენერირების, პრობლემების გადაჭრის, ცნებებს შორის ურთიერთკავშირისა და მისი კომპონენტების იერარქიულობისა თუ მიმდევრობის უკეთ გაგებასა და დანახვაში.



## T-Chart


T-Chart-ის დახმარებით მოსწავლეებს შეუძლიათ იდეების, ცნებებისა და კონცეფციების ორ კატეგორიად კლასიფიცირება. შესაძლებელია შემდეგი სახის ჩამონათვალის გაკეთება შედარების მიზნით: ხილი vs ბოსტნეული, დადებითი vs უარყოფითი, უპირატესობა vs ნაკლი, ფაქტი vs ვარაუდი.

ბევრი	ცოტა
	

არსებითი სახელი	ზმნა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ყვავილი</li> <li>• სათამაშო</li> <li>• ბურთი</li> <li>• ტელევიზორი</li> <li>• წიგნი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თამაშობს</li> <li>• დარბის</li> <li>• ყვირის</li> <li>• უყურებს</li> <li>• კითხულობს</li> </ul>

## წრიული მიმდევრობის დიაგრამა (Circular Sequence Diagram)

წრიული მიმდევრობის დიაგრამის საშუალებით შესაძლებელია გარკვეული მოვლენის ეტაპებისა და მათი თანმიმდევრობის ვიზუალურად წარმოდგენა. ბევრი მოსწავლისთვის ვიზუალური დამხმარე საშუალება აუცილებელია, რათა უკეთ აღიქვას მოვლენის თანმიმდევრობა. მის მიზანს წარმოადგენს მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და შემდგომში გარკვეული დასკვნების გაკეთება.





## საკლასო გარემოს ორგანიზება

საკლასო გარემოს ორგანიზება და მოწესრიგება მრავალ კომპონენტს მოიცავს, რომელთა შორის წამყვანია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ასპექტები. საკლასო გარემოს სხვაგვარად უწოდებენ კლასის კლიმატს, ატმოსფეროს, ფსიქოსოციალურ გარემოს, ეკოლოგიას და მასში იგულისხმება ის უმნიშვნელოვანესი კომპონენტები, როგორებიცაა სწავლა-სწავლების ზოგადი კონტექსტი და მოსწავლის მამოტივირებელი ფაქტორები.

პირველ რიგში, ყურადღება გავამახვილოთ ფსიქოლოგიურ ასპექტებზე.

კლასის კლიმატი არის მოსწავლის მიღწევის დონის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი. ისინი უკეთესად სწავლობენ მაშინ, როდესაც აქვთ გარემოს პოზიტიური აღქმა და დამოკიდებულებები. გარემოში, ასევე, იგულისხმება მასწავლებლები და მოსწავლესთან მომუშავე სხვა სპეციალისტები. კლასის ატმოსფეროს მთავარი პრინციპი მდგომარეობს ისეთი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნაში, რომელიც ფასილიტაციას უწევს სწავლის პროცესს. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

**ურთიერთობები:** ისეთი გარემო, სადაც ადამიანები ერთმანეთს მხარს უჭერენ და ეხმარებიან.

**პიროვნული განვითარება:** გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე.

**სისტემის თანმიმდევრულობა:** სტრუქტურირებული გარემო, სადაც მასწავლებლებს აქვთ მოსწავლეების მიმართ მკაფიო მოლოდინები, აკონტროლებენ სიტუაციას და მუდმივად არის მზაობა ცვლილებისა და სიახლეებისადმი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

### ურთიერთობები

სწავლა-სწავლების პროცესში ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნით მნიშვნელოვანია მოსწავლეების ნდობის მოპოვება. სამწუხაროდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ხშირად განიცდიან წარუმატებლობასთან დაკავშირებულ ემოციებს. მათ ხანდახან აქვთ უარყოფის, უხეში თუ ინდიფერენტული მოპყრობის გამოცდილება. ეს ხშირად აისახება გარემოს მიმართ ნდობისა და საკუთარი შესაძლებლობების თვალსაზრისით სირთულეებში. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა და სპეციალისტებმა გააცნობიერონ, რომ მსგავსი გამოცდილების მქონე მოსწავლეები არიან დაბალი თვითშეფასების, დაწეული გუნება-განწყობილების, აგრესიის, შფოთვისა თუ შიშის განვითარების რისკის ქვეშ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება მათი სწავლის პროცესსა და ზოგად კეთილდღეობაზე. თუმცა შესაძლებელია ამ მანკიერი წრის გარღვევა:

- მათ ემოციებზე დაკვირვებით, იდენტიფიცირებითა და იმის გაგებით თუ როგორ უშლის ან უწყობს ხელს კონკრეტული ემოცია მათი სწავლის მოტივაციას.



- ისეთი სასწავლო გარემოს შექმნით, რომელიც აქცენტს აკეთებს პოზიტიურ ემოციებზე და რამდენადაც შესაძლებელია, ამცირებს ნეგატიურ გამოცდილებებს.
- იმის გაცნობიერებით, რომ მოსწავლეები სკოლაში ყოველდღე სხვადასხვა ემოციით მოდიან, რაც ზოგიერთ მათგანში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს.
- ისეთი გარემოს შექმნით, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტაბილურობა, პროგნოზირებადობა, განმეორებითობა, უსაფრთხოება, სითბო, ემპათია, მიღება, მხარდაჭერა, ერთიანობა და სამართლიანობა.
- მათი მნიშვნელოვნებისა და იმის ჩვენებით, რომ ისინი უპირობოდ მიღებულნი არიან, სწავლის თუ სხვა სირთულეების არსებობის მიუხედავად.
- ისეთი „ავთენტური ურთიერთობების“ შექმნით, რომლის დროსაც მოსწავლე მასწავლებლისგან ელის უპირობო და არა მანიპულაციურ მიღებას, მზრუნველობას, პატივისცემას და სითბოს.
- მათი მხარდაჭერითა და მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებით: „როდესაც სკოლაში მივდივარ, მასწავლებელს უხარია ჩემი დანახვა“, „მე არ მიყვარს, როდესაც ავად ვარ, რადგან ვერ მივდივარ სკოლაში“.
- მოსწავლეებისთვის ღირებული როლების მინიჭებით, თანამშრომლობითი გარემოს შექმნის საშუალებით.
- სიტუაციის შესაბამისად, დამაბულობის განმუხტვისა თუ სწავლის პროცესის გახალისების მიზნით იუმორის გამოყენებით.

იაპონიაში „კიზუნა“ (Kizuna) არის პედაგოგიკის ცენტრალური პრინციპი, რომელიც გულისხმობს „ახლო, გულწრფელ ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, რაც ხელს უწყობს ემპათიის ჩამოყალიბებას“. მათი განათლების სისტემის ფილოსოფიის საფუძვლებში დევს წინასწარგანზრახული მიზანი, რომ სკოლა აქციონ ოჯახად: მეგობრულ და მხარდამჭერ ადგილად, სადაც პასუხობენ მოსწავლის სოციალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ საჭიროებებს.

## **პიროვნული განვითარება**

### *დაეხმარეთ მოსწავლეებს მიზნების დასახვაში*

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ზოგიერთი მოსწავლე არ არის დარწმუნებული ან ვერ აცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს, რაც ხშირად აისახება სწავლის მიზნების უქონლობაში. ზოგიერთი მათგანი კი ისახავს ისეთ სასწავლო მიზნებს, რომლებიც არარელევანტურია და სცდება მათი შესაძლებლობების არეს. კვლევების მიხედვით, სწავლის პროცესში მოსწავლეები უფრო ჩართულები და მოტივირებულები არიან, როდესაც მიზნები არის მიღწევადი და როდესაც ხედავენ თვალსაჩინო შედეგს და უკუკავშირს, რომ მათ ეს ნამდვილად გამოუვიდათ.

- დაეხმარეთ მოსწავლეებს სასწავლო თუ ქცევითი მიზნების დასახვაში.
- ხშირად ესაუბრეთ მიზნების შესახებ, შეეცადეთ დაანახოთ როგორ მიემართება კონკრეტული გაკვეთილი აღნიშნულ მიზნებს და დაეხმარეთ სწავლის პროცესში მოახდინონ საკუთარი პროგრესის რეფლექსია.
- მიზნები უნდა იყოს ორიენტირებული გაგების ჩამოყალიბებაზე და არა უბრალოდ კონკრეტული უნარის დემონსტრირების შესაძლებლობაზე.

- ზოგადი და ბუნდოვანი მიზნები აქციეთ სპეციფიკურ განზრახვებად (ინტენციებად), ქცევებად და წარმოადგინეთ კონკრეტულ და რელევანტურ ქვემიზნებად.
- გამოიყენეთ პირდაპირი, ხშირი და მიზანზე ორიენტირებული უკუკავშირი, რათა შეინარჩუნოთ მოსწავლის მიზნების მიღწევისადმი მოტივაცია და სწრაფვა.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს იყენენ მიზანზე ორიენტირებულნი. ხშირად ესაუბრეთ ამაზე და დაანახეთ, თუ როგორ მიემართება გაკვეთილი კონკრეტულ მიზანს: „თუ შენ გინდა, რომ შეძლო კომპიუტერთან მუშაობა, შენ უნდა შეგეძლოს ...“, „თუ შენ გინდა, რომ შეძლო ამის ყიდვა, მათემატიკის გაკვეთილზე უნდა შეგეძლოს ..... შესრულება“.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს მოკლევადიანი მიზნების შედგენაში: „მე უნდა შევძლო ამ აპლიკაციის 1 კვირაში გაკეთება, რათა შემდგომ გადავიდე მეორეზე“.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს ზოგადი გრძელვადიანი მიზნების დასახვაში: „მე მომწონს ხატვა და სკოლის დამთავრების შემდეგ მსურს, გამოვიდე დიზაინერი“.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი და რეალისტური მიზნები: „მე მინდა, კარგად შევძლო დავალების შესრულება, სპორტულ აქტივობებში ჩართვა და მყავდეს ბევრი ახლო მეგობარი“.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს, მიზნების თვალსაზრისით, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საჭიროების შემთხვევაში, არჩევანის გაკეთებაში: „მე დროს დავუთმობ სპორტსაც და აკადემიურ მიზნებსაც, თუმცა მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია სწავლა“.

*გაითვალისწინეთ მოსწავლეების კულტურული, ეთნიკური, ენობრივი და სხვა თავისებურებები*

სწავლების პროცესის დაგეგმვისას ყურადღება გაამახვილეთ იმაზე თუ რამდენად ასახავთ და ითვალისწინებთ კულტურულ თავისებურებებს თქვენს დავალებებსა და აქტივობებში. მასალებისა და ტექსტების შერჩევისას დააკვირდით, რომ ისინი არ შეიცავდნენ გარკვეულ წინასწარგანწყობებს, ცრურწმენებს, უგულვებელყოფასა და სტერეოტიპულ შინაარსებს.

*შექმენით მამოტივირებელი სასწავლო გარემო*

კვლევების მიხედვით, ტვინის ის უბნები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ემოციებსა და კოგნიტურ გადამუშავებაზე, აქტივირდებიან მაშინ, როდესაც ინდივიდი მოტივირებულია შესარულოს კონკრეტული დავალება. გათავაზობთ რამდენიმე რჩევას მოტივაციასთან დაკავშირებით:

- მნიშვნელოვანია, გააცნობიეროთ, რომ თქვენ მიერ მოსწავლის მოტივაციაზე მუშაობა არის ლიმიტირებული და რომ, საბოლოოდ, მას თავად უწევს აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის პროცესზე: „მე შემიძლია, დაგეხმარო და მიმართულება მოგცე პროცესში, თუმცა მე ვერ შევძლებ ვისწავლო შენს ნაცვლად“.
- მოტივაციასთან დაკავშირებული გამოკვეთილი სირთულეების არსებობის შემთხვევაში, იყავით ყურადღებით და ფრთხილად. შესამჩნევი ცვლილებების მიღწევა შესაძლებელია, თუმცა არ არის მარტივი და სჭირდება დრო. მოთმინება არის მნიშვნელოვანი.
- აუცილებელია იმის გააცნობიერება, რომ მოსწავლის მიზნები, ემოციები და პირადი რწმენები არის მისი პიროვნების ნაწილი, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ, მიუხედავად ჩვენი შეხედულებისა და დამოკიდებულებისა.

- მნიშვნელოვანია, მოტივაციასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობის შემთხვევაში იყოს მომთმენი და მკაფიო: „მე ვხედავ, რომ დღეს ვერ ახერხებ დავალებაზე კონცენტრაციას, თუმცა შევეცადოთ შევასრულოთ რაღაც ნაწილი და დანარჩენი შემდეგი რამდენიმე დღე დავუთმოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ აუცილებლად წარმატებით შეასრულებ“.
- გაატარეთ თითოეულ მოსწავლესთან გარკვეული დრო ერთი-ერთზე (მინიმუმ კვირაში ერთხელ მაინც).

## სისტემის თანმიმდევრულობა

### *გქონდეთ მაღალი, თუმცა რეალისტური მოლოდინები*

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ხშირად აწყდებიან წარუმატებლობას, რაც გავლენას ახდენს მათ რწმენაზე საკუთარი შესაძლებლობების შესახებ. მსგავსი განცდის რისკს, ასევე, აძლიერებს მშობლების ან მასწავლებლების მხრიდან მათ მიმართ დაბალი მოლოდინების არსებობა. მნიშვნელოვანია:

- გჯეროდეთ, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის რესურსი და შესაძლებლობა.
- მუდმივად გქონდეთ იმის მცდელობა, რომ აამაღლოთ მოსწავლეთა და მშობელთა მოლოდინები.
- დაეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია მცდელობა, მასში გარკვეული რესურსების ჩადება და უნარ-ჩვევების წარმატებული გამოყენება.
- დაანახოთ მოსწავლეებს, რომ ისინი თავად არიან პასუხისმგებელი საკუთარ წარმატებაზე.
- მოსწავლე დააყენოთ გარკვეული გამოწვევების წინაშე, თუმცა ამას არ უნდა ჰქონდეს იძულების ფორმა.
- მოსწავლეებს დაეხმაროთ საკუთარი თავის მიმართ რწმენის ჩამოყალიბებაში: „როდესაც ვცდილობ, თითქმის ყველაფერი კარგად გამომდის“.
- დარწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეს აძლევთ საკმარის დროს პასუხის გაცემის, შეკითხვის დასმის ან საერთო მსჯელობაში მონაწილეობის მიღებისთვის.
- დასახოთ მკაფიო და თანმიმდევრული მოლოდინები მოსწავლის ქცევის შესახებ როგორც კლასში, ასევე, მთლიანად სკოლის სივრცეში.

### *იყავით ავტორიტეტები და არა ავტორიტარები*

მასწავლებლის, როგორც ავტორიტეტის, აღქმა დამოკიდებულია მის ქცევაზე: რას ამბობს, როგორ ამბობს (ხმის ტონი, სიმაღლე) და როგორია მისი სხეულის ენა. მოსწავლის ქცევასთან გამკლავება შესაძლებელია არც ძალიან მკაცრი და არც ძალიან რბილი მიდგომებით, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევაზე. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი არ იყოს მუდმივად სერიოზული, არამედ, შეეძლოს ყველაფერს ხალისითა და იუმორით მიუდგეს. ბალანსი სიმკაცრესა და მიშვეულობას შორის, ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის შემთხვევაში, არის მთავარი გამოწვევა. გამომდინარე იქიდან, რომ მათი ქცევები ხშირად ცვალებადია, მნიშვნელოვანია, მასწავლებელს შეეძლოს „სიგნალების“ ანუ ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების იდენტიფიცირება.

### *შემუშავეთ მკაფიო წესები და საზღვრები*

ზოგიერთი მოსწავლისთვის გართულებულია სოციალური წესების გაგება და მათი გათვალისწინება. თუმცა, მნიშვნელოვანია, მასწავლებლის მიერ ძირითადი წესებისა და კლასის შეთანხმებების მოსწავლეებთან ერთად შედგენა მათთვის გასაგები და მისაღები ფორმებით. აუცილებელია:

- იმის გაცნობიერება, რომ ეფექტური და ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესისა და გარემოს მნიშვნელოვანი ელემენტებია საკლასო რუტინა, წესები და მოლოდინები.
- წესები იყოს პოზიტიურად ფორმულირებული (მაგალითად, „იარეთ ნელა შესვენებისას“ და არა „ნუ დარბიხართ, სირბილი აკრძალულია“). პოზიტიურად ფორმულირებისას ჩვენ მათ მივუთითებთ თუ როგორ უნდა მოიქცნენ, ვაჩვენებთ გზას ნაცვლად იმისა, რომ ვუთხრათ როგორ არ უნდა მოიქცნენ.
- დარწმუნებული იყით, რომ წესების შესრულების თვალსაზრისით უზრუნველყოფილია თანმიმდევრულობა. სკოლის სხვა მასწავლებლები და სპეციალისტები იზიარებენ მათ.
- წესების შემუშავება უნდა ხდებოდეს მოსწავლეებთან ერთად, მათი აქტიური ჩართულობით. მათი შესრულება კი არის როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის პასუხისმგებლობა.
- წინასწარ დაგეგმეთ ერთი აქტივობიდან მეორეზე ტრანზიციის პროცესი, რათა თავიდან აიცილოთ არეულობა და ქცევითი სირთულეების გამოვლენის შესაძლებლობა.
- ასწავლოთ მოსწავლეებს, როგორია მისაღები და მიუღებელი ქცევები, რა შედეგები მოყვება მათ. შეუქმენით იმის შესაძლებლობა, რომ გაივარჯიშონ სწორი ფორმები.
- იმის გაცნობიერება, რომ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფისთვის კლასის მართვის სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვანია, თუმცა არა საკმარისი კომპონენტია.

### *დაიკავეთ შესაბამისი პოზიცია კლასში*

თანამედროვე კლასებში, მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში ნელ-ნელა ირგებენ ფასილიტატორების ანუ მხარდამჭერების როლს. მასწავლებლებს ხშირად უწევთ კლასში მოძრაობა, ჯგუფებისა თუ ცალკეული მოსწავლეების სუპერვიზია და საჭიროების შემთხვევაში მათი მხარდაჭერა. ამის ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ნელ-ნელა ჯგუფური მუშაობის მეთოდებიც უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ჩნდება კითხვა თუ სად არის მასწავლებლისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილი კლასში?

- შეეცადეთ, დაიკავოთ ისეთი ადგილი, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს თქვენი კარგად დანახვა.
- ხშირად დაამყარეთ თვალის კონტაქტი თითოეულ მოსწავლესთან და პერიოდულად ყურადღებით გადახედეთ მთლიან კლასს, რათა დროულად დააფიქსიროთ რთული ქცევის გამოვლენის ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები.
- სტატიკური პოზიციის ნაცვლად, ხშირად იმობრავით მოსწავლეების „ტერიტორიაზე“. ამ გზით თქვენ უკეთ შეძლებთ სიტუაციის გაკონტროლებას და საჭიროების შემთხვევაში, სასურველი ქცევის წახალისებას.

- გამომდინარე იქიდან, რომ ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლეები მწვავე ქცევის გამოვლენამდე გადიან გარკვეულ ფაზებს, მნიშვნელოვანია, იყოს ყურადღებით და ფხიზლად, რათა შეძლოთ დაძაბულობის პირველი ნიშნების იდენტიფიცირება და სწრაფი რეაგირება სიტუაციის განმუხტვის მიზნით. ხანდახან ამისთვის შესაძლოა თქვენი მხრიდან არავერბალური მიმანიშნებელიც კი საკმარისი იყოს.

საკლასო გარემოს ორგანიზების ფიზიკური ასპექტები

ბოლო წლებში არაერთი კვლევა ტარდება იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება სკოლამ შექმნას ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცე. ბევრი წიგნი დაიწერა პრაქტიკული რჩევებისა და სტრატეგიების შესახებ. მასწავლებლები ნელ-ნელა უფრო და უფრო აღჭურვილები ხდებიან იმ საჭირო ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რომლებიც საჭიროა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სასკოლო სივრცეში ეფექტური მუშაობისთვის. აღნიშნული უნარ-ჩვევების გარდა, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება საგანმანათლებლო სივრცის ფიზიკურ ასპექტებსა და მის მოწყობაზე. რეალურად, გარემოს ფიზიკური მოწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ინკლუზიური განათლების ეფექტურობასა და წარმატებულობას. ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექნაში არ იგულისხმება მხოლოდ დამოკიდებულებების, მხარდაჭერის სისტემებისა და აქტივობების ცვლილება. ის, ასევე, გულისხმობს ფიზიკურის სივრცის მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად აკომოდაციას.

*ფიზიკური გარემოსა და ინვენტარის ორგანიზება*

- საკლასო ოთახში არსებულ ავეჯს მოეპყარით როგორც ადვილად მანიპულირებად ნივთებს, რომელთა მორგებასაც შეძლებთ სხვადასხვა საგაკვეთილო ფორმატზე (მაგალითად, ინდივიდუალური ან ჯგუფური სამუშაოები).
- ჯგუფური აქტივობისას მოსწავლეთა მერხები განათავსეთ სტრატეგიულად ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს თქვენი მხედველობის არეში და ადვილად შეძლოთ პროცესის მონიტორინგი.
- დააკვირდით მოსწავლეთა ქცევებს ჯგუფური მუშაობისას. თუ კლასი ახმაურდა, შეცვალეთ თქვენი მერხის ან მაგიდის კონფიგურაცია. ასევე, შეგიძლიათ სცადოთ ჯგუფების შემცირება (მაგალითად ხუთ კაციანი ჯგუფის სამ კაციანად შეცვლა) და/ან ჯგუფებში შემადგენლობის თვალსაზრისით ცვლილებების შეტანა (მაგალითად, „ხელის შემშლელი“ მოსწავლის ისეთ ჯგუფში მოთავსება, რომელშიც დანარჩენი ორი მოსწავლე, როგორც წესი, პროდუქტიულია და ჩართულია პროცესში).
- განათავსეთ ავეჯი და სხვა სასკოლო ინვენტარი ისე, რომ იყოს გადაადგილებისთვის თავისუფალი სივრცეები, რათა მოსწავლეებმა მოძრაობისას ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს და ასევე, ქცევითი სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში შედარებით მარტივად შეძლოთ მასთან გამკლავება.
- შესაძლებლობის ფარგლებში, მნიშვნელოვანია, რომ ინვენტარი, აღჭურვილობები და ტექნიკა იყოს ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.
- შეეცადეთ მერხები განათავსოთ ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოთ შედარებით „მოუხერხებელი“ მოსწავლეების მიერ ერთმანეთზე ან მერხებზე შეჯახების ალბათობა.



- დარწმუნდით, რომ მოსწავლეები, რომელთაც აქვთ სმენასთან, მხედველობასთან, ყურადღებასთან ან ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, ისხდნენ წინა რიგებში.
- მოსწავლეების ინდივიდუალური შესაბამისი კონტეინერების ან თაროების არსებობის შემთხვევაში, დააწერეთ სახელები ან მიაწებეთ სურათები (იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მოსწავლეს აქვს კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები). ასევე, დააწებეთ აღნიშნულ კონტეინერებში შესაბამის ნივთებს იარაღიები, რათა თავიდან აირიდოთ მოსწავლეთა ნივთების ერთმანეთში არევა.
- მნიშვნელოვანია გარემოს გარკვეული ადაპტაციების გაკეთება მოსწავლეებისთვის, რომელთაც აქვთ გარკვეული ფიზიკური შეზღუდვები: დამატებითი სივრცე ეტლით მოსარგებლესთვის ან მოსწავლისთვის, რომელსაც სჭირდება ხშირი შესვენება. (მაგალითად, პანდუსები, ფართო კარები, მაგიდებისა და სკამების სიმაღლეები და მერხებს შორის დაშორებები ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების თავისუფალი გადაადგილებისთვის). მსგავსი ადაპტაციების გაკეთების საჭიროება აუცილებლად გააუქმრეთ ადმინისტრაციასთან.
- მნიშვნელოვანია, რომ ზღურბლები და კარების ჩარჩოები გამოკვეთილი იყოს მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის.

#### *მიმზიდველი და უსაფრთხო გარემოს შექმნა*

მოსწავლეები, მასწავლებლები და სპეციალისტები დღის მანძილზე დიდ დროს ატარებენ საკლასო ოთახებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სასწავლო სივრცე იყოს მათთვის რაც შეიძლება მიმზიდველი, მასტიმულირებელი და უსაფრთხო. ეს აუცილებელია არა მხოლოდ ესთეტიკური მიზნებისთვის, არამედ იმისთვის, რომ იყოს სწავლა-სწავლების პროცესისთვის ხელშემწყობი.

- გააფორმეთ საკლასო ოთახის კედლები ფერადი და ვიზუალურად მიმზიდველი სურათებითა და დეკორაციებით. გაფორმებების მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ თქვენი და მოსწავლეების პიროვნული მახასიათებლების ასახვა, არამედ მან უნდა შექმნას პოზიტიური განწყობა და სწავლის მოტივაცია.
- ჩამოკიდეთ და პერიოდულად ცვალეთ მოსწავლეების ნამუშევრები კედლებზე ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, იამაყოს ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას გამოფენილი საკუთარი ქმნილებით.
- გამოაკარით განრიგები, წესები (შეთანხმებები) და ცხრილები კედლებზე. ასევე, გამოყავით ცალკე სივრცე, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ სიახლეებს და სამომავლო გეგმებს. შეეცადეთ ინფორმაცია იყოს გადმოცემული რაც შეიძლება ცოტა და მარტივი სიტყვებით. ასევე, რეკომენდებულია, გააკრათ სასწავლო მასალასთან დაკავშირებული თვალსაჩინო სურათები ან ბარათები, რათა მასალა მუდმივად იყოს მოსწავლეთა თვალთახედვის არეში.
- მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინება, რომ ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის კლასის ფიზიკური გარემო არ იყოს გადატვრითული და ზედმეტად ბევრი სტიმულისა და გამღიზიანებლის შემცველი.
- აუცილებელია, პოტენციურად საფრთხის შემცველი ნივთები (მაგალითად, მაკრატელი, დანა, საღებავები) შეინახოთ დაცულ ადგილას.

- ხშირად ამოწმეთ თუ რამდენად მწყობრშია ოთახში არსებული განათებები, ელექტრონული მოწყობილობები და კაბელები.

როგორც აღვნიშნეთ, რა თქმა უნდა, დამოკიდებულებები, სწავლების მეთოდები და სწორად შერჩეული აქტივობები სწავლა-სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, თუმცა მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისად ორგანიზებული ფიზიკური გარემოც მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ის გავლენას ახდენს მიკუთვნებულობის, წარმატებულობისა და თვითშეფასების განცდაზე. საკლასო სივრცის ფრთხილად და ყურადღებით დაგეგმილი ფიზიკური გარემო ხელს უწყობს ინკლუზიური სწავლების პროცესს.

### *ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია*

შესაძლებელია, გინახავთ, როდესაც ინდივიდი დასმულ შეკითხვაზე პასუხს წიგნაკში წერს ან ადამიანები, რომლებიც კომუნიკაციისთვის იყენებენ ჟესტებს. შესაძლებელია, გსმენიათ კომუნიკაციის მიზნით სურათების გამოყენების ან კომპიუტერის შესახებ, რომელიც ღიალკზე თითის დაჭერისას „ლაპარაკობს“ ადამიანის ნაცვლად. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთაგანი წარმოადგენს ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის ფორმებს, რომელთაც შემოკლებით ვუწოდებთ „აკ-ს“.

აკ მოიცავს ყველა იმ გზას, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია იდეების, გრძნობებისა და ემოციების გაზიარება საუბრის გარეშე. შესაძლებელია, ჩვენ ამას ვერ ვაცნობიერებთ, თუმცა, ყოველდღიურად ხშირად გვაქვს კომუნიკაცია მეტყველების გარეშე. შესაბამისად, ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის საშუალებებს არცთუ იშვიათად ვიყენებთ. მაგალითად მაშინ, როდესაც, მეტყველების ნაცვლად, სახის გამომეტყველებით ან კონკრეტული ჟესტებით გამოვხატავთ ვინმეს მიმართ ემოციას ან მივუთითებთ მას რაიმეზე.

მეტყველებასთან ან ენასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობისას ააკ-ს გამოყენება ეხმარება ადამიანს კომუნიკაციის წარმოებაში. ზოგ შემთხვევაში მას მუდმივად იყენებენ. ზოგიერთ შემთხვევაში კი შესაძლოა ადამიანს შეეძლოს ცალკეული სიტყვების წარმოთქმა, თუმცა მიმართავდეს ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის საშუალებებს უფრო გრძელი სიტყვებისა და წინადადებების წარმოთქმისას ან მაშინ, როდესაც კომუნიკაცია აქვს უცხო ადამიანთან. ააკ ეხმარება ადამიანს ნებისმიერ სოციალურ კონტექსტში: სკოლა, სამსახური ან მეგობრებთან თუ ოჯახის წევრებთან კომუნიკაციისას.

რა არის ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია?

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია (აკ) გულისხმობს იმ მეთოდებს, ხელსაწყოებს, სისტემებს, სტრატეგიებსა და საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც ხდება ბუნებრივი მეტყველების ჩანაცვლება ან მისი მხარდაჭერა. იგი გამოიყენება მეტყველების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში.

ტერმინი „აუგმენტური“ ნიშნავს რაღაცის დამატებას და/ან შევსებას. აუგმენტურ კომუნიკაციაში კი იგულისხმება, როდესაც ხდება რაღაცის დამატება მეტყველებაზე (მაგალითად, სურათები, ასოების დაფა, ნიშნები). მათი დახმარებით გაგზავნილი მესიჯი არის უფრო გასაგები მსმენელისთვის.

ტერმინი „ალტერნატიული კომუნიკაცია“ გულისხმობს, განსხვავებული გზით კომუნიკაციას. გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანს საერთოდ არ შეუძლია საუბარი ან მისი მეტყველება გაუგებარია მსმენელისთვის.

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის საშუალებებს შესაძლოა წარმოადგენდნენ ხელსაწყოები, სისტემები, აპარატები, სტრატეგიები ან სხვა. ისინი ეხმარება ადამიანებს კომუნიკაციის წარმოებაში მაშინ, როდესაც გართულებულია მისი მეტყველების საშუალებით განხორციელება.

მოგეხსენებათ, მეტყველების გარეშე კომუნიკაცია ძალიან რთულია. როდესაც მოსწავლეებს არ შეუძლიათ ან უჭირთ საუბარი და თავიანთი ფიქრების, ემოციებისა და სურვილების ორალური, არტიკულაციის გზით გადმოცემა, ეს შესაძლებელია იყოს დამაბნეველი და მაფრუსტრირებელი როგორც მათთვის, ასევე მათი კომუნიკაციური პარტნიორისთვის. ხშირად აღნიშნული სირთულეები განაპირობებენ გარკვეული დასკვნების გაკეთებას საკუთარი შესაძლებლობების შესახებ ან სხვების მხრიდან მოსწავლის კომპეტენციების, სწავლისა და ფიქრის პოტენციალისა და უნარ-ჩვევების შესახებ. როგორ უნდა შეძლონ მათ თავიანთი ფიქრების გადმოცემა? შესაძლებელია მოსწავლე ხვდებოდეს, რომ არის შემთხვევები, როდესაც კომუნიკაცია მარტივია (მაგალითად, ოთახში არსებული კონკრეტული სათამაშოთი ან ნივთით დაინტერესების გამოხატვა მასთან მისვლით და აღებით). თუმცა ისინი, ასევე, იმასაც ხვდებიან, რომ უმეტესწილად კომუნიკაცია არის ძალიან რთული (მაგალითად, საკუთარი დამოკიდებულების ან ემოციების გამოხატვა კონკრეტული საგნის, აქტივობისა თუ ადამიანის შესახებ).

1980-იანი წლებიდან ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია ნელ-ნელა უფრო და უფრო განვითარდა და პოპულარული გახდა როგორც ეფექტური საშუალება ისეთი მოსწავლეების დახმარებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ საუბარი ან აქვთ მეტყველების ლიმიტირებული კომპეტენციები სხვებთან ინტერაქციისთვის. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებისთვის შესაძლებლობების მიცემა, რათა:

- მიიღონ მონაწილეობა დიალოგში
- ჩაერთონ სახლის, სკოლისა და სხვა აქტივობებში
- ისწავლონ ენა
- აღმოაჩინონ და შეინარჩუნონ სოციალური როლები (მაგალითად, მოსწავლის, მეგობრის და ა.შ.).

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის საშუალებებს, ასევე, აქვთ იმის პოტენციალი, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეების თვით-ეფექტურობის, თვით-პატივისცემისა და კომპეტენტურობის განცდას.

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციისას გამოყოფენ ორ ტიპს: დამხმარე და არადამხმარე კომუნიკაცია (Aided and Unaided AAC), რომლებიც შეიძლება იყვნენ ტექნოლოგიური (მაგალითად, კომპიუტერი) ან არატექნოლოგიური (მაგალითად, ბარათები, სურათები)

<p>არადამხმარე ააკ - კომუნიკაციისას არ გამოიყენება რაიმე დამხმარე საშუალება ან ხელსაწყო. ასეთ დროს აუცილებელია შესაბამისი მოტორული უნარების არსებობა და ისეთი კომუნიკაციური პარტნიორი, რომელიც სწორად შეძლებს მისკენ მიმართული შეტყობინების გაგება-ინტერპრეტაციას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სახის გამომეტყველება</li> <li>• სხეულის ენა</li> <li>• ბუნებრივი ენა</li> <li>• ჟესტები</li> <li>• ჟესტური ენა</li> </ul>
<p>დამხმარე ააკ - კომუნიკაციისას გამოიყენება მისი სხეულის გარეთ არსებული დამატებითი დამხმარე საშუალებები ანუ გარკვეული ფორმის გარეგანი მხარდაჭერა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სიმბოლოების დაფები (სურათები, ილუსტრაციები, ფოტოსურათები, ვიზუალური-გრაფიკული სიმბოლოები, დაბეჭდილი სიტყვები და სხვა).</li> <li>• არჩევანის ბარათები</li> <li>• საკომუნიკაციო წიგნები</li> <li>• კომპიუტერი, კლავიატურა და ასოების ცხრილები</li> <li>• მეტყველების გამამძლიერებელი ხელსაწყოები</li> </ul>

ხშირია შემთხვევები, როდესაც რეკომენდებულია როგორც დამხმარე, ასევე არადამხმარე ააკ-ს სწავლება და გამოყენება. მაგალითად, შესაძლებელია, სახლში მშობლებთან ურთიერთობისას ჟესტების, მაგრამ სხვა კომუნიკაციურ პარტნიორებთან სურათზე დაფუძნებული სისტემის ან მეტყველების გამამძლიერებელი ხელსაწყოების გამოყენება. შესაბამისი ტიპის ან ტიპების კომუნიკაციის განსაზღვრა ხდება კონკრეტული ინდივიდისა და მათი კომუნიკაციური პარტნიორების საჭიროებების მიხედვით.

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის სწავლა-სწავლება და მისი გამოყენება შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესი როგორც თავად ინდივიდისთვის, ასევე მისი კომუნიკაციური პარტნიორებისთვის. ვარჯიში და პრაქტიკა პროცესის თანმხლები ნაწილია. ასევე, მნიშვნელოვანია, რესურსებისა და საშუალებების განახლება. აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ პროცესში ჩართული ყველა საკომუნიკაციო სისტემა ან მეთოდი უნდა იყოს ორმხრივად შესწავლილი და გაგებული.

### *სიმბოლოებზე დაფუძნებული ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია*

გამოიყენება მრავალფეროვანი სიმბოლოთა სისტემები, რომლებიც ძირითადად შექმნილია მათთვის, ვისაც არ შეუძლია კითხვა, წერილობითი ენის გაგება. საჭიროების შემთხვევაში,



მათი გამოყენება შესაძლებელია კომბინირებულად კონკრეტული ინდივიდისთვის შექმნილ სიმბოლოებთან, სურათებთან ერთად. ვიზუალური სიმბოლოების საშუალებით ხდება კონკრეტული სიტყვების ან ფრაზების გადმოცემა კომპიუტერის ეკრანის, ბარათების გამოყენების ან სხვა გზით. (იხ. სურათი - The Picture Communication Symbols © 1981-2015 by Mayer-Johnson LLC).

აღნიშნულ სისტემათა გავრცელებული მაგალითებია: Bliss-სიმბოლოები, PECS-ი, Makaton-ი და სხვა.

### მულტიმოდალური კომუნიკატორები

ბევრი ადამიანი, რომელიც ვერ საუბრობს, მაგრამ იყენებს ააკ-ს, შესაძლოა იყოს მულტიმოდალური კომუნიკატორი. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი შესაძლოა იყენებდნენ რამდენიმე გზას საკუთარი შეტყობინებების გადაცემისთვის: ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის გარდა, ვოკალიზაციები, მიახლოებული (მიმსგავსებული) სიტყვები და/ან ჟესტები და მიმანიშნებლები. ბევრი ადამიანი შესაძლოა იყენებდეს ფოტოებს საკუთარი კამერიდან, რათა საკუთარი სათქმელი გახადოს უფრო გასაგები კომუნიკაციური პარტნიორისთვის. ყველა განსხვავებული მეთოდი კომუნიკაციისა უნდა იყოს დაფასებული და წახალისებული.

მიუხედავად მეტყველების გარკვეული უნარის არსებობისა, ადამიანებმა ხშირად შესაძლოა დიდი სარგებელი ნახონ ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის გამოყენებით. ის ეხმარება სიტყვების, ენის ათვისებასა და მის გამრავალფეროვნებაში. ააკ-ს დახმარებით, მათი კომუნიკაცია შესაძლოა გახდეს უფრო გასაგები და მრავალფეროვანი, ვიდრე მხოლოდ მეტყველებით.

ააკ-ს გამოყენება იძლევა გარკვეულ უპირატესობებსა და შესაძლებლობებს:

- ძლიერი მეგობრული და სიღრმისეული ურთიერთობები ჩამოყალიბება.
- მრავალფეროვანი და უფრო ხშირი სოციალური ინტერაქციების არსებობა.
- მრავალფეროვანი სოციალური როლების მორგების შესაძლებლობა: ოჯახის წევრი, მეგობარი, მოსწავლე და ა.შ.
- გაზრდილი ავტონომიურობა და საკუთარი თავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.
- დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა.
- უფრო მეტი პატივისცემის განცდა სხვების მხრიდან.
- უფრო მეტი ჩართულობა ოჯახისა და საზოგადოებრივ კონტექსტებში.
- ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობის ზრდა და გაუმჯობესება.
- ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კომუნიკაციის სირთულეების არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის ადრეულ ასაკშივე გამოყენება, რათა ბავშვებმა არ გამოტოვონ სწავლის იმ ადრეული გამოცდილების შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას მისცემთ მაქსიმალურად განივითარონ კომუნიკაციური პოტენციალი.



# სწავლა-სწავლების სტრატეგიები კონკრეტული სირთულეების მქონე მოსწავლეებთან

## *ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების სტრატეგიები*

ინტელექტუალური სირთულეების დროს, გარდა კოგნიტური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი შეზღუდვისა, ასევე აღინიშნება ადაპტური ქცევის დარღვევა. მისი სიმწვავის დონეები დამოკიდებულია ადამიანის სწავლის შესაძლებლობებსა და საზოგადოების მხრიდან მოლოდინებს შორის განსხვავებაზე. ინტელექტუალური ფუნქციონირების სირთულეებისას მეხსიერების თუ სხვა კოგნიტურ უნარებთან დაკავშირებული გამოწვევების გამო, გართულებული და შენელებულია სწავლის პროცესი. მოსწავლეს უჭირს ცოდნისა და უნარ-ჩვევების სხვადასხვა კონტექსტში გენერალიზება. ასევე, ხშირია დაბალი მოტივაციისა და დასწავლილი უმწეობის (უსუსურობის) არსებობა. ადაპტურ ქცევებში იგულისხმება სოციალურ, კონცეპტუალურ და პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებული პრობლემები. სასწავლო კონტექსტში მათთვის გართულებულია გარკვეული ცოდნის, ცნებებისა და კონცეფციების დაუფლების პროცესი და გარემოში სოციალიზაცია. ისინი ხშირად ავლენენ სირთულეებს ისეთი უნარების თვალსაზრისით, როგორცაა გადაწყვეტილების მიღება, მიზნების დასახვა და პრობლემის გადაჭრა.

სკოლის კონტექსტში ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეები ხშირად ეუფლებიან შესაბამის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მათთვის რელევანტური მხარდაჭერის პირობებში. აუცილებელია კურიკულუმისა და დავალებების მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად მოდიფიცირება, რათა დავებმართო მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება როგორც აკადემიური, ასევე ფუნქციური ანუ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით. ადაპტურ ქცევასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა სფეროებზე. შესაბამისად, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტულ და უპირველეს მიზანს მათთან მუშაობისას.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები, რომელთაც აქვთ გამოკვეთილი და მძიმე ინტელექტუალური სირთულეები, უმეტესწილად ვერ ახერხებენ დაეწიონ თანატოლებს კოგნიტური თუ აკადემიური უნარების განვითარების თვალსაზრისით, მიუხედავად შესაბამისი მხარდაჭერისა. აღნიშნული განსვლა თანატოლებისა და ინტელექტუალური სირთულის მქონე მოსწავლეებს შორის ხშირად ასაკის მატებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდება. რა თქმა უნდა, ისინი სწავლობენ და ეუფლებიან გარკვეულ შემეცნებით თუ ფუნქციურ უნარებს, თუმცა მიღებული ცოდნა არის ნაკლებად სრულყოფილი, მნიშვნელოვნად მცირე და მიიღწევა ბევრად უფრო ხანგრძლივ დროში.

ინტელექტუალური სირთულეები მოიცავს ძალიან ფართო კატეგორიას (მსუბუქიდან - მძიმემდე) და განსხვავდება კონკრეტული უნარების განვითარების დონით, სიმწვავით და მხარდაჭერის საჭიროებით. შესაბამისად, ის თუ რას და როგორ ისწავლის და გამოიყენებს

დამოკიდებულია მის ინტელექტუალურ განვითარებასა და გარემოზე, მის მიმართ გამოყენებულ სტრატეგიებსა და მხარდაჭერაზე.

ინტელექტუალური სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის განვითარებისა და სწავლის გარკვეული ასპექტები შესაძლებელია იყოს სტრესული, რთული და ხანდახან გამოწვევების მქონე. აღნიშნული გამოწვევები ხშირად უფრო თვალსაჩინო ხდება საკლასო გარემოში. ეს შესაძლოა იყოს:

- სოციალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარების სირთულე.
- გაზრდილი დროის საჭიროება ცოდნისა თუ ახალი სასწავლო მასალის კოგნიტური გადამუშავებისთვის.
- ახალი და განსხვავებული ინფორმაციის გაგების სირთულე.
- აბსტრაქტული ცნებების გაგებისა და დაუფლების სირთულე.
- ინფორმაციის თანმიმდევრულად გადამუშავების სირთულე.

რელევანტური, მასტიმულირებელი და პროდუქციული სასწავლო გარემოს შეთავაზებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა სახის აკომოდაციებსა თუ მოდიფიკაციებს საჭიროებს მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. კონკრეტული სტრატეგიებისა თუ მეთოდების შერჩევა-გამოყენებისას უმნიშვნელოვანესია მოსწავლის განვითარების თავისებურებების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ გამოვლენილი სირთულეები ხშირად თანხვედრაშია და მსგავსია სხვა მოსწავლეების შემთხვევაში არსებული გამოწვევებისა. შესაბამისად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება შესაძლებელია მათთანაც.

- **დავალბების მცირე ნაწილებად და ეტაპებად დაყოფა** - ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენს შეთავაზებული აქტივობებისა და დავალბების მცირე, არსებით და შედარებით მარტივად გამკლავებად (შესრულებად) ნაწილებად დაყოფა. მათი შეთავაზება ხდება ეტაპობრივად, რაც მოსწავლის ზედმეტად გადატვირთვის პრევენციას ახდენს, ამცირებს ფრუსტრაციის დონეს და ხელს უწყობს სწავლის პროცესს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლე წარმატებით გადალახავს კონკრეტულ ეტაპს, გადავდივართ შემდეგზე. ეს არის თანდათანობითი და ეტაპობრივი სწავლის მიდგომა. საფეხურების რაოდენობა და მის ფარგლებში მიწოდებული მხარდაჭერის დონე დამოკიდებულია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.
- **კონკრეტული გამოცდილებით, კეთებით სწავლა** - ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში უჭირთ აბსტრაქტული კონცეფციების გაგება და დაუფლება. შესაბამისად, ტრადიციული სწავლების სტილი მათთვის უმეტესწილად არაეფექტურია. ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლების პროცესში რეკომენდებულია უფრო ფიზიკური, კეთებით სწავლის მიდგომის გამოყენება. მოსწავლეთა უმეტესობა კინესთეტიკური სწავლის სტილის მქონეა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი უკეთ სწავლობენ ფიზიკური გამოცდილებითა და კეთებით, ნაცვლად იმის აბსტრაქტულად წარმოდგენისა თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტული დავალბება. „კეთებით სწავლა-სწავლების“ მიდგომა არის ძალიან ეფექტური ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, რადგან ისინი

უკეთ სწავლობენ მაშინ, როდესაც ინფორმაცია არის კონკრეტული, ხელშესახები და დაკვირვებადი. მაგალითისთვის, არსებობს მრავალი გზა თუ როგორ გავაგებინოთ და ვასწავლოთ მოსწავლეს გრავიტაციის კონცეფცია. პირველი - მასწავლებელს შეუძლია ისაუბროს გრავიტაციის შესახებ აბსტრაქტულად, აღწეროს მისი თავისებურებები და მახასიათებლები. მეორე - მასწავლებელმა შესაძლებელია მოახდინოს გრავიტაციის ფენომენის დემონსტრირება ნივთის იატაკზე დაგდებით. მესამე - მასწავლებელმა შესაძლებელია სთხოვოს მოსწავლეებს თავად გამოსცადონ გრავიტაცია კონკრეტული სავარჯიშოს შეთავაზებით: ჰაერში ახტომა ან კალმის დაგდება. მოსწავლეები კონკეტული გამოცდილების მიღებით უფრო მარტივად და უკეთ გაიგებენ აღნიშნულ ფენომენს, ვიდრე აბსტრაქტულად მიწოდებული განმარტებით. ასევე, როდესაც მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ მიღებული ცოდნა დააკავშირონ მათ ირგვლივ არსებულ სამყაროსთან ან ფიზიკურად გამოსცადონ კონკრეტული კონცეფცია, მიღებული ცოდნა უფრო დიდხანს ან მუდმივად დარჩება მათთან.

- **ვიზუალური საყრდენის გამოყენება** - ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეები უფრო მარტივად ახერხებენ ფოკუსირებასა და აღქმას მაშინ, როდესაც შესასწავლი ცნებისა თუ კონცეფციის სწავლის პროცესში ჩართულები არიან ვიზუალური მოდალობით. სწავლებისას მასალის დაფაზე დახატვით, სურათის, ბარათის, ვიდეოს თუ გრაფიკული გამოსახულების შეთავაზებით მოსწავლეებს ეძლევათ თვალსაჩინო ვიზუალური საყრდენი, რაც სწავლის პროცესს ბევრად უფრო წარმატებულს ხდის. აღსანიშნავია, რომ ვიზუალური საშუალებები ძალიან ეფექტურია იმისთვის, რომ გავაგებინოთ მოსწავლეებს თუ რა სახის ქცევას ელიან მისგან. ასევე, ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს ცხრილების გამოყენება მისი პროგრესის ასახვისთვის.



- **მცისიერი და პოზიტიური უკუკავშირი** - ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის დროული და თანმიმდევრული უკუკავშირის გამოყენება ეფექტური სტრატეგიაა. პოზიტიური უკუკავშირი გავლენას ახდენს მოტივაციაზე, რათა გააგრძელოს მცდელობა. ასევე, ეხმარება მას თვითრეფლექსირების პროცესში. წარმატებული სწავლის პროცესისას აუცილებელია *მცისიერი* უკუკავშირის მიწოდება, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასწავლებლის რეაქციასა და მის ქცევას შორის კავშირის დამყარებაში. დროში გადავადებული უკუკავშირის კი ართულებას მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის დამყარებას და შედეგად, მან შესაძლოა დაკარგოს თავისი მნიშვნელობა და აზრი.
- **მუსიკის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში** - მუსიკა უმეტესწილად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლისა და განვითარების პროცესში. იგი პოზიტიურ გავლენას ახდენს პროცესზე და ასრულებს ეფექტური მოტივატორის როლს თითქმის ყველა მოსწავლისთვის, განსაკუთრებით ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის. მუსიკის გამოყენება, მისი ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში და აქტივობებში ეფექტური საშუალებაა იმისთვის, რომ მოსწავლემ უკეთ აღიქვას, მიიღოს და დაიმახსოვროს ინფორმაცია და ამასთანავე გაიზარდოს მისი ჩართულობის ხარისხი.

- **ყურადღება გაამახვილეთ სკოლის სოციალურ ასპექტებზე** - ხშირია სოციალურ უნარებთან დაკავშირებული სირთულეები, რაც ართულებს მათთვის თანატოლებთან შესაბამისი ინტერაქციის წარმოებასა და სოციალურ აქტივობებში ჩართულობას. შეეცადეთ შექმნათ პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, მაგალითად, ჯგუფური მუშაობის მეთოდი.
- **იყავით მომთმენნი** - ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეები ხშირად არიან არაპროგნოზირებადნი სწავლისა თუ კონკრეტული ქცევების გამოვლენის თვალსაზრისით. ის, რასაც ჩვენ ხშირად ტანტრუმს ან ქცევით სირთულეებს ვუწოდებთ, შესაძლოა, იყოს მოსწავლის ხერხი იმის სათქმელად, რომ - „ეს ჩემთვის ძალიან ძნელია“, „დავიღალე, შესვენება მჭირდება“. დახარჯეთ დიდი დრო მოსწავლეების გაცნობისთვის, მათი საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირებისთვის. თუ გრძნობთ, რომ ზედმეტად „გადაიტვირთეთ“ და გიჭირთ გაგრძელება, გახსოვდეთ, რომ ეს პროცესის ბუნებრივი ნაწილია. შეგიძლიათ შეისვენოთ მცირე ხნით და გააგრძელოთ მაშინ, როდესაც ორივე მხად იქნებით. ხანდახან საჭიროა დრო იმისთვის, რომ მოსწავლემ გამოავლინოს გარკვეული პროგრესი, მაგრამ თუ იქნებით მომთმენნი და თანმიმდევრულნი, აუცილებლად დადგება სასურველი შედეგი.

გახსოვდეთ, ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის რესურსი. ისინი შეიმეცნებენ ინდივიდუალური ტემპითა და მათზე მორგებული სტრატეგიების გამოყენებით. სწავლების მთავარი ხელოვნება მდგომარეობს ამ ხერხების აღმოჩენასა და ეფექტური სწავლებისთვის შესაბამისი გზების მოძიება-შექმნაში.

## *სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების სტრატეგიები*

სწავლის სირთულეები არის ზოგადი ტერმინი, რომელიც მიემართება ჰეტეროგენულ ჯგუფს. ის შესაძლებელია გამოვლინდეს მოსმენის, საუბრის, კითხვის, წერის, მსჯელობის ან/და მათემატიკური უნარების დაუფლებისა და გამოყენების მნიშვნელოვანი შეზღუდვით ნორმალური ინტელექტისა და ადეკვატური ინსტრუქციების პირობებში. სწავლის სირთულეები უმეტესწილად ვლინდება სკოლაში შესვლისას, რადგან მოსწავლე დგება ახალი მოთხოვნების წინაშე.

როგორც აღვნიშნეთ, სწავლის სირთულეები არ არის დაკავშირებული ინტელექტუალურ დარღვევასთან და ის არც მწირი აკადემიური ფონის, ემოციური სირთულეების, მოტივაციის ნაკლებობის ან ვიზუალური და სმენითი აღქმის პრობლემებია. მათი ინტელექტუალური განვითარების დონე საშუალო ან საშუალოზე მაღალია.

**კითხვის** სირთულეების შემთხვევაში შესაძლებელია გვხვდებოდეს:

- ფონოლოგიურ და ფონემატურ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სირთულეები: ბგერებისა და მათი გრაფიკული გამოსახულების ერთმანეთთან დაკავშირება,

სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა და გაერთიანება, სიტყვებში ბგერებით მანიპულაცია (სეგმენტაცია-იზოლაცია), მსგავსადმჟღერი სიტყვების ერთმანეთისგან გარჩევა და სხვა.

- კითხვის შენელებული ტემპი.
- დეკოდირების, გაგებისა და დამახსოვრების სირთულები.
- კითხვისას ბგერების ან სიტყვების გამოტოვება/ჩანაცვლება.
- წაკითხულის გაგების სირთულე.
- წაკითხულიდან ძირითადი აზრის, მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფის სირთულე.
- დიდი ხნის მანძილზე კითხვის სირთულე.

**წერის** სირთულებების შემთხვევაში შესაძლებელია გვხვდებოდეს:

- სიტყვების გამოტოვება.
- მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები.
- წინადადების სტრუქტურის ჩამოყალიბება.
- სიტყვებში ასოების გამოტოვება/დამატება.
- დაფიდან ან წიგნიდან გადაწერის სირთულე.
- გაუგებარი ხელწერა.
- ასოთა სივრცეში განლაგების პრინციპის დაცვის სირთულე (ზედა და ქვედა რეგისტრი).
- გარკვეული თემის დაგეგმვისა და ორგანიზების, საკუთარი ფიქრების წერილობითი ფორმით გადმოცემის სირთულე.
- წინადადებების სწორი და ლოგიკური თანმიმდევრობით ჩაწერა.
- წერის ნელი ტემპი.
- სირთულები ექსპრესიული ენის თვალსაზრისით.

**ორგანიზების** უნარების თვალსაზრისით შესაძლებელია გვხვდებოდეს:

- ორგანიზებისა და დროის მენეჯმენტის სირთულები.
- მიმართულებაზე მიყოლის სირთულები.
- წერისას ინფორმაციის ორგანიზების სირთულე.
- ახალი დავალების დაწყების სირთულე.
- დავალების შესრულებისას მეტი დროის საჭიროება.
- სწავლისას სტრატეგიების შემუშავების სირთულე.

**სოციალური** უნარების თვალსაზრისით შესაძლებელია გვხვდებოდეს:

- სახის გამომეტყველებისა და სხეულის ენის გაგებისა და ინტერპრეტირების სირთულე.
- სარკაზმის გაგების სირთულე.
- ვიზუალურ-სივრცითი უნარების თვალსაზრისით სირთულე - შესაძლებელია იკარგებოდეს ხშირად, უჭირდეს ნავიგაცია და მითითებების დახმარებით მიმართულებაზე გაყოლა.
- დროში დისორიენტაცია, საათის ცნობის სირთულე.

### სხვა შესაძლო სირთულეები:

- შეუსაბამო, იმპულსური ქცევები.
- ადვილად გადაღლა და გამოფიტვა.
- ყურადღების ადვილად გადართვადობა გარეშე გამლიზიანებლების მიმართ.
- ყურადღების კონცენტრირებისა და სელექციის სირთულე.
- ჰიპერ ან ჰიპო აქტიურობა.

სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესი შესაძლებელია იყოს დიდი გამოწვევების მქონე, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის წარმოადგენს ჰეტეროგენულ ჯგუფს. მათი სწავლებისას მნიშვნელოვანია შესაბამისი სტრატეგიებისა და აკომოდაცია/მოდულიზაციების გამოყენება, რომელთა შერჩევისას აუცილებელია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეებისა და ინტერესების გათვალისწინება და მათი მორგება კონკრეტული მიზნებისა თუ აკადემიური მოთხოვნების თავისებურებებთან. აღსანიშნავია, რომ სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები თავადაც წარმოადგენენ საკუთარი საჭიროებების შესახებ მნიშვნელოვან წყაროს.

გთავაზობთ გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა. რა თქმა უნდა, ყველა მათგანის გამოყენება არ არის საჭირო და მათგან არჩევა უნდა ხდებოდეს კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. გახსოვდეთ, რომ სწავლის სირთულეები არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს არ შეუძლია სწავლა. არამედ იმას, რომ ისინი სწავლობენ და შეიმეცნებენ განსხვავებულად. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების გამოყენება შესაძლებელია ეფექტური იყოს სხვა მოსწავლეების შემთხვევაშიც.

### *ინტერაქციულ აქტივობებთან და ინსტრუქციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:*


ისეთი დავალებებისა და აქტივობების შეთავაზება, რომელშიც ინტერესითა და მთელი ყურადღებით ჩაერთვება მოსწავლე, საჭიროებს კარგად და სწორად დაგეგმვასა და შესაბამისი სწავლების სტრატეგიების გამოყენებას. სწავლების პროცესმა და სასკოლო ინტერაქციებმა მოსწავლეს უნდა მისცეს წარმატებული სწავლის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. გთავაზობთ იმ აკომოდაციების ჩამონათვლას, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოსწავლეებისთვის წარმატებული და ინტერაქციული სასწავლო პროცესის შეთავაზება:

- **მკაფიო და თვალსაჩინო სწავლების ხერხების გამოყენება** - სახელმძღვანელოში ხშირად მოცემულია დავალებები და აქტივობები ისეთი ფორმით, რომ ხშირად მისი პირობა თუ მასში ასახული ინფორმაცია გაუგებარია მოსწავლეებისთვის. რეკომენდებულია მასწავლების თუ სპეციალისტის მიერ მსგავსი აქტივობების ადაპტირება: დავალების ეტაპებად დაყოფა და მოსწავლისთვის თანმიმდევრულად და ნაწილ-ნაწილ მიწოდება, ზოგადი ჩარჩოს შექმნა და შეთავაზება, შესრულებისთვის საჭირო უნარისა თუ ქცევის დემონსტრირება, მოდელირება, პროცესში მისი მხარდაჭერა და ფასილიტაცია,



პოზიტიური უკუკავშირის მიწოდება, დამოუკიდებელი პრაქტიკის წახალისება, პროცესის მონიტორინგი და ერთობლივი განხილვა (რეფლექსია).

- **მითითებებისა თუ მიმართულებების მიცემისას მათი ხშირი გამეორება** - იმ მოსწავლეების დამხარებისთვის, რომელთაც უჭირს გარკვეულ მითითებებზე მიყოლა (განსაკუთრებით თუ ისინი რამდენიმე საფეხურიანია), მასწავლებლები და სპეციალისტები ხშირად მიმართავენ შემდეგ ხერხს: სთხოვენ თავიანთი სიტყვებით ინსტრუქციების გამეორებას. თუ მასწავლებელი იმ მომენტში დაკავებულია, შესაძლებელია გაუმეოროს მის თანაკლასელს. ინსტრუქციებისა და მითითებების მიცემისას: 1. თუ ინსტრუქცია არის რამდენიმე საფეხურიანი, დაყავით ის ქვესაფეხურებად, მის შემადგენელ ელემენტებად. 2. გაუმარტივეთ ქვესაფეხურები მათი ნაწილ-ნაწილ მიწოდებით და/ან დაფაზე მათი ჩაწერით და ასევე, ხმამაღლა (ორალურად) მათი დასახელებით. 3. წერილობითი ინსტრუქციების მიწოდებისას, დარწმუნდით, რომ მოსწავლე შეძლებს მათ ამოკითხვას და წინადადებებისა და მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობის გაგებას.
- **ყოველდღიური რუტინა** - სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები საჭიროებენ სტრუქტურირებულ და პროგნოზირებად დღის რეჟიმსა და გარემოს იმისათვის, რომ წინასწარ ჰქონდეს მოლოდინი თუ რისი გაკეთება მოუწევთ და რას ელიან მათგან.
- **მთავარი საკითხების გამოყოფა** - სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებს ხშირად უჭირს გაკვეთილის მანძილზე მოსმენილი ინფორმაციის სტრუქტურირება, ძირითადი საკითხების გამოყოფა და ჩანაწერების გაკეთება. ამისათვის სასურველია, რომ შესთავაზოთ მოკლე ჩანაწერები ან ჩანახატები საკვანძო საკითხების შესახებ.
- **ინფორმაციის მულტიენსორული გზებით მიწოდება** - მაგალითად, რეკომენდებულია, ვერბალურად (ორალურად) მიწოდებულ ინფორმაციას თან ახლდეს ვიზუალური თვალსაჩინოებაც მასალის უკეთ აღქმისა და გაგების მიზნით.
- **საკვანძო საკითხების გამოყოფა** - ჩამოწერეთ საკვანძო საკითხები ან ახალი სიტყვები დაფაზე გაკვეთილის მიმდინარეობისას ან მის დაწყებამდე.
- **დაბალანსებული აქტივობები და პრეზენტაციები** - მნიშვნელოვანია მეტყველებით გაშუალებული ინფორმაციის ვიზუალური მასალით ან კეთებით სწავლების ტიპის აქტივობებით დაბალანსება. შესაძლებელია ამის ერთობლივად ან მონაცვლეობით განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია ჯგუფური (დიდი და პატარა) და ინდივიდუალური აქტივობების ბალანსირება.



- **გამოიყენეთ გრაფიკული სისტემები** - თვალსაჩინოებისთვის და ინფორმაციის სტრუქტურირებაში მოსწავლეების დახმარებისთვის გამოიყენეთ დიაგრამები, ცხრილები, გრაფიკები. შესაძლებელია მათი ცარიელი ფორმით მიწოდება, რომელთაც გაკვეთილის მიმდინარეობისას შეავსებს (საჭიროების შემთხვევაში თქვენი დახმარებით). მსგავსი მაორგანიზებელი საშუალებები დაეხმარება მოსწავლეებს ძირითადი

ინფორმაციის გამოყოფასა და ცნებებსა და კონცეფციებს შორის ურთიერთკავშირის უკეთ დაფიქსირება-გაგებაში.

- **მნემონური სტრატეგიების გამოყენება** - რეკომენდებულია მნემონური ანუ დამახსოვრების გარკვეული სტრატეგიების გამოყენება, რათა მოსწავლემ ასოციაციური თუ სხვა კავშირებით უკეთ შეძლოს ინფორმაციის აღქმა და დამახსოვრება. მაგალითისთვის, ასოების სწავლებისას - ასო „გ“-ს გველის ან გედის გამოსახულების დახმარებით ჩაწერა, „თ“-ს თვალის გამოსახულებით საშუალებით და ა.შ. ასევე, სწავლებისას აკრონიმების ან რითმული სიტყვების გამოყენება.
- **მიმდინარე დღის შეჯამება და განხილვა** - ყოველდღიური გაკვეთილის შეჯამება და წინა აქტივობების გახსენება ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის სტრუქტურირებასა და წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში.

### ***მოსწავლის მიერ დავალების/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:***

მოსწავლეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სწავლის სტილითა და დავალებისა თუ აქტივობების შესრულებისა და ჩართულობის თავისებურებებით, მაგალითად, დისკუსიებში მონაწილეობისას, ინფორმაციის გადმოცემისას, ტექსტის წერისას, ხატვისას, დამარცვლისას, ხმაურიან გარემოში მუშაობისას, კითხვისას ან საუბრისას. უფრო მეტიც, ისინი განსხვავდებიან სმენითი თუ ვიზუალური გზებით ინფორმაციის აღქმისა და გაგების კუთხით. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები მიემართება მოსწავლის ექსპრესიულ და რეცეპტულ სფეროებს და ამ გზით მათი შესრულების ეფექტურობის ზრდას:

- **მოსწავლის რეაგირების, პასუხის გაცემისა და ცოდნის დემონსტრირების ფორმა** - მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ, მაგალითად, ნატიფი მოტორული უნარების თვალსაზრისით სირთულეები (უჭირთ წერა), წერითი დავალებებისა და ტესტების ნაცვლად რეკომენდებულია შევთავაზოთ სწორ პასუხზე ხაზის გასმა, რამდენიმე ვარიანტიდან შესაბამისის შემოხაზვა, სორტირება და მარკირება, ორალურად მისი გამოკითხვა. ასევე, შესაძლებელია წერითი აქტივობისას მეტი დროის მიცემა ან ფურცლის ნაცვლად დაფის შეთავაზება.
- **გაკვეთილის სქემის, მონახაზის გაცნობა** - გაკვეთილის სტრუქტურისა და სქემის შეთავაზება საშუალებას აძლევს მოსწავლეს მიჰყვეს მას თანმიმდევრულად და გააკეთოს შესაბამისი ჩანიშვნები. ასევე, გეგმის დახმარებით მოსწავლე უკეთ ხედავს თუ როგორ არის ორგანიზებული დავალება და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, დროულად სვამს შეკითხვებს.
- **ხელი შეუწყვეთ მოსწავლის მიერ გრაფიკული სისტემების გამოყენებას** - როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრაფიკული სისტემები ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის ვიზუალურად ფორმატირებაში. დაეხმარეთ მათ გრაფიკული სისტემების შექმნაში.
- **პერიფრაზი და checkpoint-ები** - თუ თვლით, რომ კითხვისას მოსწავლისთვის ტექსტის კონკრეტული ეპიზოდი არის გაუგებარი ან ბუნდოვანი, სთხოვეთ მისი პერიფრაზირება და დაეხმარეთ პროცესში შეკითხვების დასმით. ასწავლეთ მას ისეთ ეპიზოდებში შეჩერება, სადაც ლოგიკურად მთავრდება გარკვეული აზრი და ხმამაღლა გაშინაარსების გზით იმის შემოწმება თუ რამდენად გასაგები იყო. შესაძლებელია

ყოველივე ამის აუდიო ჩანაწერის გაკეთება და შემდგომ მისი მოსმენა განხილვის მიზნით.

- **ჩანიშვნების წარმოება** - დაყავით ტექსტი მცირე ნაწილებად და დაეხმარეთ მოსწავლეს ჩანიშვნების გაკეთებაში. ის უნდა შეიცავდეს მთავარ აზრს და საკვანძო სიტყვებს, რომლებიც უნდა იყოს მოცემული ტექსტის შესაბამისი თანმიმდევრობით. შეეცადეთ, ნელ-ნელა შეძლოს აღნიშნული ტექნიკის გამოყენება დამოუკიდებლად.
- **მნიშვნელოვანი ასპექტების მარკირება** - კითხვისა და წაკითხულის გაგებაში მოსწავლეებს შესაძლებელია დაეხმაროს ძირითადი აზრის, საკვანძო დეტალების, სიტყვების განმარტებებისა თუ მნიშვნელობების სხვადასხვა ფერის მარკერით მონიშვნა.
- **ლექსიკონის შექმნა** - წახალისეთ მოსწავლე შექმნას მისთვის უცნობი სიტყვების განმარტებების ლექსიკონი მათი გრაფიკული გამოსახულების თუ სემანტიკური მნიშვნელობის უკეთ დამახსოვრების მიზნით. შესაძლებელია შინაარსობრივი ჩანახატების გაკეთებაც.
- **საკლასო ოთახში მასწავლებელთან ახლოს ყოფნა** - სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებს შესაძლებელია ჰქონდეთ ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები. შესაბამისად, რეკომენდებულია წინა მერხზე, მასწავლებელთან, დაფასთან და სამუშაო სივრცესთან ახლოს მისი მოთავსება. მნიშვნელოვანია, რომ შეძლებისდაგვარად შევამციროთ მის გარშემო დამატებითი გამღიზიანებლები (ხმაური, ნივთები, სხვადასხვა რესურსი).
- **ცხრილებისა (განრიგი) და დღიურების წარმოება** - გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებს უჭირთ ორგანიზება და დროის მენეჯმენტი, წახალისეთ მათ მიერ ცხრილებისა და დღიურების გამოყენება. ცხრილების მიზანს წარმოადგენს დღის ან კვირის მანძილზე გაკვეთილების თუ განსახორციელებელი აქტივობების თანმიმდევრობის ასახვა, ხოლო დღიურების მიზანს ყოველდღიურად საშინაო დავალებების ჩანიშვნა. ცხრილებში მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია სურათების დამატებაც.
- **იერარქიული სტრუქტურის მქონე დავალებების შეთავაზება** - დავალებებისა თუ აქტივობების შექმნისას რეკომენდებულია მათი მარტივიდან რთულისკენ განლაგება. ადრეული წარმატება ეხმარება მოსწავლეებს სწავლის პროცესის დაწყებასა და ჩართულობის გაზრდაში.
- **უკვე შესრულებული დავალებების ნიმუშების ჩვენება** - რეკომენდებულია მოსწავლისთვის უკვე შესრულებული დავალების ჩვენება, რათა დავეხმაროთ მათ მიმართ მოლოდინების განსაზღვრაში და შემდგომ, შესაბამისად დაგეგმვაში.
- **გამოყენეთ თანატოლით-გამჟღავნებული (peer-mediated) სწავლის სტრატეგია** - შესაძლებელია სხვადასხვა უნარების მქონე მოსწავლეების დაწყვილება შემდეგი მიზნებისთვის: ერთმანეთისთვის უკუკავშირის მიცემა, ერთად მუშაობა კონკრეტული პრობლემის გადაჭრისთვის, ერთმანეთისთვის ხმამაღლა წაკითხვა, ერთობლივად წერითი სამუშაოს შესრულება, ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარება და სხვა. ასევე, პარტნიორმა შესაძლებელია წაუკითხოს დავალების პირობა კითხვის სირთულის მქონე მოსწავლეს, ხოლო შემდგომ შეასრულოს ერთობლივად.
- **დროის მოქნილად გამოყენება** - მიეცით მეტი დრო მოსწავლეებს, რომელთა სწავლის, კითხვის ან წერის ტემპი არის ნელი.

- **გამეორება და დამატებითი პრაქტიკა** - ყველა მოსწავლეს სჭირდება განსხვავებული სიხშირის პრაქტიკა კონკრეტული უნარისა თუ ცოდნის დაუფლებისთვის. სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები კი ხშირ შემთხვევაში საჭიროებენ უფრო მეტ პრაქტიკას აღნიშნულ პროცესში.
- **დავალებების ფორმის ჩანაცვლება და მოსწავლის საჭიროებებზე მისადაგება** - იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს უჭირს წერილობითი ფორმით დავალების შესრულება, შესაძლებელია ორალურად მისი გამოკითხვა და პირიქით.

**ფონოლოგიური და ფონემატური ცნობიერება**

სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებს ხშირად აქვთ ფონოლოგიურ და ფონემატურ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული პრობლემები. პირველ რიგში განვმარტოთ, რას გულისხმობს თითოეული მათგანი:

*ფონოლოგიური* ცნობიერება არის მნიშვნელოვანი წინარეკადემიური უნარი, რომელიც წარმოადგენს კითხვის დაუფლების წინაპირობას. ის გულისხმობს სამეტყველო ენაში ბგერების შემჩნევას, იდენტიფიცირებასა და დისკრიმინაციას. ფონოლოგიური ცნობიერება მოიცავს გარკვეული უნარების ჯგუფს:

- სიტყვების იდენტიფიცირება, რომლებიც ერთმანეთთან ირითმებიან
- სიტყვების დამარცვლა
- სიტყვებში მარცვლების რაოდენობის განსაზღვრა
- ალიტერაციების შემჩნევა
- წინადადებების სიტყვებად სეგმენტირების უნარი

*ფონემატური* ცნობიერება არის უფრო კომპლექსური და რთული, რომელიც გულისხმობს ცალკეული ბგერების შემჩნევასა და მათი **მანიპულირების** უნარს. ეს მოიცავს:

- ჩამონათვალში ისეთი სიტყვების იდენტიფიცირება, რომლებიც მსგავს ბგერაზე იწყება (მაგალითად, ბავშვი, ბურთი, ბალიში იწყება „ბ“ ასოზე)
- სიტყვებში პირველი და ბოლო ბგერების იდენტიფიცირება (სიტყვა „კარადა“ იწყება „კ“-ზე და მთავრდება „ა“-ზე)
- ცალკეული ბგერების სიტყვებად გაერთიანება (მაგალითად, ვ-ა-შ-ლ-ი „ვაშლი“)
- სიტყვების ცალკეულ ბგერებად დაშლა და სეგმენტირება („სკამი“ ს-კ-ა-მ-ი)
- სიტყვაში გარკვეული ბგერების იზოლაცია (მაგალითად, სიტყვაში „ქათამი“ არის „თ“ ბგერა)
- სიტყვების შეცვლა მათში შემავალი ბგერების შეცვლით (მაგალითად, სიტყვა „კაბა“-ში „ბ“ შევცვალეთ „ტ“-თი და გამოვა „კატა“).

აუცილებელია აღნიშნულ უნარებზე მუშაობა სხვადასხვა აქტივობის შეთავაზებით. გათავაზობთ რამდენიმე მაგალითს:










- მოსწავლეს ვაჩვენებთ სურათს ან ილუსტრირებულ წიგნს. ვადებთ კონკრეტულ საგანს თითს. ვთხოვთ, რომ დაასახელოს სიტყვა და თქვას რომელ ბგერაზე იწყება.

გართულების შემთხვევაში: ვუსახელებთ ასო-ბგერას, მაგალითად, „ჩ“. მან სურათზე უნდა მოძებნოს ის საგანი, რომელიც იწყება ამ ასოზე.

- მოსწავლეს ვაწვდით ბარათებს და მან უნდა დააწყვილოს ის გამოსახულებები, რომელთა დასახელებაც ერთი და იმავე ასო-ბგერაზე იწყება;
- ჩამოვწერთ ფურცელზე მისთვის ნაცნობი ასოები. მივაწოდოთ ბარათები. მან ბარათები უნდა შეუსაბამოს იმ ასოს, რომელ ბგერაზეც იწყება სურათზე გამოსახული საგანი.

	ო	ქ	ვ
	ვ	ნ	კ

- გამოსახულია საგნები, რომლის გასწვრივაც მიწერილია სხვადასხვა ასოები. ვუსახელებთ საგანს და ვეუბნებით, შემოხაზოს ის ასო, რომელზეც იწყება სიტყვა. საჭიროების შემთხვევაში დასახელებისას მახვილი გააკეთეთ პირველ ასოზე.
- ვასახელებთ რომელიმე ბგერას და მან უნდა მოიფიქროს რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც ამ ბგერაზე იწყება. შესაძლებელია წყვილებში თამაში: „მოდი, რიგ-რიგობით მოვიფიქროთ სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“-ზე;

- დაუსახელებთ კონკრეტული სიტყვები და სთხოვეთ შეაერთოს იმ ასოსთან, რომელზეც იწყება სიტყვა, მაგალითად, „მანქანა - აბა სად არის ასო „მ““. შეაერთე გამოსახულება ასოსთან“;
- უთხარით მოსწავლეს სიტყვა, მაგალითად, „ყური“, დაუსახელებთ კონკრეტული ბგერა „რ“ და ჰკითხეთ, არის თუ არა ამ სიტყვაში დასახელებული ბგერა.
- დამარცვლეთ სიტყვები მასთან ერთად. დაუკარით იმდენი ტაში, რამდენი მარცვალაცაა სიტყვაში.
- ილუსტრირებული წიგნის ან სურათის დათვალიერებისას მოსწავლეს დამარცვლით ვეუბნებით მასზე გამოსახულ რომელიმე საგანს. მან უნდა დაადოს თითი სურათზე იმ საგანს, რომელიც დამარცვლით ვუთხარით. მიეცით თამაშის სახე. შემდგომ მან აირჩიოს რომელიმე სიტყვა და დამარცვლოს. მსგავსი აქტივობის განხორციელება შეიძლება ოთახში არსებულ ნივთებთან დაკავშირებით.
- მიაწოდეთ ბარათზე გამოსახული ასოები. დაუსახელებთ სიტყვა (მაგალითად, თასი). მან უნდა დააღაგოს ასოები შესაბამისი თანმიმდევრობით. საჭიროების შემთხვევაში ნელა დაუმარცვლეთ.
- დაუსახელებთ მარტივი სიტყვა, მაგალითად, „ქარი“ და სთხოვეთ ასო „რ“ ჩაანაცვლოს „კ“-თი და თქვას მიღებული სიტყვა.

ფონოლოგიური, ფონემატური და კითხვის უნარ-ჩვევების სწავლების ერთ-ერთ გავრცელებულ და ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს Orton-Gillingham-ის სწავლების მიდგომა, რომელიც სპეციალურად კითხვის სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის შეიქმნა. მის მთავარ იდეას წარმოადგენს კითხვის სწავლების დაწყება ბგერებსა და მათ გრაფიკულ გამოსახულებებს შორის კავშირის დამყარებით. ეს არის მულტისენსორული მიდგომა ანუ სპეციალისტი ან მასწავლებელი სწავლების პროცესისას იყენებს მხედველობის, სმენის, შეხების, მოძრაობის მოდალობებს კომბინირებულად. უფრო მეტის გაგება შესაძლებელია მათ ვებ-გვერდზე [www.ortonacademy.org](http://www.ortonacademy.org).

## *ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების სტრატეგიები*

სკოლაში შესვლისას მოსწავლეები ახალი და მათთვის უცხო სტრუქტურისა და მოთხოვნების წინაშე დგებიან. ხშირ შემთხვევაში, მათ უწევთ გაკვეთილის მანძილზე ერთ ადგილას ჯდომა, მშვიდად და ყურადღებით მოსმენა, ინსტრუქციებზე მიყოლა და კონცენტრირება, რაც განსაკუთრებით პრობლემურია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც აქვთ ყურადღებასთან და იმპულსურობასთან დაკავშირებული სირთულეები. მათ უჭირთ ამის შესრულება არა იმიტომ, რომ არ სურთ, არამედ, ეს დაკავშირებულია ტვინის ფუნქციონირებასთან ანუ აქვს ნეირობიოლოგიური საფუძველი.

ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები სხვადასხვა ასაკში განსხვავებულად ვლინდება. მაგალითისთვის, სკოლამდელ პერიოდში შესამჩნევია მსხვილი მოტორული უნარების თვალსაზრისით ზეაქტიურობა - მუდმივი სირბილი ან ცოცვა, ხშირი გადართვა ერთი აქტივობიდან მეორეზე. სკოლის ასაკში შესაძლებელია ვლინდებოდეს მერხთან ჯდომისას მოუსვენრობა და წრიალი, სკამებით, მერხით ან მასზე არსებული ნივთებით თამაში. მათ ხშირად უჭირთ საშინაო დავალების დასრულება, აქტივობებს ასრულებენ უგულისყუროდ და დაუდევრად. ხშირად ავლენენ იმპულსურობას, სპონტანურ ქცევებს და გადაწყვეტილებებს, რომლებიც აცდენაშია მანამდე დასახულ გეგმასთან თუ მიზნებთან. თანატოლებთან შედარებით არიან უფრო გულჩათხრობილნი და ნაკლებად შედიან კომუნიკაციაში სხვებთან.

ყურადღებასთან, იმპულსურობასთან და ჰიპერაქტივობასთან დაკავშირებული სირთულეები შესაძლებელია ვლინდებოდეს შემდეგნაირად:

- ჯდომისას მოუსვენრობა, ხელების ან ფეხების შემშუშვნა.
- ერთ ადგილას გაჩერება, მაგალითად, მჯდომარე პოზიციაში.
- ყურადღების შენარჩუნებისა და რიგის დაცვის სირთულე დავალებების შესრულებისას, თამაშისას თუ ჯგუფური აქტივობებისას.
- კითხვის დასმის დასრულებამდე, მის ბოლომდე მოსმენამდე პასუხის წამოძახება.
- ინსტრუქციებზე მიყოლა და შესასრულებელი დავალების ორგანიზება.
- ერთი აქტივობის დასრულებამდე მეორეზე გადართვა.
- დეტალებზე ყურადღების გამახვილების სირთულე და შეცდომებისადმი უყურადღებობა.
- საჭირო ნივთების ხშირი დაკარგვა.
- სხვების მოსმენის სირთულე ყურადღების ადვილად გადართვადობის გამო .
- სხვების საუბრის ხშირი შეწყვეტინება.
- გუნება-განწყობილების ლაბილობა, ხშირი ცვალებადობა.
- სიამოვნების გადავადების სირთულე.
- დროში გახანგრძლივებული დავალებების შესრულების სირთულე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი შესრულება უწევს სხვების პირდაპირი სუპერვიზიის გარეშე.
- ჯგუფური მუშაობისას პროცესში ჩართვისა და საკუთარი წვლილის შეტანის სირთულე, რაც უარყოფითად აისახება საერთო მიზნის მიღწევაზე.



- ხშირად გართულებული ნატიფი მოტორიკის კონტროლი, რაც ვლინდება წერის სირთულეებში და გაურკვეველ ხელწერაში.

მოსწავლე შესაძლებელია ავლენდეს ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეებიდან რამდენიმეს. იგი შეიძლება ჩაერთოს და ფოკუსირდეს ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მისთვის საინტერესოა ან/და აქვს მისი შესრულების გარკვეული მოტივაცია. უყურადღებობა, ჰიპერაქტივობა თუ იმპულსურობა ხშირად ხელისშემეშლელია და დიდი გამოწვევაა როგორც თავად მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის, თანატოლებისთვის და მთლიანი კლასისთვის. ყურადღების სირთულეების მქონე მოსწავლის აკადემიური წარმატებულობა დამოკიდებულია მასწავლებლისა და კლასის მოთხოვნებსა და მის უნარზე ჩაერთოს აქტივობებში. არსებობს გარკვეული მიდგომები, მეთოდები და სტრატეგიები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოსწავლის მიერ სწავლასთან და სკოლაში ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან შეძლებისდაგვარად გამკლავება. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი სწავლა-სწავლების სტრატეგიების შერჩევამდე უმნიშვნელოვანესია მოსწავლის თავისებურებების იდენტიფიცირება, მისი შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. სწორედ ეს წარმოადგენს წარმატებული პრაქტიკის საფუძველს. აღნიშნული სტრატეგიების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ეფექტური იყოს სხვა მოსწავლეებთანაც.

სწავლა-სწავლების სტრატეგიები მოიცავს აკადემიურ უნარებთან, ქცევასთან და საკლასო სივრცესთან დაკავშირებულ სფეროებს:

### **აკადემიური სფერო**

სწავლა-სწავლების სტრატეგიების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს აკადემიური სფერო. ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როდესაც გაკვეთილი არის სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი ანუ როდესაც მასწავლებელი უხნის და აცნობს მოსწავლეებს თუ რას შეეხება მათი მიმდინარე გაკვეთილი და ახდენს მის დაკავშირებას წინარე ცოდნასთან და განვილილ გაკვეთილებთან. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს მათ მიმართ სწავლისა თუ ქცევის თვალსაზრისით. აკადემიურ სფეროსთან დაკავშირებული რეკომენდაციები იყოფა სამ ნაწილად და ეხება გაკვეთილის დაწყებას, მიმდინარეობას და დასასრულს.

- **გაკვეთილის გეგმის, განრიგის გაცნობა** - მოამზადეთ მოსწავლეები მიმდინარე გაკვეთილისთვის აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებითა და მათი თანმიმდევრობის გაცნობით.
- **მიმოიხილეთ წინა გაკვეთილი** - მოკლედ განიხილეთ წინა გაკვეთილზე შესრულებული აქტივობები, საკითხები და დააკავშირეთ მიმდინარესთან.
- **გააცანით თქვენი მოლოდინები შესასრულებელ აქტივობებთან დაკავშირებით** - აუხსენით მოსწავლეებს თუ რას ელით მათგან და რისი გაკეთება მოუწევთ გაკვეთილის მიმდინარეობისას. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილი ეხება „გაზაფხულს“ და ჩვენ უნდა შევქმნათ მასთან დაკავშირებული ნახატი.
- **გააცანით თქვენი მოლოდინები ქცევასთან დაკავშირებით** - აღნიშნეთ თუ როგორი მოლოდინები გაქვთ ქცევასთან მიმართებით. მაგალითად, უთხარით, რომ მათ შეუძლიათ ჩუმად გადაულაპარაკონ თანაკლასელებს დავალების შესრულებისას ან

შეკითხვის დასმის სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელს ანიშნონ ხელის აწევით, რათა სხვებს არ შეეშალოთ შესრულებაში ხელი.

- **ჩამოთვალეთ გაკვეთილზე გამოსაყენებელი ნივთები/რესურსები** - უთხარით მოსწავლეებს თუ რისი გამოყენება დასჭირდებათ, თავად რომ არ მოუწიოთ ამაზე ფიქრი და აირიდოთ კლასში ხმაური და არეულობა. მაგალითისთვის, ნახატის შექმნისთვის დაგჭირდებათ ფურცლები, ფუნჯები, საღებავები ან ფერადი ფანქრები და საშლელი.
- **იყავით პროგნოზირებადი** - სტრუქტურა და თანმიმდევრულობა არის უმნიშვნელოვანესი ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას. ხშირ შემთხვევაში მათ უჭირთ ცვლილებებთან და სიახლეებთან გამკლავება. მინიმალური წესები და მინიმალური არჩევანის არსებობა არის საუკეთესო მათთვის. ისინი საჭიროებენ იმის მკაფიოდ ცოდნას თუ რას ელიან მათგან და რა შედეგები მოჰყვება წესებსა და მოთხოვნებზე მიყოლასა და დამორჩილებას.
- **ხელი შეუწყვეთ მოსწავლის ჩართულობას** - დავალების შესასრულებლად მიეცით ინდივიდუალური, მკაფიო მითითებები, პერიოდულად შეახსენეთ რამდენი დრო დარჩა დასრულებამდე.
- **შეამოწმეთ, როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი** - დაუსვით შეკითხვები, რათა მიხვდეთ, რამდენად წარმატებულია სწავლის პროცესი. „საკვლევი“ შეკითხვების დასმის შემდეგ მიეცით დრო პასუხის გასაცემად და მხოლოდ შემდგომ გადადით სხვა მოსწავლეზე.
- **იყავით დაკვირვებული და მუდმივად აწარმოეთ მოსწავლის შეფასება** - მნიშვნელოვანია დროული იდენტიფიცირება, საჭიროებს თუ არა მოსწავლე დამატებით მხარდაჭერას. დააკვირდით, რამდენად იგებს მიწოდებულ მასალას, ხომ არ არის მისთვის ზედმეტად რთული, რამდენად კონცენტრირებულია, არსებობს თუ არა იმედგაცრუების და მოტივაციის კლების რაიმე ვიზუალური ან ვერბალური ინდიკატორი. საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდეთ დამატებითი მხარდაჭერა ან თქვენი ფასილიტაციით სთხოვეთ თანაკლასელს დაეხმაროს სწავლის პროცესში.
- **დაეხმარეთ მოსწავლეებს საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და შესწორებაში** - აუხსენით მოსწავლეებს თუ როგორ უნდა აღმოაჩინონ და შეასწორონ დაშვებული შეცდომები. მაგალითისთვის, სასვენი ნიშნების შესახებ ძირითადი წესების სწავლებისას, ესაუბრეთ ყველაზე ხშირად დაშვებულ შეცდომებზე და სთხოვეთ, მიაქციოს ნაწერს ყურადღება აღნიშნული თვალსაზრისით.
- **დაეხმარეთ მოსწავლეებს ფოკუსირებაში** - ყურადღების სირთულეების მქონე მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ინსტრუქციის დავალების ბოლომდე შენარჩუნება და სჭირდებათ ხშირი შეხსენება, რომ დაასრულონ აქტივობა. ამიტომ მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ აღნიშნულ პროცესში და ვანიშნოთ ან მივუთითოთ, რომ გააგრძელონ. ამ მხრივ, ასევე, ეფექტურია მეწყვილეების დანიშვნა. წყვილში მუშაობისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან ფოკუსირებაში და საერთო მიზნის მიღწევაში.
- **დაყავით დავალები მცირე ნაწილებად** - რეკომენდებულია დავალებებისა და აქტივობების მცირე, შესრულებად და ნაკლებად კომპლექსურ ნაწილებად დაყოფა, რათა მოსწავლესთვის იყოს გამკლავებადი და ჰქონდეს მისი შესრულების მოტივაცია.
- **გამოყავით საკვანძო საკითხები** - წერილობით თუ ორალურად ინსტრუქციის მიცემისას გამოყავით მთავარი ასპექტები, რათა დავეხმაროთ მოსწავლეს ფოკუსირდეს საკვანძო

ასპექტებზე და შესაბამისად მიჰყვებს მითითებას. წერილობითი დავალების ერთად წაკითხვისას პარალელურად ხაზი გაუსვით მნიშვნელოვან სიტყვებს ან ამოიწერეთ ცალკე ფურცელზე. მაგალითისთვის, მათემატიკაში ამოცანის წაკითხვისას: „გიორგის აქვს ორი ვაშლი, ნინოს კი სამი“ - ხაზი გაუსვით სიტყვებს „ორი“ და „სამი“.

- **მოერიდეთ დროში შეზღუდული დავალებების მიცემას ან გაზარდეთ შესრულების დრო** - დავალებები, რომლებიც განსაზღვრულ დროში უნდა შესრულდეს ხშირ შემთხვევაში ვერ მისცემს ყურადღების სირთულის მქონე მოსწავლეს საკუთარი ცოდნის დემონსტრირების შესაძლებლობას. ისინი მუდმივად იფიქრებენ დროზე, რაც უარყოფითად აისახება მათი შესრულების ეფექტურობაზე. შფოთვის შემცირების მიზნით, შესთავაზეთ განსხვავებული ტიპის დავალებები ან გაზარდეთ დრო.
- **გამოიყენეთ თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგია** - მიეცით მოსწავლეებს საშუალება იმუშაონ მცირე ჯგუფებში, რათა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ერთმანეთს სწავლის პროცესში. ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენს მოსწავლეების დაწყვილება, კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა და შემდგომ ჯგუფისთვის გაზიარება.
- **გამოიყენეთ მხარდამჭერი ტექნოლოგიები** - მოსწავლეების ჩართულობისა და აქტიური თანამონაწილეობის ხარისხი საგრძნობლად იზრდება მაშინ, როდესაც სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება დამხმარე ტექნოლოგიები (კომპიუტერი, პროექტორი). მათი საშუალებით აქტივობა ხდება უფრო ვიზუალური, თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი, გასაგები და საინტერესო.
- **შემოწმება და განხილვა** - შეამოწმეთ თუ როგორ შეძლო მოსწავლემ დავალების შესრულება. განიხილეთ ერთად და განსაზღვრეთ არის თუ არა საჭირო რაიმე სახის ცვლილების შეტანა სამომავლოდ მეტი ეფექტურობისთვის.
- **მომდევნო გაკვეთილისთვის მომზადება** - გააცანით მოსწავლეებს მომდევნო გაკვეთილი და მიუთითეთ, რისი მომზადება სჭირდებათ. მაგალითად, შეინახეთ წიგნები და შეაერთეთ მერხები ჯგუფური მუშაობისთვის.
- **დღიურისა და განრიგის წარმოება** - ორგანიზებასთან დაკავშირებული სირთულებებიდან გამომდინარე, დაეხმარეთ მოსწავლეს დღიურის წარმოებაში, რომელშიც ასახული იქნება მისი საშინაო დავალებები და აქტივობები. ასევე, ცხრილი, რომელიც გაკრული იქნება მის მერხთან, რათა სკოლაში მიმდინარე პროცესი იყოს სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი. იცოდეს გაკვეთილების თანმიმდევრობა.
- **ფერადი საქალაქდების გამოყენება** - სასურველია ფერადი ფოლდერების გამოყენება, რაც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტული საგნების მიხედვით წიგნების, რვეულების, დავალებებისა და ნაშრომების ორგანიზებაში.

	<b>კითხვა</b>
	<b>წერა</b>
	<b>მათემატიკა</b>
	<b>სპორტი</b>
	<b>ქიმია</b>
	<b>ხელოვნება</b>
	<b>მუსიკა</b>

**ქცევის მენეჯმენტი**

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ქცევითი ინტერვენცია. მოსწავლეებისთვის ხშირად გართულებულია იმის სწავლა თუ როგორ გააკონტროლონ იმპულსურობა და ჰიპერაქტივობა. მათ უჭირს თანაკლასებელთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება და ასევე, გართულებულია თავიანთი ქცევების სოციალური შედეგების წინასწარ განსაზღვრა. ქვემოთ მოცემულია ქცევის მართვასთან დაკავშირებული სტრატეგიები:

- **განმარტეთ ის ქცევა, რომელსაც მიემართება შექება** - შექება უნდა მიემართებოდეს სპეციფიკურად იმ კონკრეტულ პოზიტიურ ქცევას, რომელიც მოსწავლემ განახორციელა. კომენტარები უნდა ეხებოდეს იმას თუ რა გააკეთა მოსწავლემ სწორად და ქცევის კონკრეტულად რომელი ასპექტები იყო ყველაზე მოსაწონი. აუცილებელია, ფორმულირება იყოს პოზიტიური. მაგალითად, მოსწავლის შექება არა იმისთვის, რომ ხელი არ შეუშალა კლასს, არამედ იმისთვის, რომ მშვიდად და დროულად შეასრულა დავალება.
- **შეაქეთ მყისიერად** - რაც უფრო დროულად მიიღებს მოსწავლე პოზიტიურ უკუკავშირსა და შექებას, მით უფრო მალე შეეცდება აღნიშნული ქცევის გამეორებას.
- **შექების ფორმულირების ცვლა** - რეკომენდებულია იმ სიტყვებისა და წინადადებების ცვლა, რომელსაც იყენებთ შექებისას. როდესაც მოსწავლეებს ესმით ერთი და იგივე ფრაზები, შესაძლებელია მან დაკარგოს მათთვის მნიშვნელობა.
- **შექებისას იყავით თანმიმდევრულები და გულწრფელები** - სასურველი ქცევის განხორციელებისთვის მოსწავლემ ყოველთვის უნდა მიიღოს შექება. თანმიმდევრულობა მნიშვნელოვანია, რათა არ გამოიწვიოს მოსწავლეებში დაბნეულობა. ამასთანავე, მოსწავლეები ყოველთვის ამჩნევენ, როდესაც შექება არ არის გულწრფელი. შესაბამისად, ის ხდება უფრო და უფრო არაეფექტური.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, ქცევითი ინტერვენციების დროს ფოკუსი მოვახდინოთ შექებაზე და არა დასჯაზე. ნეგატიურმა შედეგებმა (დასჯამ) შესაძლებელია დროებით შეცვალოს ქცევა, თუმცა ის ნაკლებად ცვლის დამოკიდებულებებს. საბოლოოდ, შესაძლებელია გაზარდოს კიდევ არასასურველი ქცევის გამოვლენის სიხშირე და ინტენსივობა, რადგან დასჯა არის ერთგვარი ყურადღება, რომლითაც ხდება მოსწავლის „დაჯილდოება“. ამასთანავე, დასჯით მოსწავლეები მხოლოდ სწავლობენ იმას, რისი გაკეთება არ შეიძლება და არ ხდება მითითება იმაზე, რას და როგორ ელიან მისგან. პოზიტიური წახალისება ახდენს ცვლილებებს დამოკიდებულებების დონეზე, რომელიც არის უფრო ხანგრძლივი.

- **შერჩევითად მოახდინეთ არასასურველი ქცევის იგნორირება** - ხანდახან ძალიან ეფექტურია მასწავლებლების მიერ შერჩევითად კონკრეტული არასასურველი ქცევის იგნორირება. ეს ტექნიკა მუშაობს მაშინ, როდესაც ქცევა არის არამიზანმიმართული და დიდი ალბათობით აღარ გამოვლინდება ან რომლის მიზანს წარმოადგენს თანაკლასელების ან მასწავლებლის ყურადღების ისე მიქცევა, რაც რეალურად არ არის ხელისშემშლელი კლასისთვის ან თანაკლასელებისთვის.
- **მოარიდეთ არასაჭირო ნივთები** - როდესაც ამჩნევთ, რომ მერხზე არსებული კონკრეტული ნივთი იწვევს მოსწავლის ყურადღების გადართვას, რეკომენდებულია, სთხოვოთ აღნიშნული საგნის შენახვა, ხოლო თუ ასე არ მოიქცევა, თავად შეინახოთ ის. შემდგომში კი გაკვეთილის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ არასაჭირო ნივთები არ დევს მერხზე.

- **ოთახიდან გასვლის უფლება** - მოსწავლისთვის კლასიდან გასვლის უფლების მიცემა (მაგალითად, წიგნის ბიბლიოთეკაში დაბრუნებისთვის), ხანდახან შესაძლებელია კარგი იდეა იყოს. ეს შეიძლება იყოს ერთგვარი შესვენება და განტვირთვა მოსწავლისთვის, რომლის შემდგომაც კლასში დაბრუნებული უკეთ შეძლებს კონცენტრირებას.
- **ქცევითი მიმანიშნებლების გამოყენება** - მასწავლებლები ხშირად იყენებენ ქცევით მიმანიშნებლებს. ეს ეხმარება მოსწავლეებს იმის შეხსენებაში თუ რას ელიან მისგან სწავლისა თუ ქცევის თვალსაზრისით. შესაძლებელია გამოვყოთ სამი სახის მინიშნება:
  1. ვიზუალური - მზერითი კონტაქტით მოსწავლისთვის იმის მინიშნება, რომ გააგრძელოს აქტივობა.
  2. სიახლოვის კონტროლი - მოსწავლესთან საუბრისას მიუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ის ზის ან დგას. თქვენი ფიზიკური სიახლოვე დაეხმარება მას უკეთ ფოკუსირებასა და თქვენს ნათქვამზე კონცენტრირებაში.
  3. ხელის ჟესტები - გამოიყენეთ ხელითი სიგნალები მასთან პირადი კომუნიკაციისას. მაგალითისთვის, სთხოვეთ მოსწავლეს აიწიოს ხელი ყოველთვის, როდესაც თქვენ დასვამთ შეკითხვას. დახურული მუშტი იქნება იმის სიგნალი, რომ მოსწავლემ იცის პასუხი, ხოლო გაშლილი - როდესაც არ იცის პასუხი. შესაბამისად, თქვენ მხოლოდ მაშინ გამოკითხავთ, როდესაც აწევს გახსნილ მუშტს.
- **პრობლემის გადაჭრის გზების სწავლება** - კონფლიქტური სიტუაციის წამოჭრისას, განიხილეთ ის მასში მონაწილე მოსწავლეებთან ერთად. შეეცადეთ, მოსწავლეებმა დაინახონ და გაიგონ ერთმანეთის პოზიცია. წახალისეთ პრობლემის გადაჭრა ერთმანეთთან დიალოგის გზით თქვენი სუპერვიზიის ქვეშ.

## საკლასო სივრცე

მესამე კომპონენტს წარმოადგენს საკლასო სივრცის აკომოდაცია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ის თუ სად დაჯდება მოსწავლე გაკვეთილის მიმდინარეობისას. განვიხილოთ სამი ვარიანტი:

- **მასწავლებელთან ახლოს** - დასვით მოსწავლე წინა მერხზე მასწავლებელთან ახლოს. ეს ადგილი მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას უკეთ გაუწიოს მონიტორინგი და ადევნოს თვალყური მოსწავლის სწავლის პროცესს გაკვეთილის მიმდინარეობისას.
- **წარმატებული თანაკლასელის გვერდით** - აღნიშნულ ადგილზე მისი განთავსება დაეხმარება მოსწავლეს ისწავლოს თანაკლასელისგან და ჩაერთოს თანამშრომლობითი სწავლის პროცესში.
- **მშვიდ ადგილას** - თუ საკლასო სივრცე იძლევა ამის შესაძლებლობას, რეკომენდებულია მოსწავლე იჯდეს ისეთ ადგილას, სადაც არის შედარებით სიწყნარე და სიმშვიდე, ნაკლები ზედმეტი გამღიზიანებლით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მისი ყურადღების გადართვადობის ალბათობა.

## *სოციალურ-ემოციურ სფეროსთან დაკავშირებული სირთულეებისას სწავლა-სწავლების სტრატეგიები*

სოციალურ-ემოციური უნარები კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებული ფუნქციონირებისთვის. ხანდახან მას უწოდებენ ემოციურ ინტელექტს, რომელიც მოიცავს საკუთარი (ინტრა-პერსონალური ინტელექტი) და სხვების (ინტერ-პერსონალური ინტელექტი) ემოციების გაგებისა და მართვის უნარების კომბინაციას. სოციალური უნარები, ასევე, მოიცავს სოციალური კონვენციების (შეთანხმებების) გაგებასა და გამოყენებას. იმ ფარული პროცესებისა და გზების დაფიქსირებას, რომელთა საშუალებითაც თანატოლები აწარმოებენ კომუნიკაციასა და რეციპროკულ ინტერაქციას, ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარებს.

ყოველდღიურ სოციალურ ინტერაქციებში ნავიგაციის უნარი შესაძლებელია ბევრი მოსწავლისთვის დიდი გამოწვევა იყოს, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მართალია, სირთულეები სხვადასხვაგვარად ვლინდება თითოეული მოსწავლის შემთხვევაში, თუმცა ის სიტუაციები, რომლებშიც ისინი იჩენენ თავს, თითქმის ყოველთვის მსგავსია. აღნიშნული სიტუაციები შესაძლებელია იყოს ძალიან მარტივი (მაგალითად, თვალებით კონტაქტის დამყარება ან თანატოლთან კომუნიკაციაში ჩართვა) ან ძალიან კომპლექსური (მაგალითად, რამდენად გულწრფელია ის ადამიანი შენ მიმართ, რომელიც მიგაჩნია მეგობრად). სწორედ ამიტომ, სოციალურ სიტუაციებს ყოფენ გარკვეულ კატეგორიებად თუ ტიპებად კომპლექსურობის ხარისხისა და ინტერაქციის დონის მიხედვით. ერთ-ერთ მაგალითს გთავაზობთ ქვემოთ:

უნარები	გამოიყენება:	მაგალითები:
ბაზისური უნარები	მარტივი, ბაზისური სოციალური ინტერაქციებისთვის	თვალებით კონტაქტის შენარჩუნების უნარი, პირადი სივრცის დაცვა-გათვალისწინება, შესტებისა და სახის გამომეტყველების გაგება
ინტერაქციული უნარები	სხვებთან ინტერაქციისთვის	კონფლიქტების გადაჭრა, ჯერის დაცვა, ცოდნა იმისა თუ როგორ დაიწყო და დაასრულო დიალოგი, საუბრისთვის რელევანტური თემის შერჩევა, ავტორიტეტულ ადამიანებთან ურთიერთობა
აფექტური უნარები	საკუთარი თავისა და სხვების გაგებისთვის	საკუთარი ემოციების იდენტიფიცირება, სხვების ემოციების შემჩნევა და გაგება, თვითრეგულაცია, ემპათიის გამოვლენა, სხეულის ენისა და სახის გამომეტყველების შესაბამისი ინტერპრეტაცია, იმის განსაზღვრის უნარი თუ რამდენად სანდოა ადამიანი



კოგნიტური უნარები	უფრო კომპლექსური სოციალური ინტერაქციების შენარჩუნებისთვის	სოციალური აღქმა, არჩევანის გაკეთება, თვით-მონიტორინგი, საზოგადოებრივი ნორმების გაგება, განსხვავებული სოციალური სიტუაციებისთვის რელევანტური ქცევების განსაზღვრის უნარი
(Canney and Byrne, 2006; Waltz, 1999)		

სოციალური ინტერაქცია არის ძალიან კომპლექსური და ზემოთ მოყვანილი სია არ არის სრული ჩამონათვალი იმ უნარებისა, რომლებიც სჭირდებათ მოსწავლეებს სოციალურ სიტუაციებში წარმატებული ნავიგაციისთვის. ამასთანავე, ყველა მოსწავლის „სოციალური უნარების პროფილი“ არის განსხვავებული. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ზოგიერთი მოსწავლე შესაძლებელია ფლობდეს არსებით და მარტივ უნარებს, თუმცა ჰქონდეს სირთულეები უფრო კომპლექსური (მაგალითად, ინტერაქციული) უნარების თვალსაზრისით. ზოგიერთს კი სჭირდებოდა დახმარება ისეთი ბაზისური უნარების განვითარების კუთხით, როგორცაა თვალებით კონტაქტის დამყარება და შენარჩუნება.

გამომდინარე იქიდან, რომ სოციალურ-ემოციური უნარები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მოსწავლის განვითარებისა, აუცილებელია, სპეციალისტებისა თუ მასწავლებლების მიერ ამის გაცნობიერება და ეფექტური გზებით აღნიშნული უნარების დეფიციტზე მუშაობა. მნიშვნელოვანია, ის იქცეს და ინტეგრირდეს სასწავლო კურიკულუმის ნაწილად. გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგიას:

- აჩვენეთ მოსწავლეს ბარათები, რომლებზეც გამოსახულია გარკვეული ემოციები: მხიარული, მოწყენილი, გაბრაზებული, შეშინებული და ა.შ. დაიწყეთ ორი სურათით, მაგალითად, მხიარული და მოწყენილი. მას შემდეგ რაც მოსწავლე შეძლებს მათ დამოუკიდებლად, სწორად იდენტიფიცირებას და/ან სახელდებას ნელ-ნელა დაამატეთ სხვა ბარათები. შესაძლებელია დასურათებული წიგნების დათვალისთვის ან ანიმაციებისა თუ ფილმების ყურებისას კონკრეტულ პერსონაჟზე მითითება და მათი სახის გამომეტყველების მიხედვით ემოციების ამოცნობა-დასახელება.



- აუხსენით მოსწავლეს გარკვეული შესტებისა და სხეულის ენის მნიშვნელობები, მაგალითად, დამშვიდობებისას ხელის დაქნევა, დათანხმებისას თავის დაქნევა, პასუხის არცოდნისას მხრების აჩეჩვა და სხვა. მნიშვნელოვანია, მათი ყოველდღიურობასთან დაკავშირება. რეკომენდებულია შესაბამის კონტექსტებში თქვენ მიერ მსგავსი ქცევების დემონსტრირება და იმ სიტუაციებზე მითითება, რომლებშიც შესაძლებელია მათი გამოყენება.

- მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის **ხმის ტონის, სიმაღლის, ტემპის** მახასიათებლების სწავლება. ამისათვის, მოასმენინეთ ხმის აუდიო ჩანაწერები და აუხსენით რა განწყობას გამოხატავს ის და რა მნიშვნელობა აქვს მას კომუნიკაციისას. დაეხმარეთ მას ინტერპრეტაციაში.
- გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური უნარების გამოყენება დღის მანძილზე არაერთხელ გვჭირდება, ყოველი შემთხვევა შესაძლებელია გამოვიყენოთ სწავლებისთვის. **სიტუაციური სწავლება** არის ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგია, რომლის დროსაც ვიყენებთ მასწავლებელსა თუ მოსწავლეებს შორის ინტერაქციის ბუნებრივ სიტუაციებს კონკრეტული უნარის იდენტიფიცირება-პრაქტიკისთვის.
- მნიშვნელოვანია კონკრეტული სოციალური უნარების ახსნა და **მოდელირების** გამოყენებით მისი დემონსტრირება. ეს შესაძლებელია ცოცხალი „მოდელის“, **როლური თამაშების, იმიტაციების**, ვიდეობისა და ანიმაციების გამოყენებით (შესაბამის მომენტში ვიდეოს გაჩერება, ქცევებისა და მისი შესაბამისი რეაქციების განხილვა).
- აქცენტის გაკეთება სასურველ ქცევაზე და მისი **წახალისება** (და არა ფოკუსირება „ცუდი“ ქცევის მოშორებაზე).
- მიანიშნეთ და შეახსენეთ მოსწავლეს შესაბამის სიტუაციებში კონკრეტული ქცევის ანუ უნარების გამოყენების **რელევანტურობა** (მაგალითად, „გიორგი, რას ვამბობთ მაშინ, როდესაც ვინმე გთავაზობს ერთად თამაშს?“)
- გამოიყენეთ ლიტერატურა და ვიდეოები **რეალური ცხოვრებისეული სიტუაციებისა** და პრობლემების სოციალურ უნარებთან დაკავშირებისთვის. ბევრი მოთხრობა თუ ნაწარმოები ეხება ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს როგორებიცაა - მეგობრების შეძენა, კონფლიქტების მოგვარება და სხვა.
- **რეფლექსია** - განიხილეთ მოსწავლესთან ერთად მისი სოციალური ინტერაქციის შემთხვევა - რა გააკეთა, რა მოხდა, პროცესი და მისი შედეგი იყო პოზიტიური თუ ნეგატიური, რას გააკეთებდა სამომავლოდ მსგავს სიტუაციაში და ა.შ.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს ვერბალურად „გაიარონ“ და **გაივარჯიშონ** სოციალური ინტერაქციის ტიპების თითოეული საფეხური.
- მიეცით **უკუკავშირი** იმ უნარებთან მიმართებით, რომელთა გამოყენებაც წარმატებულად შეძლო და ასევე, რომელთაც შედარებით სჭირდება გაუმჯობესება/დახვეწა (მაგალითად, „მშვენიერია, ნინო, ამჯერად შენ ძალიან კარგად ითამაშე ჯგუფთან ერთად. დავინახე, როგორ უზიარებდი შენს გვერდით მჯდომს. შემდეგში უკვე შეგიძლია სცადო სხვებთანაც“).
- **სოციალური ისტორიების** გამოყენება (Social stories) - სოციალური ისტორიები არის სოციალური უნარების სწავლების წარმატებული გზა. მისი საშუალებით მოსწავლეებისთვის ხდება ისეთი ნარატივისა და სცენარის წარდგენა, რომელშიც ასახულია სხვადასხვა სიტუაცია და მათი შესაბამისი ქცევები. სოციალური ისტორიები წარმოადგენენ ერთგვარ ნაწარმოებებს, რომელთაც აქვთ გარკვეული სოციალური მიზნები. მათი საშუალებით ხდება მოსწავლისთვის ისეთი პერსონაჟებისა და კონტექსტების გაცნობა, რომელთანაც ისინი ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. სოციალური ისტორიების მოსმენა-წაკითხვისას მოსწავლეები ახდენენ სოციალური მიზნებისკენ მიმავალ გზაზე პერსონაჟების მიერ განცდილი ემოციების, გრძნობების, დამოკიდებულებების, ფიქრებისა და ქცევების გამოკვლევასა და განხილვას (Rogers & Myles, 2001). საკუთარ უკვე არსებულ გამოცდილებასთან დაკავშირებას ან სამომავლოდ ქცევის პოტენციურ ვარიანტებად წარმოდგენას.

- მნიშვნელოვანია საკლასო აქტივობებისა და დავალებების ისე დაგეგმვა და ორგანიზება, რომ გავლენა იქონიოს და გაზარდოს მოსწავლეთა შორის ურთიერთნდობა, დახმარება, მხარდაჭერა და გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებულობის მიღებას, პატივისცემაზე დაფუძნებული ცოდნისა და უნარების ათვისებას.

კონკრეტული სოციალური უნარების სწავლება მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. **აღწერეთ და განიხილეთ** მოსწავლესთან ერთად კონკრეტული უნარი, რათა მან გაიგოს რატომ არის მისი გამოყენება საჭირო, რა მიზანი აქვს და რაში დაეხმარება ის.
2. გააკეთეთ კონკრეტული უნარისა თუ სოციალური ქცევის **მოდელირება** ვიდეოებისა თუ როლური თამაშების საშუალებით.
3. განიხილეთ და აჩვენეთ მისი რამდენიმე **მაგალითი** სხვადასხვა კონტექსტთან მიმართებით.
4. დაეხმარეთ მოსწავლეს თავად განახორციელოს **როლური თამაში** სტრუქტურირებულ გარემოში და მიაწოდეთ მასთან დაკავშირებული აღწერითი და დეტალური **უკუკავშირი**.
5. მნიშვნელოვანია მრავალჯერადი **პრაქტიკა** მანამ, სანამ მოსწავლე არ დაეუფლება მას.
6. აღნიშნულ პროცესში გამოიყენეთ მოსწავლისთვის **საინტერესო** რესურსები ან/და თამაშები და ისეთი სიტუაციები, რომლებიც რელევანტურია მოსწავლის რეალობასთან და ყოველდღიურობასთან.

### *თვითრეგულაციის უნარის განვითარების ხელშეწყობა*

თვითრეგულაცია მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც საჭიროა საკუთარი ქცევის მონიტორინგისთვის, ემოციებისა და ფიქრების/აზრების რეგულაციისთვის (Galinski, 2010). გთავაზობთ მისი ხელშეწყობისთვის რამდენიმე რეკომენდაციას:

1. სასურველია „ხმამაღლა ფიქრის“ როგორც მექანიზმის გამოყენება თვითრეგულაციის მოდელირებისთვის: „მგონიძალიან დავიღალე ამ ამოცანის ამოხსნისას, თუმცა კიდევ ორი მაქვს შესასრულებელი. აჯობებს ავიღო რამდენიმეწუთიანი შესვენება განტვირთვისთვის და შემდგომ გავაგრძელო დანარჩენზე მუშაობა“. გააკეთეთ „ხმამაღლა ფიქრის“ საშუალებით ისეთი პროცესების მოდელირება, რომელთა გამოყენებასაც საჭიროდ თვლით მოსწავლის კონკრეტული ქცევის რეგულირებისთვის.
2. ასწავლეთ მოსწავლეებს იმის შეცვლის მექანიზმები თუ „რას ფიქრობენ“, რათა საბოლოოდ შეცვალოთ ის თუ რას აკეთებენ. მაგალითისთვის, დავუშვათ მე ვდგავარ რიგში და ვიღაც ჩემს წინ დგება. პირველი რასაც ვფიქრობ არის: „ის ასე არ უნდა იქცეოდეს. მე მას ხელით გამოვწევ“. შემდეგ ვიწყებ სხვადგვარად ფიქრს: „ხელით გამოწევის ნაცვლად, მგონი შემძლია სიტყვიერად ამის მოგვარება“. ამის შემდგომ კი ვეუბნები: „მგონი ჩემს უკან უნდა დამდგარიყავით. აქ მე ვიდექი“.
3. გამოიყენეთ პროცესზე მიმართული შექება და უკუკავშირი. მაგალითად, შენ ნამდვილად კარგად შესძელი კონცენტრირება და ბიოლოგიის დავალების წარმატებით

შესრულება“. ამ პროცესში აქცენტი გააკეთეთ აქტივობაზე ან ქცევაზე და მოერიდეთ პიროვნებაზე მიმართულ შექებებს, როგორცაა „შენ ყოჩალი ხარ ბიოლოგიაში“. ამ გზით ჩვენ ხელს შევუწყობთ მოსწავლის მიერ სამომავლოდ მსგავსი წარმატებული ქცევების განხორციელების სიხშირის ზრდას.

4. დაეხმარეთ მოსწავლეებს მათ ქცევებსა და შედეგებს შორის კავშირის დანახვაში. მაგალითად, „ შენ 10 წუთი კონცენტრირებულად მუშაობდი ამ დავალებაზე და აი, დაასრულე კიდეც“.
5. ხშირად გაამხნევეთ და წახალისეთ. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ხშირად განიცდიან წარუმატებლობას, ეს უარყოფითად აისახება მათ მოტივაციაზე და ხანდახან ისეთი აქტივობებზე ამბობენ უარს, რომელთა შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გააჩნიათ.
6. ხშირად ესაუბრეთ და განიხილეთ მათთან ისეთი აკადემიური საკითხები და სოციალური აქტივობები, რომლებშიც ისინი წარმატებულნი არიან.
7. განიხილეთ თქვენი წარუმატებლობისა და დაბრკოლებების მაგალითებზე და ესაუბრეთ იმის შესახებ თუ როგორ გაუმკლავდით მათ. ამით თქვენ დაანახებთ და მოახდენთ იმის ნორმალიზებას, რომ მსგავსი გამოწვევების წინაშე ყველანი ვდგავართ და ისინი მარტონი არ არიან.
8. წახალისეთ მოსწავლეები, რომ თავიანთ წარმატებაზე აიღონ პასუხისმგებლობა. მაგალითისთვის, „შენ მიიღე მაღალი შეფასება ისტორიაში. როგორ ფიქრობ, რატომ?“. დაეხმარეთ მოსწავლეებს იმის აღწერაში თუ რა გააკეთეს ამისთვის, როგორ იმეცადინეს ნაცვლად იმის თქმისა, რომ „გამიმართლა“ ან „ეს იყო მარტივი საკითხი“.
9. მოახდინეთ სასწავლო და სოციალური აქტივობების ისე სტრუქტურირება და ორგანიზება, რომ მაქსიმალურად შეამციროთ მოსწავლის წარუმატებლობის გამოვლენის ალბათობა.
10. დაეხმარეთ მოსწავლეებს იმის გაგებაში თუ როგორ უნდა ისწავლონ და როგორ შეუძლიათ ამ პროცესის კონტროლი.
11. ასწავლეთ მათ თვითდაჯილდოების მექანიზმები, მაგალითად, დავალების კონკრეტული ნაწილის შესრულების შემდგომ შესვენება მისი საყვარელი აქტივობით.

### *სოციალური უნარების ახალ სიტუაციებში გენერალიზება*

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს ახალი უნარების გენერალიზების უნარი განსხვავებულ სიტუაციებში. ამისათვის:

- ასწავლეთ მოსწავლეს ისეთ გარემოში, სადაც ყველაზე ხშირად მოუწევს მისი გამოყენება. თუ ეს არ არის შესაძლებელი, მაშინ როლური თამაშები არის ეფექტური ჩამანაცვლებელი გზა.
- აქცენტი გააკეთეთ ისეთ უნარებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად და ღირებულად ითვლება მოსწავლის გარემოში (მაგალითად, მეგობრებში, ოჯახის წევრებში, მშობლებში, მასწავლებლებში და სხვა). მსგავსი უნარები დიდი ალბათობით ხშირად წახალისდება მათი მხრიდან.
- ასწავლეთ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით (მაგალითად, წიგნები, ვიდეოები, თამაშები და სხვა).



## მშობლებთან და/ან კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა

მშობლების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განვითარებასა და განათლებაში მშობლის როლი, თავისი გარკვეული უფლებებითა და პასუხისმგებლობებით, დიდად განსაზღვრავს მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესს, მის განვითარებასა და საზოგადოებაში ეფექტურ ფუნქციონირებას. ძირითადად, სწორედ ისინი უწევენ ადვოკატირებას თავიანთ შვილებს, განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს განათლების (მაგალითად, სკოლის არჩევა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მოთხოვნა), შეფასების, თერაპიული ჩარევის, ინტერვენციული პროგრამის არჩევის თუ სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. აღნიშნულ პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობელს თავად სჭირდება დახმარება და მხარდაჭერა, ინფორმაციისა და სიახლეების მიწოდება, ფსიქოგანათლება, კონსულტირება და ამ გზით მათი ჩართულობის გაზრდა, გაძლიერება და მოსწავლეთა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მშობლებსა კანონიერ წარმომადგენლებსა და სკოლას (მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ადმინისტრაცია და სხვა) შორის აქტიური ურთიერთობა და თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ძალიან ბევრი მიზეზი თუ რატომ უნდა გვქონდეს ეფექტური და თანამშრომლობითი ურთიერთობა მშობლებთან. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

- მშობლები არიან ის ადამიანები, რომლებიც მოსწავლეების განათლების მიღების ნებისმიერ საფეხურზე მუდმივად და აქტიურად არიან ჩართულები პროცესში. შესაბამისად, მათ აქვთ ყველაზე დიდი ინტერესი თავიანთი შვილების სწავლა-სწავლების შესახებ და სწორედ მათზე ახდენს პირდაპირ გავლენას მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.
- მშობლებმა უკეთ იციან თავიანთი შვილების განვითარების დინამიკის, გარკვეული მახასიათებლებისა და იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია გავლენას ახდენდნენ მოსწავლის კონკრეტულ ქცევასა თუ თავისებურებაზე. ისინი ხშირ შემთხვევაში უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ იმასთან დაკავშირებით თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის მოტივაციაზე და რომელი სწავლებისა თუ მართვის სტრატეგიების გამოყენება არის უფრო ეფექტური.
- მათ, უმეტესწილად, ყველაზე უკეთ შეუძლიათ დაგვეხმარონ მოსწავლის ქცევის გარკვეული ასპექტების გაგებაში. უმნიშვნელოვანესია იმის გაცნობიერება თუ რა გავლენას ახდენს მშობელი მოსწავლის ქცევის თავისებურებებზე. გამომწვევი მიზეზების ძიებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პასუხები არ არის ცალსახა. მასზე გავლენას შესაძლებელია სხვა დამატებითი ფაქტორებიც ახდენდნენ.
- მშობლებთან თანამშრომლობა ზრდის სახლისა და სკოლის კონტექსტში თანმიმდევრული მიდგომების გამოყენებისა და სტრუქტურირებული გარემო პირობების შექმნის ალბათობას, რაც აუცილებლად დადებითად აისახება მოსწავლის ფუნქციონირებაზე. ეს, ასევე, ზრდის სასურველი ქცევის წახალისებისა და გამოვლენის სიხშირის შესაძლებლობას.



- ჩართულობისას, მშობლები იღებენ უფრო მეტ ინფორმაციას მოსწავლის განათლების, სკოლის ხედვისა და მიზნების შესახებ. ცნობიერების ამაღლება აღნიშნული საკითხების შესახებ დადებითად აისახება სკოლის მიმართ ნდობასა და დამოკიდებულებაში.
- მშობელთან რეგულარული კონტაქტი გავლენას ახდენს მასწავლებლისა თუ სპეციალისტის საკუთარი თავის აღქმისა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭებაზე.
- როდესაც მოსწავლე ხედავს თანამშრომლობით დამოკიდებულებას მშობლებსა და მასწავლებლებსა თუ სპეციალისტებს შორის, ეს ხშირად გავლენას ახდენს სკოლისადმი მათ პოზიტიურ დამოკიდებულებასა და მოტივაციაზე.
- რაც მთავარია, მშობლის ჩართულობა ზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების წარმატებით მიღწევის ალბათობას.

### მშობლის წინაშე არსებული გამოწვევები

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ხშირად როგორც დიდი სიხარულის, ასევე ემოციური დისტრესის გამოძვევი მიზეზები ხდებიან. მშობლებს შესაძლებელია მიღებული ჰქონდეთ თავიანთი შვილის მდგომარეობა და სირთულეები, თუმცა გაუცხოვდნენ მათგან ან ავლენდნენ ჰიპერმზრუნველობას მათ მიმართ. ამის მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს შოკი, პესიმიზმი, ბრაზი, დანაშაულის განცდა ან პერიოდულად გუნება-განწყობილების ხშირი ცვალებადობა. მსგავსი განცდების მაპროვოცირებელი ფაქტორი ხშირად ისეთი განსაკუთრებული დღეები ხდება, როგორცაა დაბადების დღე ან ბალიდან სკოლაში ტრანზიციის პერიოდი.
- ზოგიერთ სიტუაციაში მშობელს შესაძლებელია დაეუფლოს სირცხვილის გრძნობა, რამაც გავლენა იქონიოს სოციალიზაციაზე. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც მათ დიდი დრო სჭირდებათ დიაგნოზის ან მდგომარეობის მიღებისთვის.
- მშობლებს ხშირად სჭირდებათ სპეციალიზირებული უნარების სწავლა გამომდინარე იქიდან, რომ მის შვილს, და-ძმებისგან განსხვავებით, შესაძლოა უჭირდეს გარკვეული უნარების დამოუკიდებლად ათვისება. ამისთვის მშობელი დგება სწავლების სტრატეგიების ან ქცევის მართვის ტექნიკების გამოყენების საჭიროების წინაშე.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები ხშირად ღელავენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჩვეულებრივ სხვებისთვის არ წარმოადგენს ნერვიულობის საგანს. ისინი შესაძლოა შფოთავდნენ სათამაშო მოედანზე მისი უსაფრთხოების შესახებ ან არიან თუ არა სხვა ბავშვები კეთილგანწყობილი მისი შვილის მიმართ ან მათი მშობლებისგან მიიღებს თუ არა შენიშვნას საკუთარი შვილის ქცევის გამო და ა.შ. შედეგად, ისინი ხანდახან ითხოვენ სკოლისგან თავიანთი შვილის სხვა თანაკლასელებისგან დისტანცირებასა და განცალკევებას.
- ოჯახზე ხშირად დიდ გავლენას ახდენს, როდესაც შვილს სპეციალური საჭიროება აქვს. ხანდახან მშობლებისთვის გართულებულია ძიძის პოვნა ან ფორმალურ თუ არაფორმალურ საზოგადოებებში მათი ჩართულობა (მაგალითად, სამსახური, სპორტული დარბაზი, ეკლესია და სხვა). არის შემთხვევები, როდესაც მეგობრები ან ახლობლები ხანდახან თავს არიდებენ ოჯახთან სტუმრობას. ასევე, მნიშვნელოვნად აისახება ოჯახის ბიუჯეტზე.

- შესაძლებელია და-ძმები ხშირად ავლენენ უპირობო სიყვარულს, პასუხისმგებლობასა და მიმღებლობას სირთულეების მქონე დის ან ძმის მიმართ, მაგრამ ხანდახან მათ უჩნდებათ იმის განცდა, რომ თავად მეორე ხარისხოვნები არიან და მშობლები საკმარის დროს არ უთმობენ.

### რა იგულისხმება მშობლის ჩართულობაში?

მშობლის ჩართულობას ხშირად განმარტავენ როგორც „მის თანამონაწილეობას რეგულარულ, ორმხრივ და შინაარსიან კომუნიკაციაში, რომელიც ეხება მოსწავლის სწავლასა და სასკოლო აქტივობებს“. გამოყოფენ მშობლის ჩართულობის 5 განსხვავებულ დონეს:

1. **ინფორმირებულობა** - სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სასკოლო აქტივობებისა თუ სხვა ასპექტების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, იღებს ინფორმაციას მათგანაც.
2. **აქტივობებში თანამონაწილეობა** - მშობლები ჩართულები არიან გარკვეულ აქტივობებში.
3. **დიალოგი და ხედვების გაზიარება** - მშობლები მასწავლებლებთან და სპეციალისტებთან ერთად ჩართულები არიან სასწავლო მიზნებისა და მოსწავლის საჭიროებების განხილვის პროცესში.
4. **გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა** - მშობლების შეხედულებები გათვალისწინებულია მოსწავლის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას.
5. **პასუხისმგებლობის აღება და გაზიარება** - სკოლასთან თანამშრომლობით მიღებულ გადაწყვეტილებებზე მშობლების მიერ მათი წილი პასუხისმგებლობის აღება.

### რა უწყობს ხელს მშობელთან ეფექტურ თანამშრომლობას?

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას მშობელთან წარმატებული ურთიერთობის დამყარებისთვის:

- მშობლებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია კულტურული თუ სოციალური თავისებურებების გათვალისწინება.
- მშობლებთან რეგულარული კონტაქტი გვეხმარება ისეთი ურთიერთობის დამყარებაში, რომლის დროსაც მცირედი წარმატება ერთად აღინიშნება და ხდება ნებისმიერი სირთულის უფრო სწრაფად შემჩნევა-იდენტიფიცირება და შემდგომში გადაჭრა. რეკომენდებულია, მშობელთან შეხვედრა დაიწყოს ერთი კონკრეტული მიღწევის გაზიარებით და მხოლოდ ამის შემდგომ შეეხოთ უფრო კომპლექსურ საკითხებს.
- შეხვედრებისას მშობლის ჩართულობისა და მისი კონტრიბუციის ზრდა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ხდება თქვენი მხრიდან ამის წახალისება და პროცესში გარკვეული მიმართულებების შეთავაზებით მათი დახმარება.

- მშობელთან შეხვედრები შესაძლებელია გახდეს უფრო ეფექტური, როდესაც ის არის სტრუქტურირებული. მაგალითად, ისე ჯგუფის შეხვედრისას შესაძლებელია, რომ თავდაპირველად გარკვეული დრო დაეთმოს რაპორტის<sup>3</sup> დამყარებას, შემდგომ მშობლისგან ინფორმაციის მიღებას, მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ერთმანეთში გაცვლილი ინფორმაციის შეჯამებას და მომავალი შეხვედრის დაგეგმვას. ამ პროცესში რეკომენდებულია მშობელი ხედავდეს, რომ მისი დროის გამოყენება ხდება გონივრულად, დაგეგმილად და წინასწარ შეთანხმებულად.
- კონფლიქტის წამოჭრის შემთხვევაში აუცილებელია, მასთან გამკლავება მოხდეს პოზიტიური მეთოდით და იყოს ასერტულები.
- მშობელთან ეფექტურ კომუნიკაციასა და მის ჩართულობას დიდწილად განაპირობებს ისეთი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე, სენსიტიურობასა და მისი აზრის, შეხედულებების გათვალისწინებაზე.

აღსანიშნავია, რომ თქვენ შესაძლებელია ვერ მოახერხოთ ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, რომელსაც მშობელი განიხილავს თქვენთან ერთად. თუმცა თქვენ მიერ გარკვეული დროის გამოყოფა და აქტიური მოსმენა შესაძლებელია მცირედი დახმარება აღმოჩნდეს მისთვის. აქტიური მოსმენა არის ძალიან სასარგებლო და ეფექტური, რადგან მისი საშუალებით ადამიანებს ფიქრებისა და ემოციების გამოხატვის შესაძლებლობა ეძლევათ. აქტიური მოსმენა გულისხმობს ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, რომელიც არის მნიშვნელოვანი. ძალიან ფრთხილად იმის აღნიშვნით თუ რას ვფიქრობთ მათ ნათქვამსა და განცდებზე, ჩვენ ვეხმარებით მათ რეფლექსირება მოახდინონ საკუთარ ფიქრებსა და შეხედულებებზე. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია, რომ ვიმოქმედოთ ჩვენი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების ფარგლებში და უფრო კომპლექსური სირთულეების წამოჭრის შემთხვევაში, გადავამისამართოთ ან კონსულტაცია გავიაროთ შესაბამის სპეციალისტთან.

აღსანიშნავია, რომ მშობლები უფრო მეტად აზიარებენ და საუბრობენ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილებების შესახებ მაშინ, როცა მათთან ურთიერთობის კონტექსტი არის თანამშრომლობითი. ხშირია, როდესაც მშობლებს სჭირდებათ მხარდაჭერა. ხანდახან უბრალოდ ყურადღებით მოსმენაც კი შესაძლებელია ამისთვის საკმარისი აღმოჩნდეს. მათგან ხშირად ვიღებთ ძალიან არსებით და მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელთა გათვალისწინებამაც შესაძლებელია მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი უფრო ეფექტური გახადოს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის კონტექსტში ჩვენ და სახლის პირობებში მშობლის მიერ გამოყენებული სტრატეგიები იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში ანუ შეთანხმებული და თანმიმდევრული.

ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 200 ოჯახს, გამოვლინდა თუ ძირითადად რა სახის კომუნიკაციას და ინფორმაციის მიღებას საჭიროებენ მშობლები

<sup>3</sup> რაპორტი - მეგობრული და ჰარმონიული ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე, ემპათიაზე, ურთიერთშეთანხმებასა და გაგებაზე, რაც ხელს უწყობს ეფექტური კომუნიკაციის წარმოებას.

სპეციალისტებისგან და მასწავლებლებისგან (Dembinski & Mauser, 1977). მიღებული შედეგების ძირითადი არსი შემდეგია:

1. ინფორმაციის გასაგები ფორმით მიწოდება. ტექნიკური და სპეციფიკური ტერმინების გამოყენების საჭიროების შემთხვევაში, მათი ახსნა და განმარტება.
2. შესაძლებლობის შემთხვევაში პირისპირ შეხვედრისა და განხილვის სურვილი.
3. მოსწავლის სირთულეებისა თუ არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის წერილობითი და ვერბალური ფორმით მიწოდების სურვილი.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა თუ შეფასების დასკვნების წერილობითი ასლის მიღება.
5. რჩევისა და რეკომენდაციის მიღება კონკრეტულ ქცევით სირთულესთან გამკლავებისთვის საჭირო სტრატეგიებისა და ასევე, ეფექტური სწავლა-სწავლებისთვის საჭირო მეთოდების გამოყენების შესახებ.
6. მოსწავლის სოციალურ თუ აკადემიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Sharon R. Vaughn, Candace S. Bos, 2015, „Strategies for teaching students with learning and behavior problems, Ninth edition“.
- David Mitchel, 2014, „What really works in special and inclusive education. Using evidence-based teaching strategies, Second edition“.
- Garry Hornby, 2014, „Inclusive special education, Evidence-based practices for children with special needs and disabilities“.
- Michael Farrell, 2006, „The effective teacher’s guide to moderate, severe and profound learning difficulties“.
- Alan Pritchard, 2009, „Ways of learning (Learning Theories and learning styles in the classroom), Second edition“.
- Peter Westwood, 1997, „Commonsense methods for children with special needs, strategies for the regular classroom, Third edition“.
- Carol Ann Tomlinson, 2017, „How to differentiate instruction in academically diverse classrooms, Third edition“.
- Wendy Conklin, 2007, „Instructional strategies for diverse learners“.
- Suanne Gibson, Sonia Blandford, 2005, „Managing special educational needs“.
- Richard M. Gargiulo, Emily C. Bouck, 2018, „Special education in contemporary society, Sixth edition“.
- Jean Gross, Angela White, 2003, „Special educational needs and school improvement (practical strategies for raising standards)“.
- Roger Piearangelo, George Giuliani, 2008, „Teaching students with learning disabilities“.
- Diane M. Browder, Fred Spooner, 2011, „Teaching students with moderate and severe disabilities“.
- June E. Downing, 2010, „Academic instruction for students with moderate and severe intellectual disabilities in inclusive classrooms“.
- ნათელა იმედაძე, ნათია ჯანაშია, სოფიო გორგოძე, 2011, „განვითარებისა და სწავლის თეორიები“.
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.
- Assistiveware, 2021, “What is AAC?”.
- American speech-language-hearing Association (ASHA), 2021, “Augmentative and alternative communication (AAC)”.
- Lee Kern, Michael P. George, & Mark D. Weist, 2015, “Supporting Students with Emotional and Behavioral Problems”.
- ASCD Whole Child Bloggers, 2011, “Designing a Classroom for Inclusive Learning”.
- Learning Disabilities Association of America (LDA), 2013, “Graphic organizers”.
- Sasha Long, 2017, “How to Use Prompts Effectively and Efficiently”.
- Matthew M. Cruger, Understood Team, 2021, “Inside a Dyslexia Evaluation”.

- Marianne Stenger, 2014, “5 Research-Based Tips for Providing Students with Meaningful Feedback”.
- Vanderbilt University, 2021, “Instructional Scaffolding”.
- Rachel R. Van Der Stuyf, 2002, “Scaffolding as a Teaching Strategy”.
- The learning agency lab, 2020, “LEARNING BY DOING: WHAT YOU NEED TO KNOW”.
- Greg Timmons, 2018, “Hands-On Learning: A Quick Summary of Everything You Need to Know”.
- The literacy nest, 2018, “Multisensory Teaching Strategies in the Classroom: Part One”.
- Waterford.org, 2019, “Why multisensory learning is an effective strategy for teaching students how to read”.
- Amanda Morin, Understood Team, 2021, “Multisensory instruction: What you need to know”.
- Susan du Plessis, 2017, “Learning Principles More Important than Learning Styles”.
- Steve Barkley Education Consultant, 2020, “Instructional Strategy: Modeling (Why, How, and Why Not)”.
- Jordan Nisbet, 2019, “Universal Design for Learning: Principles and Examples for 2019”.
- Eve Kessler, Esq., 2021, “Examples of Accommodations & Modifications”.
- Morgan Dixon, 2019, “Special Populations & iCEV: Accommodations, Adaptations & Modifications”.
- American Psychiatric Association. (2013). Diagnostic and statistical manual for mental disorders (5th ed.). Washington, DC: Author.
- Training & Technical Assistance Center, 2017, “Classroom Interventions for Attention Deficit/Hyperactivity Disorder Considerations Packet”.
- U.S. Department of Education, 2008, “TEACHING CHILDREN WITH ATTENTION DEFICIT HYPERACTIVITY DISORDER: INSTRUCTIONAL STRATEGIES AND PRACTICES”.
- Amanda Morin, Understood Team, 2021, “Classroom accommodations for ADHD”.
- Ann Logsdon, 2020, “Stages of Phonological and Phonemic Awareness”.
- Reading Rockets, 2021, “Phonological and Phonemic Awareness”.
- Reading Rockets, 2021, “Accommodating Students with Dyslexia in All Classroom Settings”.
- Tammy Reynolds, B.A., C.E. Zupanick, Psy.D. & Mark Dombeck, Ph.D., 2021, “EFFECTIVE TEACHING METHODS FOR PEOPLE WITH INTELLECTUAL DISABILITIES”.
- Mariam Mansour and Dr. Judith Wiener, 2021, “Social Skills Training (SST) for Students with Learning Disabilities”.
- National Center for Technology Innovation and Center for Implementing Technology in Education (CITEd), 2021, “Practicing Social Skills: How to Teach Your Student Social Interactions”.
- Learning Disabilities Association of Halton-Hamilton, 2011, “Social Skills Instruction for Students with Learning Disabilities”.